# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაშაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 23 დეკემბერი, 2006 წელი.

№ 255 (5596)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


SOS! 8

## „ქვათა ღაღადის“ თანამედროვე მოტივები

პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრმა დავით მაისურაძემ ნიუ-იორკში გამოაქვეყნა და ინტერნეტსაიტზე დადო ვრცელი გამოკვლევა – „იუდას მორალი, ანუ სომხური საქმე საქართველოში“.



გაეცანით სომეხ მეცნიერთა „აღმოჩენებს“, ანუ იმას, თუ... ნიკალაი ფიროსმანიანმა სომხური ხელგაშლილობით როგორ მიართვა ვარდები აქტრისა მარგარიტას





## მესამე ტალღის მიგრანტები 4

რთულია იმის დადგენა, ვინ მონაწილეობს და ვინ დგას ამ ბიზნესის უკან, რადგანაც მას ძალზე ძლიერი მფარველები ჰყავს. ბავშვებს პოლონეთში იაფად ყიდულობენ და საზღვარგარეთ ძვირად ყიდიან. მათ პროსტიტუციისა და პორნოგრაფიულ ფილმებში გადასაღებად იყენებენ...

ფიქრები ხმამაღლა 3





## „გარეთ მზეა, ჩემ გულში კი ნისლია...“

ერთი ტელეკომპანია „იმედიდა“ „აჩმახებს“, ყელში კვალივით აქვს გაჩხერილი „თავისუფლების ინსტიტუტს“, ანუ ხელისუფლებას და „რამიშვილის კოლექსიც“ მის წინააღმდეგ არის მიმართული



სეოკის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი აჯილდოებს წლის საუკეთესოებს

## „გული გაითბეთ, სული გაიცისკროვნეთ, ოლონდ ნუ დაეცემით, ნუ გატყდებით“... 11

## „წიწილები“ სეოკშიც დაითვალეს 13

# სახელმწიფო

● პირველი პრობლემა, რაც საზოგადოების წინაშე დგას, მოსახლეობის დაუსაქმებლობაა. 2007 წელს ეს პრობლემა კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს, რადგან მის მოსაგვარებლად, სამწუხაროდ, არაფერი გაკეთებულა. ე.წ. 150-დღიანმა დასაქმების პროგრამამ შედეგი ვერ გამოიღო. ამ პროგრამით ვერავინ დასაქმდა



**SIC!**

## ლევან ბერძენიშვილი:
# მითი, რომ ოპოზიცია გაფარჩაკდა, ტყუილია...

**საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერი წევრი, ფრაქცია „რესპუბლიკელების" ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი 2006 წელს საქართველოსთვის ნეგატიურად მიიჩნევს. პოლიტიკოსი აცხადებს, რომ ქვეყნისთვის სასიკეთო არაფერი გაკეთებულა. უმოქმედობის გარდა ლევან ბერძენიშვილი საქართველოს ხელისუფლებას სახელმწიფოს პოლიტიკის უგუნურად წარმართვაში ადანაშაულებს და მიხეილ სააკაშვილის მთავრობას ვალდებულებების შესრულებისაკენ მოუწოდებს. რესპუბლიკური პარტიის ლიდერის თქმით, ეს იყო პირველი წელი, როცა ქვეყანაში უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა, ხოლო მდგომარეობა არაერთ სფეროში გაუარესდა. თუ როგორ აისახა 2006 წელი სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაზე, ჯი-ეიჩ-ენი ლევან ბერძენიშვილს ესაუბრა.**

**— რა მოუტანა საქართველოს 2006 წელმა, რა შეიცვალა უკეთესობისკენ და რა გაუარესდა?**

— გასული წლებისგან განსხვავებით ეს იყო პირველი წელი, როცა უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა. ცვლილება, რომელიც რაიმე სფეროს უკეთესობისკენ შეცვლიდა, არ მომხდარა. სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად გაუარესდა მდგომარეობა არაერთ სფეროში. გაუარესდა სიტუაცია სასამართლო სისტემაში; ძალიან ცუდად ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები და, შესაბამისად, გაუარესდა როგორც კანონმდებლობა, ასევე სასამართლო პრაქტიკა; გაუარესდა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა; აღარ გაიზარდა სრულიად გაუმჭვირვალე და გაუგებარი ბიუჯეტი; სრულიად გაუარესდა ვანო მერაბიშვილის იმიჯი; ძალიან სერიოზული პრობლემები გაჩნდა აღმასრულებელ სისტემაში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და დაწესებულებებში, სადაც ყოველ ნაბიჯზე ირღვევა ადამიანის უფლებები; სერიოზული პრობლემები შეიქმნა მედიასთან დაკავშირებით. ქვეყნის შიგნით სწორედ ამ სფეროებში მოხდა მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. მნიშვნელოვანია, რომ გაუარესდა საქართველოს მდგომარეობა საერთაშორისო თვალსაზრისითაც: გაუარესდა საქართველოს როგორც მშვიდობისმოყვარე ქვეყნის იმიჯი; გაფუჭდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობები; ჩვენი შანსები კიდევ ბევრი მიმართულებით გაუარესდა. შეიძლება ითქვას, ერთადერთი დადებითი ის არის, რომ საქართველომ ერთი ნაბიჯით წინ წაიწია ნატოსკენ, მაგრამ ეს არა ჩვენი ხელისუფლების, არამედ აშშ-ის მთავრობის დამსახურებაა, რომელშიც დიდი როლი ჩვენმა მეგობარმა ევროპულმა ქვეყნებმა ითამაშეს.

**— რა მიგაჩნიათ ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის ყველაზე წარუმატებელ ნაბიჯად?**

— საშინაო პოლიტიკაში ყველაზე წარუმატებელი ნაბიჯი საარჩევნო კანონმდებლობის გაყალბება იყო. გაყალბება მოხდა იმ დონეზე, რომ ოპოზიციის მიერ მიღწეული შედეგი ვერ აისახა საკრებულოზე. დაიწერა ისეთი კანონმდებლობა, როდესაც ერთ მესამედს გაჰყავს ერთი მეათედი. ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე სერიოზული ნაკლია, ვინაიდან არ იქნა დაცული ამომრჩევლის უფლებები. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საშინაო პრობლემაა ასევე, ადამიანის უფლებების დაცვა. მაგალითად, გირგვლიანის მკვლელობა და ამ საქმის არგამოძიება, სასამართლოს მიერ მკვლელებისთვის ხელის დაფარება ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა და დანაშაული იყო.

**— გასულ წლებში საკმაოდ დადებით შეფასებას იმსახურებდა საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი. რა შეიცვალა ამ თვალსაზრისით 2006 წელს და თუ გამოყოფდით ხელისუფლების წარმატებულ და წარუმატებელ გადაწყვეტილებებს საერთაშორისო ურთიერთობებში?**

— 2006 წელი იყო პირველი წელი, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა ადრე საქართველო საგარეო პოლიტიკაში ამდენ შეცდომას არ უშვებდა. როგორც გითხარით, ერთადერთი დადებითი ცვლილება საგარეო პოლიტიკაში ეს იყო კიდევ ერთი ნაბიჯი ნატოსკენ. თუმცა ეს ცვლილება საქართველოს ხელისუფლების დამსახურება არ არის. რაც შეეხება უარყოფით მომენტებს, რუსეთთან ურთიერთობების ვერ დარეგულირება და მისი გაფუჭება, რა თქმა უნდა, ყველაზე წარუმატებელი ნაბიჯი იყო.

მთავარი შეცდომა მაინც იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსი სამხედროების დაკავება და რუსული მხარისთვის მათი დიდი აჟიოტაჟით გადაცემა. ამით საქართველოს ხელისუფლებამ უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობა რუსეთთან. მე არც რუსეთის და არც სხვა რომელიმე ქვეყნის აგენტურის მომხრე ვარ, მაგრამ ამ ფაქტს არ სჭირდებოდა ასეთი ხაზგასმითი გახმაურება. ტრადიციულად ამას მხოლოდ წინასაარჩევნო ხასიათი ჰქონდა. სამწუხაროდ, მაშინ არავის გაუაზრებია თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ყოველივე ამას. ასევე, საგარეო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომაა ის განცხადება, რომ საქართველო არავითარ შემთხვევაში არ იყიდის რუსეთისგან გაზს. საქართველომ უნდა იყიდოს ბუნებრივი გაზი ყველასგან და იმ ფასად, რაც ღირს გაზი. ჩემი აზრით, ამ საკითხის გამწვავებას შედეგად ის მოჰყვება, რომ ჩვენს ქვეყანას გაზის შეძენა, ცხადია, მაინც მოუწევს და შეიძლება რუსეთისგანაც. ასევე, ჩემს პარტიას და პირადად მე მიმაჩნია, რომ ქვეყანა ძალიან დიდ შეცდომას უშვებს, როდესაც რჩება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შემადგენლობაში, სადაც მას არაფერი ესაქმება. ძალიან სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული, როდესაც ინვესტიციების მოზიდვის დროს სრულიად დაუფიქრებლად გაიცა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები საეჭვო ქვეყნებზე. ეს არის ის ძირითადი შეცდომები, რაც ხელისუფლების პოლიტიკიდან 2006 წელს გამოიკვეთა.

**— შეიცვალა თუ არა რაიმე, თუნდაც მცირე ნიუანსი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის მოსაგვარებლად?**

— 2006 წელს საქართველო ერთი მილიმეტრითაც ვერ მიუახლოვდა ამ კონფლიქტების გადაწყვეტის გზას. ერთადერთი, რაც საქართველოს ხელისუფლებამ მოიფიქრა, ის არის რომ სანაკოევის სახით შექმნა ალტერნატიული პრეზიდენტი ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში. მე არ მგონია, რომ ეს დიდი წარმატება იყოს. გაყინულ კონფლიქტებს სჭირდება გაცილებით მეტი ფიქრი, მეტი შეთავაზება და მეტი ფული. ფინანსები უნდა გქონდეს, ეს შეთავაზებები რეალურად რომ განახორციელო. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, 2006 წელი დაკარგულია.



**— რამდენად მნიშვნელოვანი იყო 2006 წელი პოლიტიკური ოპოზიციისთვის?**

— ოპოზიციისთვის ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან მიმდინარე წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. მართალია, ჩვენი პარტია დიდი ჩამორჩენით გავიდა მეორე ადგილზე, მაგრამ მეორე ადგილი მაინც მეორე ადგილია. გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, ძალიან სერიოზული შედეგები ვაჩვენეთ ბათუმში, საკმაოდ კარგი შედეგი გვქონდა თბილისში და რამდენიმე რაიონში. ოპოზიციას სამუშაო ძალინ ბევრი აქვს, მაგრამ მითი, რომ ოპოზიცია არ არსებობს, დასრულდა. ეს მხოლოდ სიტყვიერი თამაშია. პრეზიდენტის განცხადება, რომ ოპოზიცია გაფარჩაკდა, იყო უბრალოდ ტყუილი, გამიზნული არა ჩვენი გულის მოსაკლავად, არამედ თავის თავის მოსატყუებლად. სწორედ ოპოზიციის შედეგების გათვალისწინებით იქნა მოფიქრებული და სასწრაფოდ დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებები. დღეს საქართველოს ოპოზიცია არ არის ძალიან ძლიერი, მაგრამ აქვს ზრდის ტენდენცია, მით უმეტეს, რომ მმართველ პარტიაში დაკნინების ტენდენცია შეინიშნება.

**— რამდენად იყო ჩართული საზოგადოება სახელმწიფოს ფუნქციონირებაში 2006 წელს?**

— საზოგადოება რომ სახელმწიფოს ფუნქციონირებაში ჩაერთოს, ამისთვის საჭიროა ინსტრუმენტები, რომლებიც საქართველოში 2006 წელს ძალიან ცუდად მუშაობდა. მაგალითად, სასამართლო სისტემა მთლიანად მოიშალა და დაექვემდებარა გენერალურ პროკურატურას. შეიძლება ითქვას, 2006 წელს დასამარდა სასამართლო იდეა საქართველოში. აღარ არსებობს არც ერთი რეზონანსული და სერიოზული ორგანო, სადაც დაზარალებულ მოქალაქეს სიმართლის გარკვევის შანსი აქვს. მით უმეტეს, თუ დამზარალებელი რაღაცნაირად მაინც არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან. საზოგადოების ჩართულობა გაიზარდა იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან ბევრი საპროტესტო გამოსვლა და დიდი უკმაყოფილების წელი იყო. მაგრამ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის თვალსაზრისით, აღმოჩნდა, რომ მოსახლეობა ისეთი აქტიური არ იყო, როგორც ეს სასურველი იქნებოდა. ზოგადად, ამ თვალსაზრისით, სპეციფიკური ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა.

**— რა იყო 2006 წლის ყველაზე წარუმატებელი მოვლენა?**

— წლის ყველაზე წარუმატებელი მოვლენა იყო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც აბსოლუტურად არ სჭირდება საქართველოს. არ შეიძლება კონსტიტუციის ჭრა და კერვა იმის მიხედვით, ვის რა მოეხასიათება. არ შეიძლება პრეზიდენტ სააკაშვილს როგორც მოეხასიათება, ისე შეიცვალოს კონსტიტუცია. ასევე, წარუმატებლად მიმაჩნია, რომ ერთმა ჯგუფმა დაწერა კოდექსი მთელი ჟურნალისტური კორპუსისთვის. უფრო სწორად, აიღო ერთი ტელევიზიის შიდა კოდექსი და გაავრცელა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. ეს, რა თქმა უნდა, დაუშვებელია და გაუნათლებლობის, უვიცობისა და სიბნელის გამოხატულებაა.

**— როგორი პროგნოზი შეიძლება ვივარაუდოდ 2007 წლისთვის?**

— როგორც ჩანს, 2007 წელი ძალიან მძიმედ დაიწყება. ვვარაუდობ, რომ ეს ზამთარი დაძაბული იქნება, როგორც პოლიტიკური, ასევე, ეკონომიკური თვალსაზრისით. პირველი პრობლემა, რაც საზოგადოების წინაშე დგას, მოსახლეობის დაუსაქმებლობაა. 2007 წელს ეს პრობლემა კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს, რადგან მის მოსაგვარებლად, სამწუხაროდ, არაფერი გაკეთებულა. ე.წ. 150-დღიანმა დასაქმების პროგრამამ შედეგი ვერ გამოიღო. ამ პროგრამით ვერავინ დასაქმდა, რადგან მას წინასაარჩევნო სარეკლამო ხასიათი ჰქონდა. ოპტიმიზმის საფუძველს არ გვაძლევს ისიც, რომ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს ფასების ზრდა და შესაბამისად — ინფლაცია. უახლოეს თვეებში მოსალოდნელია ენერგეტიკული და პოლიტიკური გართულებები. ამიტომ მე ვვარაუდობ, რომ გველოდება მძიმე ზამთარი. დღეს ჩვენი და ყველა პოლიტიკური ძალის ამოცანაა, არ დავუშვათ, რომ ამ გართულებებმა მიიღოს არაორგანიზებული ხასიათი. ჩვენ გვინდა, ხელისუფლებამ გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და განახორციელოს საჭირო ცვლილებები. მე ამ ზამთარში არ ვიქნებოდი ქუჩის მასობრივი აქციების და ხელისუფლების დამხობის მომხრე. მე ვარ მომხრე, გონზე მოვიყვანოთ ხელისუფლება. დროა, საქართველოს მთავრობამ დაიწყოს იმის გაკეთება, რაც მას ევალება.

ესაუბრა
**მეგი კავთუაშვილი**
ჯი-ეიჩ-ენი

**კანონმდებლები**

# პარლამენტი მინისტრს და გენპროკურორს ელოდება...

**პარლამენტში, სამთავრობო საათზე გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილსა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს იაკობ მესხიას 26 დეკემბერს მოუსმენენ.**



ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა.

აღნიშნული საკითხი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესა და „მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერ დავით გამყრელიძეს შორის სატელეფონო კონსულტაციის შედეგად გადაწყდა.

რიგგარეშე სხდომაზე დავით გამყრელიძემ კოლეგებს მიმართა და აღნიშნა, რომ თითოეულ პარლამენტარს სამთავრობო საათზე მხოლოდ ერთი შეკითხვის დასმა შეეძლება.

გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის პარლამენტში მიწვევის მიზეზი კონტროლის პალატის ყოფილი თანამშრომლის ნუგზარ ნაჭყებიას ტელერადიოკომპანია „იმედის" ეთერში გაკეთებული განცხადება გახდა.

**ინტერპრესნიუსი**

**აი, სამართალი!**

# ფული დაყაჭე, შენ რად გვინდიხარ!

**იაკობ შამათავა იმიტომ დააკავეს, რომ... 150.000 ლარი გადაიხადოს...**

**მიწის უკანონო მითვისების ბრალდებით დაკავებული იაკობ შამათავა სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.**

პროკურორი შამათავასთვის, რომელსაც ბრალი თაღლითობის მუხლით ჰქონდა წაყენებული, ალტკვეთი ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა, თუმცა, მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ბრალდებულის ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა — შამათავა გირაოს, 150 ათასი ლარის გადახდისა და სამართალდამცავებთან თანამშრომლობის სანაცვლოდ გაათავისუფლა. მან გირაოს თანხა 10 დღეში უნდა გადაიხადოს.

კერძო მეწარმე, რომელსაც მცხეთის პროკურატურა ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 3 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის მითვისებას ედავება, 20 დეკემბერს დააკავეს.

როგორც შამათავამ, დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე, საჯაროდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პროკურატურა მასზე ზეწოლას ახორციელებდა. შამათავას თქმით, პროკურატურა მას მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის გადაცემას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დაპატიმრებით ემუქრებოდა.

თუმცა, მისი განცხადება უარყო თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა.

ღვინიაშვილის განმარტებით, შამათავას ერთ-ერთი ბაბუა თავის დროზე სახელმწიფო მიწის განმკარგავი კომისიის თავმჯდომარედ მუშაობდა, რომელმაც 2000 წელს აგრარული უნივერსიტეტის კუთვნილი 3000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი გადასცა იაკობ შამათავას მეორე ბაბუას, ასევე იაკობ შამათავას. ეს უკანასკნელი გარდაიცვალა 2002 წელს, რის შემდეგაც პროკურატურის ინფორმაციით, ამჟამად კერძო მეწარმე იაკობ შამათავამ, დოკუმენტების გაყალბების შედეგად მიწის ფართობი უკანონოდ მიისაკუთრა.

**ინტერპრესნიუსი**

დღევანდელობა




ერთი „იმედილა“ აჩმახებს“, ყელში ძვალივით აქვს გაჩხერილი „თავისუფლების ინსტიტუტს“, ანუ ხელისუფლებას და „რამიშვილის კოდექსიც“ მის წინააღმდეგ არის მიმართული

ფიქრები ხმამაღლა

*წერილის სათაურად გამოტანილი სიტყვებით ძველ ქართულ ფილმში, თავის დროზე პოპულარული სიმღერა იწყებოდა და წინწკლებიც ამად ვიხმარე. იმის გამოსახატავად კი, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი, მსგავსი სათაური ყოველგვარი წინწკალ-ბრჭყალების გარეშეც უპრიან-ალალი მგონია. ისე, ქართულ კინოს რაც შეეხება, ჩემს ახალგაზრდობაში, ანუ კომუნისტების დროს, ანუ, როცა ხალხი „ყრუ, ბნელი, გაუნათლებელი“ იყო, ერთმანეთში საუბრისას ახლობელ-მეგობრები ხშირად ვიყენებდით „მარილიან“ რეპლიკებს თუ პასაჟებს ცნობილი ქართული და, არც თუ იშვიათად, რუსული საბჭოთა ფილმებიდანაც: „ამპრეტუზო, მედუზო, „ამტვრევ არა, შე შობელძაღლო“, „თუ კარგ საქმეზე მიდიხართ, მეც წამიყვანეთ“, და ვინ მოთვლის... რომელი ერთი გავიხსენო იმ მაღალი იუმორის შემცველი ფრაზებიდან, რომლებიც რეფრენად გასდევდა ჩემი თაობის ახალგაზრდობას. ის კინემატოგრაფიული შედევრები კომუნისტური ცენზურის პირობებში იქმნებოდა და მით უფრო საკვირველია, რომ იგივე რეჟისორები, ცალკეული იშვიათი გამონაკლისების გარდა, ახლა, თავისუფლების ჟამს, მსგავს ვერაფერს ქმნიან. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, მართალი ყოფილა — ტალანტი, ნიჭიერება თურმე ცენზურის პირობებში უფრო ვლინდება, ვიდრე ახლა.*

# „გარეთ მზეა, ჩემ გულში კი ნისლია...“

მავანმა მკითხველმა, ვინც მიცნობს, ალბათ, უკვე იფიქრა კიდეც, ამ კაცს „გაურეკავს“ და კინოკრიტიკოსობა დაუწყიაო, მაგრამ არა, სიტყვამ მოიტანა, რომ იტყვიან, „კალამი გამექცა“ და, თუ წერილის შესავალი ზედმეტად ლირიული გამოჩნდება, იმის ფონზე, რაც ქვემოთ უნდა მოგითხროთ, მკითხველისაგან ამთავითვე შენდობას ვითხოვ.

გასულ კვირაში განვითარებული მოვლენებიდან შთაბეჭდილებებით, ემოციებით დატვირთულმა, „ბარბაროზა“ საღამოს რუსთაველზე გავისეირნე და წერილის სათაურიც იმ დროს მომივიდა თავში. მართლაც, ლამაზი სანახავია რაღაც თბილ ტონებში განათებული საქართველოს მთავარი პროსპექტი. ამას ვერ დავუკარგავ ქალაქის მამებს, მაგრამ ეს ყველაფერი: ლამაზი განათება, შეღებილი ფასადები, მდიდარი ვიტრინები, ინტერიერ-ექსტერიერები, მომღერალ-მოცეკვავე შადრევნები, თვით წმინდა გიორგის მონუმენტი რომ „პოტიომკინის სოფლის“ ასოციაციას იწვევს ყოველ მეტ-ნაკლებად მო-



აზროვნე პიროვნებაში, ანუ მათში, ვისთვისაც ეს ქვეყანა ოდენ საძოვარი არ არის, ესეც უეჭველია.

## „პოტიომკინის სოფელი“ - „ფასადური დემოკრატია“ —

**აი, ჩემი აზრით ის, რაც რევოლუციის შემდეგი სამი წლის განმავლობაში ავაშენეთ. იგივე შეიძლება ამგვარადაც ითქვას — „სააკაშვილის სოფელი“ და „ბოკერიას დემოკრატია“, რაც არა მგონია, უტრირება იყოს. საერთოდ, ზოგადად და, მით უმეტეს, წინასაახალწლოდ, გულს გიკლავს კაცს ამდენი მათხოვარის ხილვა. ხელგამოშვერილი ადამიანები ყველგან, ე. წ. განვითარებული ეკონომიკის დალხინებულ ქვეყნებშიც არიან. საქართველოშიც იყვნენ ყოველთვის, კომუნისტების დროსაც კი, როცა, რაც მართალია, მართალია — ლუკმაპურის შოვნა პრობლემა არ იყო, თუ ხელს, მით უმეტეს ტვინს, გაანძრევდი. მაგრამ მაშინ ჯერ ერთი, ასეთი ქართველი მათხოვარი იშვიათი იყო და ამ უდავო ფაქტის კონსტანტაციას ქსენოფობიად ნურვინ ჩამითვლის. ეროვნების მიუხედავად, ყველა დაგლახავებული სიბრალულს იწვევს, მაგრამ მე, უწინარესად, ჩემი მტკივა, ქართველი, რომლის გენეტიკურ კოდში არ დევს მათხოვრობისადმი მიდრეკილება, არადა, ასეთებიც გაუჩენია ღმერთს.**

ერთი არსებითი განსხვავებაც არის ადრინდელ და ახლანდელ მათხოვრებს შორის. თუ პირველებს ხელის განძრევა არ უნდოდათ და მათი მათხოვრობა უფრო მსუბუქი სახის ყაჩაღობა-თაღლითობას ჰგავდა — „მომეცი, მომეცის“ ძახილით მიგდევდა — ახლა უმეტესობა და, მათ შორის, უმეტესობის უმეტესობა ქართველი, უმაღლესი განათლების მქონე ყოფილი ინტელიგენტი, პედაგოგი თუ ექიმი, ან „არნახული ეკონომიკური აღმავლობის მიუხედავად“ უმუშევარი ხურო, ზეინკალი თუ კალატოზი, სირცხვილისგან დამწვარი, თავჩაქინდრული ჩაჰყურებს მიწაზე დადებულ ქუდსა თუ ქილას, ხურდა ფულის „საამო“ მელოდიის მოლოდინში, მუსიკისა, რომელიც მათ არარაობის, გარიყულობის, უპატრონობის, უსასოობის განცდას აუტანელს ხდის.

ერთსიცოცხლეს გაათავებ კაცი, მეტროში ან მიწისქვეშა გადასასვლელში თუ ჩახვალ. არარაობად იგრძნობ თავს იმის გამო, რომ, თვითონ გაჭირვებული, სხვისთვის ვერ იმეტებ, ან თუ იმეტებ, რამდენს უნდა უწილადო ის გროშები, რასაც მოიკლებ?

ისინი კი, ვისაც არაფერი აკლია, ასეთ ადგილებში არ დადიან. მიწის ზევით დაჰქრიან უკანასკნელი მოდის ავტოებით, რომელთა დაბურული მინებიდან არ ხედავენ ამას. პიარის გამო ზოგჯერ პრეზიდენტიც ჩადის მეტროში, მაგრამ იმ დროს მათხოვრებს ვინ გააჭაჭანებს, თუნდაც 9 აპრილს მომღერალ უსინათლოებს?

სად, როდის, რომელ დროში ყოფილა ღვთით კურთხეულ საქართველოში ამდენი მშიერი, მიუხედავად ეროვნებისა?! რა ვქენით, სად დავუშვით საბედისწერო შეცდომა, რომ ამ დღეში ვართ ბოლო 15 წელია (და რაც არ უნდა იბაქიბუქონ „ნაციონალებმა“, განსაკუთრებით — ბოლო 3 წელი), ზემოთ რომ ვთქვი, „ავაშენეთ“-მეთქი, სწორედ ისეა საქმე, არ შემშლია. რადგან, მარტო ხელისუფლების ბრალი არ არის, რაც გვჭირს, უფრო სწორად ჩვენი, საზოგადოების ლომის წილია ამ ყველაფერში, რადგან მორჩილად ვიტანთ ჩვენს აბუჩად აგდებას. ხელისუფლება უფასო სასადილოებით „ზრუნავს“ ჩვენზე. თვითონ ასტრონომიული ხელფასებით, შრომით „დაღლილნი“ ამ შობა ახალ წელს მსოფლიოს ხუთვარსკვლავიან საკურორტო სასტუმროებში „შეუბერავენ“, ჩვენ კი უფასო სასადილოში სული უნდა შევუბეროთ სააკაშვილის „ბორშს“, ემანდ პირი არ დავიწვათ ან სულაც სული არ განვუტევოთ!

ახია ჩვენზე! ახია, რადგანაც რევოლუცია სამი წლის წინათ, გიორგობა დღეს, დამთავრებულად ჩავთვალეთ. აწი სააკაშვილმა იცისო! იქნებ იცოდა კიდეც, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, თუ ბოკერია და მისი რაზმი რამიშვილის „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ დაგვაჯდებოდა თავზე, ინსტიტუტიდან, რომელიც ქართული მედიისთვის, ჯერ ტელერადიოსათვის (მალე ალბათ პრესის „დაპრესვის“ დროც მოვა), ეთიკა-მორალის კოდექსის „წერად დამჯდარა“ და, ალბათ, კონსტიტუციასაც გადაგვახევს თავზე. თუ უკვე არ გადაგვახია.

## ლევან რამიშვილის ფიქრები და ნოდარ გრიგალაშვილის „იალღიში“

**თითქოსდა, ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, რა შუაშია ფიქრები და „იალღიში“, არა? ეჰ! შუაში იყოს, რა გვიჭირს. უბედურებაც ის არის, რომ თავშია!**

ზემოთ რევოლუცია და ჩვენი არხეინობა ვახსენე. ამის ბრალი იყო, რომ პირველი, რაც ამათ გააკეთეს რევოლუციის ლამის მეორე დღეს, ის გახლდათ, რომ საკუთარ ტანზე მოირგეს კონსტიტუცია. დღეს პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ჩახედულ-გაცნობიერებული ნებისმიერი ადამიანის მთავარი საფიქრალი რამიშვილის მიერ მედიისთვის შექმნილი ეთიკურ-მორალური კოდექსი და აგრეთვე უეჭველად „თავისუფლების ინსტიტუტში“ ნაშობი მოსალოდნელი კონსტიტუციური ცვლილებებია. ამ მხრივ გასული კვირა ფრიად „იმედის მომცემად“ დაიწყო, მაგრამ არ მეგონა, თუ ამ „იმედის“ პირველი „გამჟღერებელი“ ნოდარ გრიგალაშვილი იქნებოდა. მან, არც მეტი, არც ნაკლები, „იმედის“ ჟურნალისტის რეპრესირება მოითხოვა. მერე კი ბევრი იძახა „არ ვიცოდიო“, „მეგონაო“ და მსგავსი „დასაზადნი“ სიტყვები, მაგრამ რაღა დროს.

კბილებს გაცდენილ სიტყვას, ქამანდითაც რომ ვერ დაიბრუნებ, ეს ჩემზე კარგად ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს უნდა სცოდნოდა. არადა, რა აღარ ქნა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ, ლამის თვალი ჩაუკრა გაცეცხლებულ გრიგალაშვილს — ჯერ ადრეა ეგეთები, ჯერ კოდექსი ნორმატიულ აქტად მივიღოთ და მერე ერთბაშად მოვაკეტინებთო ყველას, მაგრამ გაგიგონია — „მაგათზე მაგარი ნაკითხიც ვარ და პატიოსანიო“, ბოლომდე „მიაწვა“ განათლების და მეცნიერების კომიტეტის თავკაცი. წერა-კითხვის უცოდინრობას, ნამდვილად ვერავინ დასწამებს ბატონ ნოდარს, მით უმეტეს მე, და არა იმდენად იმიტომ, რომ მას პირადად ვიცნობ, არამედ იმიტომ, რომ იგი ცხონებულ გურამ ფანჯიკიძესთან გავიცანი სუფრაზე, სადაც მოხვედრისთვის, წერა-კითხვის ცოდნასთან ერთად, კიდევ ერთი, „პატარა“ რამ — „ქართველკაცობა“ იყო აუცილებელი. აკი მითხრა კიდეც უჩუმრად ბატონმა გურამმა — კაი ქართველი კაციაო. ამიტომ აღვნიშნე ზემოთ ჩემი გაკვირვება ამ კონკრეტული ფაქტის გამო.

რაც შეეხება პატიოსნებას, აქ მეტ-ნაკლებობა არ არსებობს. ან ხარ პატიოსანი, ან — არა.

ეს ასეა, გინდაც ბორჯომის ხეობაში ბატონი ნოდარის პატიოსნებაზე ლეგენდები დადიოდეს!

## რეაქცია ინგა გრიგოლიას „რე-აქციაზე“

**ნიშანდობლივი ფაქტია — იმ გადაცემაში მონაწილეობაზე, რომელიც ტელევიზიებისთვის „რამიშვილის კოდექსის“, რბილად რომ ვთქვათ, ავკარგიანობაზე იყო საუბარი და მგრად თუ ვიტყვით — ტელევიზიების მოხრჩობაზე, უარი განუცხადებიათ „რუსთავი-2“-ს და „მზეს“, ანუ ალხანას და ჩალხანას.**





ან რად უნდოდათ, რო? რამდენიც უნდა ეფრიალებინა ლევან რამიშვილს დიდი ბრიტანეთის ვითომდა ჩვენის მსგავსი კოდექსი, ამ ტელეკომპანიებს სანქციები არ ემუქრებათ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოლიტიკური თოქ-შოუები იქ აღარ არსებობენ. ბოლო ასეთი „უმსგავსობა“ (უფრო სწორად, თოქ-შოუს სუროგატი, მაგრამ მაინც ძეკა ხოფერიასთან ერთად გაქრა, რასაც ნიკა ტაბატაძის და სხვა შუბლის ქარლვგაუწყვეტელი ჟურნალისტების წასვლაც მოჰყვა. ერთ დროს ქართული ტელევიზიების ლიდერი „რუსთავი-2“ ყელში ამოსული შაბათღამის შოუების, საპნის ოპერის სერიალების და გარყვნილი „ჯეობარის“ ასპარეზად იქცა. ამისთანებისთვის კი, განსაკუთრებით ანტიეროვნული „ჯეობარისთვის“, ლევან რამიშვილისგან ვინძლო პრემია დაიმსახუროს „ქართველი ხალხის, ახალგაზრდობის გარყვნის, გადაგვარების საქმეში განსაკუთრებული წვლილისთვის“.

და საერთოდაც, — მაპატიონ სხვა ტელევიზიებმა, თუმცა რომელმა სხვამ? დემოკრატიის ჯიხური „202“ საეჭვო ვითარებაში დაიხურა. ერთი „კავკასია“ დარჩა, მაგრამ ვინაიდან ამ ტელეკომპანიის დაფარვის არეალი შეზღუდულია, ნაკლებად აღელვებს ხელისუფლებას. ერთი „იმედილა“ აჩმახებს“, ყელში ძვალივით აქვს გაჩხერილი „თავისუფლების ინსტიტუტს“, ანუ ხელისუფლებას და „რამიშვილის კოდექსიც“ მის წინააღმდეგ არის მიმართული. ბადრი პატარკაციშვილი რომ მხოლოდ ფულის ტომარა არ არის (ერთხელ თავად თქვა ასე) და ჭკვიანი პიროვნებაა, ამიტომ მიყიდა „ფოქსნიუს“, რუპერტ მერდოკს საკონტროლო პაკეტი. აქედან გამომდინარე, მერაბიშვილის ნილბოსანი რაინდები ისე უპრაგონოდ ვერ შეცვივდებიან იქ, როგორც თუნდაც „ბადაგონში“. „რამიშვილის კოდექსის“ დაკანონებაც ამიტომ სჭირდებათ — იქნებ რაიმე „გაუიმასქნონ“. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ინგა გრიგოლიას ხმამაღლა საუბარი ჩათვალონ ეთიკა-მორალის დარღვევად.

ხელისუფლება ყველა მიმართულებით ემზადება არჩევნებისთვის. აგერ უკვე პირველი მოსმენით მიიღეს კონსტიტუციის მორიგი ცვლილება. რა ვენეციის დასკვნა, რის „ეუთო!“ მთავარია, ლევან რამიშვილის დასკვნა აქვთ, ამ შავი კაცისა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც), რომლის მიმართ აგრესიული განწყობა თვით ყოველმხრივ გაწონასწორებულმა გიორგი თარგამაძემაც ვერ დამალა. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს — გიორგისთან ერთად მეც ამიქავდა ხელები და ვნატრობდი — ერთი რამიშვილის თავი მომცა სადმე „ტუპიკში“-მეთქი.

ბოლოს ინგა გრიგოლიამ დასვა მრავლისმეტყველი კითხვა — რატომ მაინცდამაინც „თავისუფლების ინსტიტუტი“? მართლაც რატომ? რა უფლებით გვიკითხავენ მორალს? ეს ის ხალხია, ვისაც სიტყვა არ დაუსველებია სანდრო გირგვლიანის, ამირან რობაქიძის სადისტურ მკვლელობებზე და ცინიკურ სასამართლო პროცესებზე. ეს ის ინსტიტუტია, რომელის ერთ-ერთი უსახო სახეც „კეკელკა“ თუთბერიძეა. კიდევ გავაგრძელო?

კმარა „კმარა“ და თავისუფლების (იელოველთა) ინსტიტუტი!

**დავით მხეიძე**


№ 255. შაბათი. 23 დეკემბერი. 2006 წელი.

# ორგანიზებული დანაშაული

რთულია იმის დადგენა, ვინ მონაწილეობს და ვინ დგას ამ ბიზნესის უკან, რადგანაც მას ძალზე ძლიერი მფარველები ჰყავს. ბავშვებს პოლონეთში იაფად ყიდულობენ და საზღვარგარეთ ძვირად ყიდიან. მათ პროსტიტუციისა და პორნოგრაფიულ ფილმებში გადასაღებად იყენებენ...




## ტრეფიკინგი

***ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის 2000 წლის აქტის თანახმად (ეს აქტი პრიორიტეტულია აშშ-ში), ამ მიზნით გამოყენებული ადამიანი ბოროტმოქმედების მსხვერპლია და არა — არალეგალურად მომუშავე უცხოელი. აშშ-ს მთავრობა სხვა ქვეყნებშიც აგროვებს ინფორმაციას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და იმათ მიმართ, რომლებიც არ ცდილობენ მდგომარეობის გამოსწორებას, ეკონომიკური სანქციების გამოყენებაც კი შეუძლია. მეორე საკანონმდებლო დოკუმენტია „დაცვის აქტი“, რომელსაც ჯორჯ ბუშმა მოაწერა ხელი და კანონის ძალა მისცა. ამ კანონის თანახმად, აშშ-ში სექსტურიზმის მიზნით ჩასული ნებისმიერი პირი, დამნაშავედ მიიჩნევა. განაჩენი — 30 წლამდე პატიმრობა!***

***ტრეფიკინგი — თანამედროვე მონობის ფორმა — ბოლო წლებში საერთაშორისო ორგანიზებულ დამნაშავეთა მოგების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ იქცა. გამოანგარიშებულია, რომ ადამიანებით ვაჭრობის შედეგად მიღებული თანხები იარაღისა და ნარკოტიკების გაყიდვიდან მიღებულ მოგებას ბევრად აღემატება. „საქონელი“ - ასე უწოდებენ კონტრაბანდისტები მსხვერპლს და შესაბამისადაც ექცევიან. ტრეფიკინგი სულ უფრო ფართოვდება. დიდ სარფასთან ერთად, ამის ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ადამიანს შეუძლია საზღვრები უპრობლემოდ გადაკვეთოს, ხოლო იარაღისა და ნარკოტიკების გადატანა გაცილებით რთულია.***

### 700000 ათასიდან – 4 მილიონამდე გაყიდული ადამიანი

**როგორ იცავს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა თავის მოქალაქეებს ამ საშინელებისაგან? როგორ ებრძვიან ტრეფიკინგს? აგერ, აშშ-ში ამ მუხლით ბრალდებულებს 30 წელს უსჯიან.**

პოლონეთში მოქალაქეთა მხოლოდ 16 პროცენტია უმუშევარი, მაგრამ ქალები, მაღალი ანაზღაურების იმედად, მაინც მიდიან საზღვარგარეთ სამუშაოდ და ხშირად ტრეფიკიორთა მახეში აღმოჩნდებიან ხოლმე. მსხვერპლთა შესახებ პოლონეთში მონაცემთა ერთიანი ბაზა არ არის.

ტრეფიკინგის პრევენციის შესახებ კანონი 2003 წლის სექტემბერში მიიღეს. ადამიანებით ვაჭრობა კანონით 3-დან — 10 წლამდე ისჯება.

საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის წინააღმდეგ მუხლის დამატების შესახებ კანონი 2003 წლის 10 ივლისს კი შევიდა ძალაში, მაგრამ თანამედროვე მონობის აღსაკვეთად,




ფაქტობრივად, არაფერი კეთდებოდა. კანონი ტრეფიკიორს 3-დან — 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით სჯის.

თუმცა, მას შემდეგ, რაც საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა და ევროპის სასამართლო იურისდიქცია აღიარა, საქართველოს მოქალაქეებს თავისი უფლებების დასაცავად დამატებითი შესაძლებლობა მიეცათ. დოკუმენტში, რომლის ავტორია ეუთო-ს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის საერთო კომიტეტი, ორი მოწოდებაა:

ეუთოს წევრებისადმი - „ნაციონალურ კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნას თანხები და ინსტიტუტები ადამიანებით უკანონოდ ვაჭრობასთან ბრძოლისათვის;“

ევროკავშირისა და NATO-ს წევრებისადმი - „მხარი დაუჭირონ მაღალ მოთხოვნებს დემოკრატიასთან, ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობასთან მიმართებაში.“

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 2002 წელს მთელს მსოფლიოში 700 000-დან — 4 მილიონამდე ადამიანი იყიდეს, გაყიდეს და დააკავეს.

საქართველოში ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა. სხდომაზე შემუშავდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების გეგმა. იგი დასამტკიცებლად საქართველოს პრეზიდენტს წარედგინა, ხოლო მისი ბრძანებულებით, 2006 წლის პირველ სექტემბერს ამ საბჭოს დებულება დამტკიცდა. თავმჯდომარედ საქართველოს გენერალური პროკურორი დაინიშნა. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 000 ლარი გამოიყო. „ვიმედოვნებთ, რომ გაისად ეს თანხა 300000 ლარამდე გაიზრდება,“ — ამბობს ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი მარინე მესხი. მისი თქმით, შარშან სამართალდამცველებმა ტრეფიკინგის 12 ფაქტი გამოავლინეს. ამა წლის პირველ ნახევარში კი უკვე ექვსი შემთხვევა აღინუსხა.

პოლონეთში ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი თავშესაფრებია, სადაც ქალები რეაბილიტაციას სამ წელს გადიან. მათ ემსახურებიან პროფესიონალი ფსიქოლოგები, ექიმები და ა.შ.

ასეთივე თავშესაფარი გაიხსნა საქართველოშიც. შენობა სახელმწიფომ გამოჰყო. „ეს თავშესაფარი აჭარის ტერიტორიაზეა და ორი ბინადარიც გვყავს. სხვა დაზარალებულებიც გვყავდა, მაგრამ, რადგან მათს საქმეს თბილისში იძიებდნენ, აჭარაში მათი გადაყვანა ვერ მოხერხდა. მობინადრეს თავშესაფარში შეუძლია იცხოვროს სამი დღიდან სამი თვის განმავლობაში. თუმცა, ამ ვადის გაგრძელებაც შესაძლებელია. რადგანაც ფონდი ახალშექმნილია, საინტეგრაციო პროგრამები ჯერ არა გვაქვს. იმედია, ეს პროგრამები გაისიდან ამუშავდება და თავშესაფარში მცხოვრებლებს შემდგომში დასაქმება შეეძლებათ. სამართალდამცველმა სტრუქტურებმა მოგვმართეს, დაზარალებულები თავშესაფარში მოგვეთავსებინა. პირველ დაზარალებულს სამედიცინო დახმარება დასჭირდა და ქირურგიული ოპერაცია ჩვენი ფონდიდან დაფინანსდა,“ — ამბობს მარინე მესხი. მისი თქმით, სავარაუდოდ, გაისად თბილისშიც გაიხსნება ამგვარი თავშესაფარი.

### „ქალთა ბაზრობა“ უფრო პირუტყვის ბაზარს ჰგავდა

**ვარშავაში, საქართველოსგან განსხვავებით, პროსტიტუცია ლეგალიზებულია, თუმცა ამ ბიზნესის წარმომადგენლები მაინც ცდილობენ, შენიღბულად იმოქმედონ — გახსნილია ე. წ. მასაჟის სალონები, სადაც მოლდოველი და უკრაინელი მეძავი გოგონები კლიენტებს ემსახურებიან. მათი ფასი საათში 150-დან — 400 ზლოტამდეა (1 დოლარი, დაახლოებით, 3.75 ზლოტია).**

ტრეფიკინგის ბიზნესში პოლონეთი გამტარი ქვეყანაა. იქ ჩაჰყავთ ბულგარელები, მოლდოველები, უკრაინელები... დაახლოებით, 50 000 უცხოელი ქალია შეყვანილი. მათგან ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებიდან — 5 000-მდე. არაოფიციალურად, დაახლოებით, 10000 პოლონელი ქალი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი.

წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან საროსკიპოების რაოდენობა გაიზარდა. ხშირად ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები ხელს აფარებენ ტრეფიკიორებს, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება.

ორიოდე წლის წინათ ვარშავის მახლობლად „ქალთა ბაზრობა“ მუშაობდა, იგი პირუტყვით ვაჭრობის ბაზარს უფრო ჰგავდა. ქალს შეაფასებდნენ და ყიდდნენ. ერთი ქალი 3500 დოლარად გაიყიდა. ასეთი ბაზრობა პოლონეთში რამდენიმე იყო.

რთულია იმის დადგენა, ვინ მონაწილეობს და ვინ დგას ამ ბიზნესის უკან, რადგანაც მას ძალზე ძლიერი მფარველები ჰყავს. ბავშვებს პოლონეთში იაფად ყიდულობენ და საზღვარგარეთ ძვირად ყიდიან. მათ პროსტიტუციისა და პორნოგრაფიულ ფილმებში გადასაღებად იყენებენ...

ალბანეთსა და მოლდოვაში ოჯახები შვილებს პოლონეთში ყიდიან. 7-დან — 12 წლამდე ასაკის ბავშვები „მეურვეებს“ სამათხოვროდ შემოჰყავთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან. დიდი ალბათობაა, რომ მათ ტრანსპლანტაციისთვისაც იყენებენ, ზოგს კი მონური შრომისთვის სწირავენ. 13-დან 17 წლამდე ვიეტნამელი პროსტიტუტი ბავშვები აცხადებენ, რომ სრულწლოვანები არიან. სტატისტიკური მონაცემებით, პოლონეთში 100000-ზე მეტი ვიეტნამელი ცხოვრობს. ჩინელებს ჰყავდათ 14 წლის მონღოლი ბიჭი, რომელიც დედამ პოლონეთში გაყიდა. ბიჭუნას უმცროსი და ნორვეგიაში გაიყვანეს.

„საქართველო მხოლოდ სატრანზიტო ქვეყანა აღარაა, მიმღებიც ვართ. ქვეყნის შიგნითაც ხშირია ტრეფიკინგი (ამას ქვეყნის კანონმდებლობა აღიარებს), ანუ პიროვნებას ერთი რეგიონიდან მეორეში თუ მოტყუებით ჩაიყვანენ და მონურ პირობებში ამუშავებენ — ესეც ტრეფიკინგის ფორმაა. ამას გარდა, ტრეფიკინგის ყველა ფორმა გვაქვს — ბავშვთა პორნოგრაფია, სექს-ბიზნესი, ქალების სექს-ბიზნესი... მომრავლებულია ე.წ. სასტუმროები, საუნები. ტრეფიკინგის მსხვერპლნი მხოლოდ ქალები და ბავშვები არ არიან. დაწყებულია გამოძიება ზემო სვანეთში მამაკაცთა ტრეფიკინგის ფაქტების გამო,“ — განაგრძობს მარინე მესხი.

# მესამე ტალღის მიგრანტები

### არ გაებათ მახეში!

**„ვიწვევთ 16-დან — 25 წლამდე ასაკის გოგონებს საზღვარგარეთ სამუშაოდ, სასწავლებლად, მაღალი ანაზღაურებით, სტიპენდიით, საცხოვრებელი ფართი უზრუნველყოფილია...“ ეს ან სხვა მსგავსი შინაარსის განცხადებები ქართულ პერიოდიკაში ხშირად ქვეყნდება. ადამიანებსაც სჯერათ. ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანებით მოვაჭრეებს მსხვერპლის ხელში ჩასაგდებად ახალი გზა გაუხსნა. ვირტუალური სამყაროს (ინტერნეტის) საშუალებით ბევრი გოგონა ტრეფიკიორთა მსხვერპლი გახდა.**

„უმუშევრად დარჩენილს, რძალმა თურქეთში წასვლა შემომთავაზა. ერთ-ერთ ოჯახში ავადმყოფისთვის უნდა მომევლო, მაგრამ დამიწუნეს. სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო. წამიყვანეს სასტუმროში, სადაც „ბაზრის ქალები“ ღამეს ათევდნენ. ბაზარში წვრილ-წვრილ საქონელს ვყიდდი. ერთ-ერთ კაზინოში ჭურჭლის მრეცხავადაც ვიმუშავე. უფროსისგან ველოდი დაპირებულ კაპიკებს... ერთ-ერთ სასტუმროში მოახლედ დავიწყე მუშაობა. აღმოჩნდა, რომ სასტუმრო არაოფიციალური საროსკიპო იყო. რუს გოგონებს, რომლებიც კლიენტებს ემსახურებოდნენ, ღამეში 80-დან — 100-დოლარამდე უხდიდნენ. ასე მოვხვდი ჩაკეტილ სასტუმროში... მოტყუებით მოიყვანეს 18 წლის ქართველი გოგონაც... სიმართლე რომ გაიგო, ისტერიკაში ჩავარდა. ყოველი კლიენტის დანახვაზე ცხარე ცრემლით ტიროდა. ბოლოს თავისივე კლიენტებმა სამშობლოში გააპარეს,“ - მოგვითხრობს ტრეფიკინგის ერთ-ერთი ქართველი მსხვერპლი.

„მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ მშიერი ხალხი ისედაც დანგრეულ ეკონომიკას გააჩანაგებდა. გაგვქონდა ყველაფერი — დანები, ჩანგლები, საპონი, სპილენძი... თავიდან იმედი გვქონდა, რომ თურქეთში მხოლოდ ვივაჭრებდით... ბაზარს, სადაც ჩვენ ვიდექით, რუსების ბაზარს ეძახიან. ასეთი ადგილები თურქეთის თითქმის ყველა ქალაქშია. მერე სამსახურებს ვშოულობდით, მაგრამ იმდენს არ გვიხდიდნენ, რამდენსაც გვპირდებოდნენ, ბევრი მეძავი გახდა... როდემდე უნდა მდგარიყვნენ ღია ცის ქვეშ. რესტორნებში, კაზინოებში, ბარებში ქართველები ძირითადად მრეცხავებად და შავ მუშებად მუშაობენ. ვისწავლე თურქული ენა და თურქებთან ურთიერთობა გამიადვილდა. მერე კი ერთ თურქს დავუმეგობრდი...“ — ჰყვება კიდევ ერთი ქართველი, რომელიც თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, საბერძნეთში ბედის საძიებლად გაეშურა. თუმცა იქაც არ გაუმართლა და, დეპორტაციის შიშით, სამართალდამცველებს ემალება, სამშობლოში დასაბრუნებლად თანხასაც ვერ აგროვებს.



„...თუ გასული საუკუნის პირველ ნახევარში სამშობლოს დამოუკიდებლობის ხელყოფისგან გამოწვეულ ტკივილსა და კომუნისტების ტყვიით სიკვდილს გარიდებულ ქართველობას პოლიტიკურ ემიგრანტებს ვუწოდებთ, დღეს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, შიმშილსა და განუკითხაობას გამოქცეულ ქართველებს შეიძლება ეკონომიკური ემიგრანტები, ანუ მესამე ტალღელები ვუწოდოთ,“ — წერს გერმანიის ქართველთა სათვისტომოს გაზეთი „თანამემამულე“.

ამ მდგომარეობაშია თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის მოქალაქე, ვინც საზღვარგარეთ უკეთესი მომავლის იმედით მიდის.

**ოლღა ცისკარიშვილი**

№ 255. შაბათი, 23 დეკემბერი, 2006 წელი.

● როგორც ჩანს, მსოფლიოს ყველა აკადემიის წინაშე დგას ქვეყნის პროგრესისათვის აუცილებელი ეს ამოცანა – ან ახალი აკადემიების ჩამოყალიბება, ან ძველის განახლება-გაახალგაზრდავება




◉ მეცნიერება

# ალექსანდრიულ მსოფლიო ფორუმზე

**ეგვიპტის ლეგენდარულ ქალაქ ალექსანდრიაში 5 დღე გრძელდებოდა მსოფლიოს მეცნიერებათა აკადემიის ფორუმი. ეს გაერთიანება ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება, მთელი მსოფლიოს მასშტაბით აკადემიური მეცნიერების განვითარებაზე საფუძვლიანად სამსჯელოდ.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ამ ასოციაციის წევრია და ალექსანდრიის ფორუმზე პრეზიდენტით – თამაზ გამყრელიძით იყო წარმოდგენილი. სხვადასხვა დღეს შედგა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, დედამიწის, სამყაროს, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგებისადმი მიძღვნილი სხდომები. იმართებოდა დისკუსიები ისეთი ფუნდამენტური პრობლემების გარშემო, როგორიცაა ფიზიკა და მისი მომავალი, საერთო ფიზიკასა და ბიოლოგიას შორის, მეცნიერება და ეთიკა, ცოდნისა და რწმენის ურთიერთობა და მრავალი სხვა. გამომსვლელთა შორის იყვნენ ამა თუ იმ დარგის გამოჩენილი სპეციალისტები, მათ რიცხვში – არაერთი ნობელიანტიც.

ცოდნის და რწმენის ურთიერთობების საკითხისადმი ცხოველი ინტერესი XIX საუკუნის მიწურულში იღებს სათავეს და უდიდეს მოაზროვნეთა და ბუნებისმეტყველთა ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა (როგორებიც იყვნენ, მაგალითად მაქს პლანკი, ალბერტ აინშტაინი და მრავალი სხვაძ, რამდენადაც ეს საკითხი არსებითად უკავშირდება სამყაროს ყოველმხრივ შესწავლას.

ფორუმზე იყო ფართო მსჯელობა სხვადასხვა ქვეყნის აკადემიებს შორის ურთიერთობათა დამყარების, ხოლო უკვე არსებული კონტაქტების შემთხვევაში, განმტკიცების თაობაზე. ჩვენი აკადემიის პრეზიდენტს საქმიანი საუბრები ჰქონდა პოსტსაბჭოური სივრცის რამდენიმე ქვეყნის აკადემიის პრეზიდენტთან, აგრეთვე „დანარჩენი“ საზღვარგარეთის ქვეყნებისაც. დელეგატთა შორის მყოფმა ამერიკის ნაციონალური აკადემიის პრეზიდენტმა რალფ სისერონმა განმეორებით მიიწვია თამაზ გამყრელიძე ვაშინგტონში, როგორც პრეზიდენტ ლინკოლნის მიერ 1863 წელს დაარსებული ამ აკადემიის ახლადარჩეული უცხოელი წევრისთვის გაისად, აპრილში განზრახულ ყოველწლიურ საზეიმო სხდომაზე შესაბამისი დიპლომისა და მედლის გადასაცემად.

ფორუმზე აღინიშნა, რომ სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებზე მდებარე ქვეყნები, მეცნიერებათა აკადემიების თვალსაზრისით, ნაკლებად არიან წარმოდგენილი მსოფლიო ასოციაციაში. არაერთ ასეთ „უაკადემიო“ ქვეყანაში უნდა შეიქმნას მეცნიერებათა აკადემიები, რომლებიც შემდგომ ასოციაციაში გაერთიანდებიან. გაცხოველებული მსჯელობა გაიმართა აგრეთვე აკადემიების გაახალგაზრდავების ირგვლივ; როგორც ჩანს, მსოფლიოს ყველა აკადემიის წინაშე დგას ქვეყნის პროგრესისათვის აუცილებელი ეს ამოცანა – ან ახალი აკადემიების ჩამოყალიბება, ან ძველის განახლება-გაახალგაზრდავება.

აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ მეცნიერება, საზოგადოდ, ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი კომპონენტია. ეს გულისხმობს, რომ მეცნიერული მიღწევები ლიტონ სიტყვად კი არ უნდა დარჩეს, არამედ რეკომენდაციებისა თუ რჩევების სახით უნდა მიეწოდოს ხელისუფლებას ქვეყნის განვითარებისათვის გამოსაყენებლად. მეცნიერებათა აკადემიას ძალუძს და კიდევაც უნდა იყოს მთავრობის მრჩეველი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხებში – იყოს მისი ინტელექტუალური მრჩეველი. ჩვენი აკადემიის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აკადემიის პრეზიდიუმმა არაერთი სხდომა მიუძღვნა როგორც ფუნდამენტური მეცნიერების, ისე გამოყენებითი ტექნოლოგიების პრობლემებს. განსაკუთრებით გამოჰყო ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილებისა და სასმელი წყლის რესურსების საკითხების განხილვა (სხვათა შორის, მსოფლიოში სასმელი წყლის პრობლემა ფორუმზე ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იქცა; იყო აგრეთვე სპეციალური მსჯელობა გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტის ავკარგიანობის შესახებძ. თამაზ გამყრელიძემ შეკრების მონაწილეებს აცნობა, რომ ამ განხილვის შედეგებმა უკვე გამოიწვია საქართველოს ხელისუფალთა დაინტერესება და სათანადო ორგანოებს დაევალა დასახული გეგმების განსახორციელებლად ღონისძიებათა გატარება.

**თამაზ ეზანოიძე**

◉ ეს იყო 13 წლის წინათ

# „როგორ საქართველოში მინდა ცხოვრება?“

## მეხუთეკლასელი მოსწავლეების თვალით დანახული სამოქალაქო ომი

**რედაქციაში ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარი ბატონი რეზო დონაძე გვესტუმრა და ძველი ყავისფერი კონვერტი მოკრძალებით გადმოგვცა: „აქ თბილისის №1 ექსპერიმენტული სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეების თემებია, რომლებიც 1993 წელს დაიწერა. ჩემმა მეუღლემ რუსუდან გირკელიძემ – კლასის დამრიგებელმა და ისტორიის მასწავლებელმა ისინი დღემდე შემოინახა. წაიკითხეთ, 13 წლის გადასახედიდან უთუოდ დააინტერესებს თქვენი გაზეთის მკითხველს“...**

**კონვერტში 11 თხზულება და ერთი ლექსი ვიპოვეთ. „როგორ საქართველოში მინდა ცხოვრება?“ – ამ ერთადერთ შეკითხვას უპასუხებენ თბილისელი ბავშვები... ეს ის პერიოდია, როცა საქართველო ძმათამკვლელი ომის ცეცხლშია გახვეული, სისხლი ისევ ამჩნევია რუსთაველის პროსპექტს. ძმა – ძმას, ოჯახი – ოჯახს, უბანი უბანს გადამტერებია. და ასეთ ვითარებაში, მეხუთეკლასელი ბავშვები გულის დარდს თეთრ ფურცელს ანდობენ. ყველაზე მართალი, ყველაზე გულწრფელი ბავშვის ფიქრია, რომელიც ახლა, 13 წლის შემდეგაც გვაფრთხილებს და მომავალზე გვაფიქრებს. მოდით, გავეცნოთ ამ სტრიქონებს.**

**ვანდა შიუკაშვილი:** „სიცოცხლე ძნელია, მით უფრო ახლა. ჩვენ ყველას გვაწუხებს ეს პრობლემა: მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობა და სიწყნარე გვიშველის ჩვენ. ყოველი ქართველი უნდა დაფიქრდეს ამაზე, მოვიდეს გონს.

მე მინდა, რომ საქართველოში იყოს მშვიდობა, რომ არ ემტერებოდნენ ერთმანეთს ქართველები, დედა და შვილი, და და ძმა. მინდა, რომ საქართველო ყვაოდეს, ყველა მეგობრულად ცხოვრობდეს და ტყუილუბრალოდ არ იღვრებოდეს ქართველთა სისხლი.

მე ვფიქრობ, რომ ამ ომში, რომელიც თბილისში დატრიალდა, არავინ იქნება გამარჯვებული, არც ოპოზიცია და არც პოზიცია“.

**ეკა გოგიჩაიშვილი:** „მე მინდა, რომ ჩემი საქართველო იყოს დამოუკიდებელი, მშვიდობიანი. მინდა, ყველა ქართველი ამაყობდეს საქართველოს დამოუკიდებლობით. რუსთაველზე მრავალი უდანაშაულო ქართველის სისხლი დაიღვარა. მრავალი უბრალო და უდანაშაულო ხალხი დარჩა უსახლკაროდ. დაინგრა და დაიწვა უძველესი შენობები.



მე არც ერთ მხარეს არ ვემხრობი, მაგრამ ერთ შეკითხვას ვსვამ: ვისი გულისთვის დაიღვარა ქართველის უდანაშაულო სისხლი? რისთვის დაინგრა უძველესი შენობები? რისთვის გაანადგურეს უბრალო ადამიანთა ოჯახები და უსახლკაროდ დატოვეს ისინი? რუსთაველის ულამაზესი პროსპექტი დაინგრა და გაოხრდა. მე მინდა, საქართველო მალე აშენდეს“.

თითქმის ყველა ბავშვს უნდა, რომ იცხოვროს თავისუფალ, აყვავებულ, მშვიდობიან საქართველოში, სადაც არ იქნება სისხლისღვრა, ერთმანეთის მტრობა და ძარცვა.

**ვიქტორ ჯანგირაშვილი** ოცნებობს ისეთ საქართველოზე, სადაც ყველა ქართველს ეყვარება თავისი მამული, თავისი ხალხი, ეცოდინება საქართველოს ისტორია.

**გიორგი კალაკაშვილს** ისეთ საქართველოში უნდა ცხოვრება, როგორიც დავითის და თამარის დროს იყო: „ჩემთვის სულ ერთია, ვინ იქნება პრეზიდენტი ან მინისტრი, ოღონდ ღირსეული იყოს. მე მინდა, რომ საქართველო იყოს ლამაზი ედემის ბაღივით, როგორც გმირი მეფეების დროს იყო – აყვავებული და გალამაზებული. მე მინდა, რომ ყველამ იცოდეს მასზე და არ მინდა, ისე წაილეკოს, რომ ქვეყნიერებაზე არავინ უწყოდეს მისი სახსენებელი“...

**მარიკა სურგულაძეს** გული სტკივა, რომ მთელ მსოფლიოში შევრცხვით: „ჩვენ მხოლოდ მაშინ გამოვასწორებთ ამ შეცდომას, როცა თითოეული ქართველი ერთმანეთს მხარში ამოვუდგებით“.

**თეა შანიძე** სისხლისღვრაში ორივე მხარეს – პოზიციასაც და ოპოზიციასაც ადანაშაულებს: „ის ახალგაზრდები, რომლებიც ერთმანეთს ესროდნენ, ნუთუ ერთხელ მაინც არ დაფიქრებულან, ვის ვესვრიო? ჩემს ძმას? ნუთუ, ისინი ერთხელ მაინც არ შეაწუხა ცოდვებმა? მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. მე ორივე მხარე დამნაშავედ მიმაჩნია“.

მთავარია შევრიგდეთ და მოვინანიოთ ცოდვები, მხოლოდ ასე გადავრჩებითო, – ფიქრობს თეა.

**ნათია შანშიაშვილი** სისხლისღვრაში ოპოზიციას და პოზიციას ადანაშაულებს, ყველაზე მეტად კი საქართველოს პრეზიდენტს სდებს ბრალს; ქართველობის უმეტეს ნაწილს მისი სჯეროდა და სწამდაო: „რას ჰგავს ჩვენი უსაყვარლესი რუსთაველის გამზირი? განა ეს ქართველ ხალხს ეკადრებოდა? გაუბედურებულია №1 სკოლა, სადაც ერის დიდი შვილები სწავლობდნენ. როგორ არ დაუვარდათ იარაღი, როდესაც ისინი ეკლესიას ესროდნენ? უაზროდ ისროდნენ და უდანაშაულო ხალხს ხოცავდნენ. კმარა! გვეყოფა! დავწყნარდეთ და შევრიგდეთ“.

ბავშვებს უფლის იმედი აქვთ, რომ საქართველოს გადმოხედავს და უშველის.

„მინდა, რომ საქართველო საზღვარგარეთივით ლამაზი იყოს. მინდა, რომ საქართველოში ბეჯითი მოსწავლეები იყვნენ და სკოლიდან „შატალოზე“ არ მიდიოდნენ. ვინც შატალოზე წავა, მკაცრად ისჯებოდეს. დღეს საქართველოში ქართველი ქართველს, ძმა ძმას კლავს, ადამიანებს არ უყვართ მუშაობა...“ – წერს **დათო ძიძიკაშვილი.**

ბავშვები ისეთი საქართველოს აშენებაზე ოცნებობენ, რომელიც თავისუფალი და სათნოებით მოსილი იქნება.

**რუსუდან მასწავლებლის მიერ რუდუნებით შენახული ეს თხზულებები მართლაც ძვირფასი რელიკვიებია.**

**რედაქცია სთხოვს ამ თემების ავტორებს (უკვე წამოზრდილ ქალ-ვაჟთძ და გაზეთის მკითხველებს, მოგვაწოდონ შთაბეჭდილებანი დღევანდელ საქართველოზე.**

დაბოლოს, გვინდა მადლობა გადავუხადოთ კლასის დამრიგებელს, ისტორიის მასწავლებელს, ქალბატონ რუსუდან გირკელიძეს, ვინც ეს თხზულებები შემოგვინახა. ბავშვებმა მისდამი სიყვარული ლექსით გამოხატეს. რუსუდან მასწავლებელს უავადმყოფია და თურმე სკოლაში დიდხანს არ დადიოდა. ნ. დვალს ლექსი დაუწერია. ბავშვური გულწრფელობით ალსავსე სტრიქონებში ისტორიის დიდი სიყვარული და მასწავლებლისადმი მონატრებაა განდობილი. ბავშვებს აკლიათ რუსუდან მასწავლებელი და მისი საინტერესო გაკვეთილები:

*„ჩვენ თქვენ კვლავ გელით*
*სკოლის კარებთან,*
*კვლავ ვეჭიდებით*
*ამ გრძელ მოლოდინს“...*

ასეა. კარგი მასწავლებელი ყოველთვის ცოცხლობს ბავშვის სულში და ყოველთვის მისგან რაღაცას სწავლობს, გინდაც დიდხანს ვერ ნახოს და ესაუბროს.

და განა ჩვენ დღეს არაფერი გვასწავლა რუსუდან მასწავლებლის მიერ 13 წლის მანძილზე შემონახულმა ამ თხზულებებმა?

**თამარ შაიშმელაშვილი**

№ 255. შაბათი, 23 დეკემბერი, 2006 წელი.

**საგულისხმოა იმის ხაზგასმაც, რომ დიმიტრის მეუღლე დარეჯან ჩხეიძე-კუპატაძისა პეტერბურგის ქართული სკოლის დირექტორია, ვაჟი გიორგი კუპატაძე კი, სახელოვანი მამის კვალზე შემდგარი ახალგაზრდა ქირურგი.**

◉ ქართველები რუსეთში

# ჯადოქარი ქირურგი

## დიმიტრი კუპატაძე... პეტერბურგიდან

**დილა მშვიდობისა, ბატონო დიტო!**

**თქვენი დაბადების ადგილის დედის, თბილის-ქალაქის ერთ-ერთი უბნიდან მოგესალმებით...**

**დარწმუნებული ვარ, ამ დღეებში განსაკუთრებით გენატრებათ საქართველო, მისი დედაქალაქი, ბავშვობის მეგობრები, აგრეთვე, სიყვარულის ქუთაისში, მშობლიურ იმერეთში გატარებული დღეები...**

**ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ მიხარია, კიდევ ერთი ღირსეულ კაცზე რომ ვწერ.**

**თქვენი ახლობლებისა და მეგობრებისგან შევიტყვე, რომ 26 დეკემბერს 60 წელი გისრულდებათ.**

ექიმების ოჯახში დაბადებული და გაზრდილი ბიჭი, გამორჩეულად თავაზიანი, ზრდილი, წიგნის ჭია და მშობლების დამჯერი ყოფილხარ.

იმერელ კუპატაძეებს ვისაც ვიცნობ, ყველა ცეცხლივით სწრაფი, ემოციური და დაუდეგარია.



თქვენი თანდაყოლილი სევდაფიქრიანობა, ეჭვგარეშეა, მშობლების პროფესიულმა ინტერესმა განაპირობა.

ნამდვილი ექიმი ხომ ათასგვარი სენით შეპყრობილ ავადმყოფებზე ფიქრში ათენებს და აღამებს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ორი წელიწადი სანიტრად მუშაობდით.

იმხანად თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩასარიცხთა სიებს წინასწარ ადგენდნენ, კორუფცია და ალებ-მიცემობა სჭამდა და ჯაბნიდა წიგნიერ აბიტურიენტებს.

1965 წელს ლენინგრადის სამედიცინო პედიატრიულ ინსტიტუტში ჩაირიცხეთ.

მაშინ ამას თითო-ოროლა ქართველი თუ ბედავდა, თუმცაღა, ვინც გაბედა და ნამუსიანად ისწავლა, უზარმაზარი რუსეთის, უფრო ზუსტად, მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საავადმყოფო-კლინიკებში დიდად გამორჩეული მედიკოსის სახელიც დაიგდო.

საბედნიეროდ, ასე გრძელდება დღესაც, რადგანაც ტოლსტოისა და დოსტოევსკის რუსეთის გონიერი ინტელიგენციის ნაწილი სწორად აფასებს ელცინისა და პუტინის ვირეშმაკულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ და საჭირო, სხვადასხვა დარგის აღიარებული ქართველი პროფესიონალები დეპორტაციისთვის (გამოდევნისთვის!) არ ემეტება.

* * *

**...ნათლად წარმოვიდგენ, როგორ შეძრწუნებული იდგნენ პროფესორი დიტო (დიმიტრი) კუპატაძე და მისი პეტერბურგელი ქართველი მეგობრები** (ორ საუკენეზე მეტია იქ ათეულ ათასობით ქართველი ცხოვრობს და მოღვაწეობს) **ჩრდილოეთის დედაქალაქის რუსი ინტელიგენციის მიერ ამ ერთი თვის წინათ მოწყობილ საპროტესტო მიტინგზე...**

**მიტინგი იმდენად ხალმხრავალი და პრინციპული ყოფილა, სანქტ-პეტერბურგის ხელისუფლებას ერთმნიშვნელოვნად გადაუწყვეტია: ერთმორწმუნე ქართველთა შეურაცხყოფა დაუყოვნებლივ შეწყდესო!..**

**სხვათა შორის, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ პეტერბურგიდან, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ქართველთა დეპორტაცია არც მომხდარა.**

**რუსეთის ყველაზე კულტურული ქალაქის ამ გადაწყვეტილებამ, ბოლოს და ბოლოს, მოსკოვიც დააფიქრა.**

ამ ჰუმანური გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი სანქტ-პეტერბურგში მოღვაწე ქართველი მეცნიერები, კულტურის, მედიცინის, სპორტის დარგში რუსეთის და რუსების სასარგებლოდ თავგადადებული ქართველი სპეციალისტები იყვნენ.

მათ შორის ერთ-ერთია ჩვენი პატარა წერილის ადრესატი, პეტერბურგელთა ერთ-ერთი უსაყვარლესი ბავშვთა ქირურგი დიმიტრი კუპატაძე.

* * *

ლენინგრადის პედიატრიულ ინსტიტუტს შემდეგ სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო სამედიცინო პედიატრიული აკადემია ეწოდა. ეს ინსტიტუტი-აკადემია დიტო კუპატაძის პრაქტიკული და მეცნიერული წრთობა-დაოსტატების სკოლა გახდა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, რუსული ენის საფუძვლიანად ცოდნის წყალობით, ქართველი ჭაბუკი დატვირთული იყო სამეცნიერო-საკვლევი საქმიანობით. 1983 წლიდან სისტემატურად იხვეჭდა ოქროს მედლებს და უმაღლესი ხარისხის დიპლომებს საკავშირო და რუსეთის სახელმწიფო სამეცნიერო კონფერენციებზე. ყოვლად გაურთულებლად დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ბავშვთა სისხლძარღვების დაავადებათა ურთულეს პრობლემებზე.

1980 წელს პრობლემური ლაბორატორია ჩამოაყალიბა ანგიომიკროქირურგიაში... რამდენიმე წლის შემდეგ ეს ლაბორატორია დიდ განყოფილებად გარდაიქმნა. ყოველწლიურად აქ მინიმუმ 700 ბავშვი იღებს სამედიცინო დახმარებას, იკეთებს უმძიმეს ოპერაციებს. ბოლო 10 წლის განმავლობაში დიმიტრი კუპატაძის თაოსნობით გახსნილ განყოფილებაში 10 000 მოზარდს გაუკეთეს სისხლძარღვთა პათოლოგიის ოპერაცია.

**პეტერბურგელები დიმიტრი კუპატაძეს ღმერთისგან მოვლენილ ქირურგს უწოდებენ.**

**გამოჯანმრთელებული პატარების მშობლები მას ხელებს უკოცნიან.**

ამიტომაც, 1996-2001 წლებში ქართველ დასტაქარს პეტერბურგის ბავშვთა მთავარი ქირურგის პოსტი ეკავა, თუმცაღა, მისთვის თანამდებობას არასდროს არ ჰქონია რაიმე გამორჩეული მნიშვნელობა, ის სიკეთით და ნებისმიერი ეროვნების ბავშვთა სიყვარულით სავსე პრაქტიკოსია, როგორც ჩვენში იტყვიან, — საკუთარი პროფესიის ჯადოქარი.

2004 წლიდან დიმიტრი მაინც ვერ ასცდა „დიდი კაცის სავარძელს“ — კვლავ აირჩიეს სანქტ-პეტერბურგის ბავშვთა სისხლძარღვების მთავარ ქირურგად. **ამავე დროს ის არის გენიალური ფრანგი ექიმის ამბრუაზა პარეს სახელობის ბავშვთა ანგიოლოგების და სისხლძარღვების ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი.**

**ცნობისთვის: XVI საუკუნის ფრანგი ექიმი, რომელიც საფრანგეთის მეფე შარლ IX-ის პირადი ქირურგი იყო, მსოფლიოში მეცნიერული ქირურგიის ფუძემდებლად ითვლება. ამბრუაზა პარე გამოირჩეოდა ყველა იმ ადამიანური თვისებებით, რომელსაც ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული ექიმი უნდა ატარებდეს. მას მსოფლიოში პირველად გაუკეთებია ეგრეთ წოდებული ღია ოპერაციები არა მხოლოდ წარჩინებულებისთვის, არამედ რიგითი ავადმყოფებისთვისაც. როცა კათოლიკე მეფემ მას პროტესტანტული რწმენის შეცვლა სთხოვა, პარემ უშიშრად განუცხადა: თქვენო უდიდებულესობავ, მე არ შემიძლია სამი რამის გაკეთება — არ ვიყო თქვენი ერთგული, არ ვიყო ქირურგი და... არ ვიყო ჰუგენოტი... კათოლიკეებმა პროტესტანტებს ბართლომეს ღამე მოუწყვეს.**



* * *

დიმიტრი კუპატაძე 170-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის რამდენიმე მსოფლიოში აღიარებული გამოგონებისა. იგი თანაავტორია წიგნისა, „ბავშვთა კლინიკური ანგიოლოგია და ანგიოქირურგია“.

1999 წელს ამერიკის ქალაქ ლუივილში (კენტუკის შტატი) საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებისა და ამერიკელ კოლეგებთან ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის „ლუივილის საპატიო მოქალაქის“ წოდება და საჩუქრად — უნიკალური აპარატურა მიიღო.

...რა თქმა უნდა, პეტერბურგში „გადაკარგული“ ქირურგი უშურველად ეხმარება საქართველოდან ჩასულ ავადმყოფ ბავშვებს.

მას არ შეუძლია კოლეგებისთვის (ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს) მიცემული სიტყვის გატეხვა, — **არ იყოს გულმოწყალე ქართველი და ყველა გაჭირვებული ბავშვის მკურნალი.**

**მერედა, როგორი მკურნალი — ღმერთისგან მოვლენილი...**

საგულისხმოა იმის ხაზგასმაც, რომ დიმიტრის მეუღლე დარეჯან ჩხეიძე-კუპატაძისა პეტერბურგის ქართული სკოლის დირექტორია, ვაჟი გიორგი კუპატაძე კი, სახელოვანი მამის კვალზე შემდგარი ახალგაზრდა ქირურგი.

დილა მშვიდობისა, სანაქებო ქართველებო, მრავალ შობა-ახალ წელს დასწრებოდეთ!

**სპარტაკ ქობულია**

◉ გლობუსი

# ღმერთისა და კოსოვოს შემყურე

**გაზთან დაკავშირებულმა ციებ-ცხელებამ ისეთი საკითხიც კი გადაფარა, როგორიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, თუმცა თუ გულახდილები ვიქნებით, მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ამ საკითხით არც მანამდე იკლავდა თავს. წლების განმავლობაში თუნდაც ერთი წარმატებული ნაბიჯის განუხორციელებლობამ თავისთავად დაბადა ნიჰილისტური განწყობა. წინა ხელისუფლების სრული უმოქმედობის ფონზე, ისეთი პროპაგანდა იყო გაჩაღებული, ეს-ესაა დაკარგული ტერიტორიები ბრუნდებაო. სასურველის რეალობად მოჩვენებამ და ხანგრძლივმა, უშედეგო ლოდინმა ინდიფერენტიზმი გაალვივა საზოგადოებაში.**

მეხსიერებას დღესაც შემორჩა საქართველოს პრეზიდენტის მიერ აფხაზეთის დეპუტაციის კატეგორიული მოთხოვნით ჩატარებული, აფხაზეთის საკითხის განხილვის ამსახველი, თითქმის ყოველთვიური სხდომები, მაშინდელი ადმინისტრაციული ორგანოებისა და საგარეო უწყების ხელმძღვანელთა უსუსური, პრიმიტიული გამოსვლები.

წინა ხელისუფლებამ, წლების განმავლობაში, ისიც კი ვერ გაარკვია, მუდმივად რომელ ორგანოს უნდა მიეხედა ურთულესი საკითხისთვის. და ბოლოს, „დიდი ფიქრის“ შემდეგ, საზოგადოებას ახალი სამინისტროს შექმნა ახარა. სამინისტროს სახელი — „კონფლიქტების მოგვარება“ რაღაც იმედის მომგვრელი იყო, თუმცა განვლილმა წლებმა დაგვანახა, რომ გადაწყვეტილება ძველი ხელისუფლების ჯამბაზობის კიდევ ერთ კომპონენტს შეადგენდა, რომელიც მოსახლეობის თვალში ნაცრის შეყრას ემსახურებოდა. ახლადშექმნილი სამინისტროს ამუშავებას დრო ესაჭიროებოდა. პარლამენტში მყოფი აფხაზეთის დეპუტატების საპასუხოდ, ხელისუფლებას სერიოზული არგუმენტი გაუჩნდა — სამინისტრო ახალშექმნილია, ვადროვოთ და ის აუცილებლად მიხედავს აფხაზეთსო. პარლამენტართა დასმულ შეკითხვას — რა დრო დასჭირდებოდა კონფლიქტის მოგვარებას, პირველმა მინისტრმა, თვალის დაუხამხამებლად უპასუხა, ძალიან ცოტაო. მინისტრის პასუხი იმდენად ხელოვნური და სინამდვილეს მოწყვეტილი იყო, იმთავითვე სერიოზულ ეჭვს ბადებდა მსმენელში, მაგრამ დადებითი, თუნდაც ზღაპრის მოსმენის მოსურნე პარლამენტარებში სასიამოვნოდ აღიქმებოდა. ახალ სამინისტროს, შედარებით ძველი, საგარეო უწყება თავისებურ დახმარებას უწევდა. საზოგადოებას თუ არა, პარლამენტარებს კარგად ახსოვთ იმჟამინდელი საგარეო მინისტრის ბუნდოვანი, სინამდვილისგან დაცლილი, ბევრი „რომ“-ებით გაჯერებული პასუხები დეპუტატთა დასმულ შეკითხვებზე.

ყოფილთაგან ყველანი, მოჭარბებულად მიწიერნი აღმოჩნდნენ. აწმყოს მოტრფიალენი და საკუთარ ორგანიზმზე მომრგებნი, მათ კარგად აუღეს ალღო საზოგადოების სისუსტეს, პოლიტიკურ მოუმზადებლობას, სიზარმაცეშეპარულ მიმტევებლობას, რაც სახელმწიფო მშენებლობისთვის არათუ შეუფერებელი, მიუღებელიც არის.

გუშინდელნი ურიგოდ არ გრძნობენ თავს. და თუ ვინმე შემთხვევით ჰკითხავს აფხაზეთთან დაკავშირებით, დარწმუნებული ვარ უმალ მიუგებენ, რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ თავს ზევით ძალა არ მეყოო და მრავლისმეტყველი გამომეტყველებით ხელს პრეზიდენტისკენ გაიშვერენ, საკუთარი დანაშაულებრივი უმოქმედობის მისთვის გადასაბრალებლად. ის რა პოლიტიკაა, თუ „დამბალანსებელიც“ თავის, ასევე დანაშაულებრივ უმოქმედობას, ყოფილ ხელქვეითებზე არ გადაანაწილებს. აფხაზეთისათვის ჯარის მისევასთან დაკავშირებით აკი განაცხადა, სიგუასა და კიტოვანის დაჟინებულ სურვილს წინ ვერ აღვუდექიო. არადა სხდომის ოქმი, თუ არ გაანადგურეს, საწინააღმდეგოზე მეტყველებს.

ასე გავიდა დრო და დღეს, ერთი კრწანისიდან გვასწავლის ჭკუას, მეორე, მინისტრყოფილი, იმთავითვე ბიზნესით გატაცებული, წარმატებით აგრძელებს საკუთარ ბიზნესურ საქმიანობას დავარცხნილ-დამშვენებულ შვეიცარიაში. „ძველი დამსახურებისთვის“ ისიც კი გაუკვარახჭინეს, რომ ადგილი გამოეძებნათ შვეიცარიაში არსებულ საქართველოს საელჩოში. ბიზნესს ხომ ესაჭიროება სახელისუფლებო განმტკიცება, რაც კარგად აქვს ათვისებული ბიზნესთან „შენობით“ მოლაპარაკე საგარეო უწყების ხელმძღვანელს, ოღონდ ასეთი რამ დიპლომატიური ბიბლიისათვის — ვენის 1961 წლის კონვენციისთვის ისევე მიუღებელია, როგორც მუსლიმანისათვის ღორის ხორცი, მაგრამ საქართველო სხვა კანონებით ცხოვრობს.

„დაბალანსების“ მიმდევარმა პრეზიდენტყოფილმა „ბალანსირებითვე“ ჩაატარა 1992 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნები, რომელიც დანიშვნებს უფრო ჰგავდა, ვიდრე არჩევნებს, გაუხმაურებელი დევიზით — ყველანი პარლამენტში, არც ერთი მოყაყანე ძალა ქუჩაში. ქვეყნის უნიტარული მოწყობით შეპყრობილმა „დანიშნულმა“ პარლამენტმა და სახელმწიფო მეთაურმა კიდევ ერთი (ამჯერად არა ბრძოლის ველზე) დამარცხება აგემა საქმეში „ღრმად ჩახედულ“ საზოგადოებას, მიიღო რა 1995 წლის კონსტიტუცია ავტონომიური ერთეულების გარეშე, 1921 წლის კონსტიტუციაზე დაყრდნობით. მოგვიანებით განაცხადეს, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მოთხოვნები გავითვალისწინეთო. დიახაც, ასეც იყო, მაგრამ ვერ გაითვალისწინეს მთავარი — ავტონომიების თუნდაც ქაღალდზე დაფიქსირება. ქართველ „პოლიტიკოსთა გამჭრიახობას“ უმალ აუღო ალღო არძინბამ და აღადგინა 1924 წლის აფხაზეთის კონსტიტუცია, რომლის მიხედვით აფხაზეთი დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა იყო.

**არც 1995 წლის შემდგომი წლები გამოირჩეოდა ბრძნული გადაწყვეტილებებით. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია გელაევის და ჩეჩენი „ბოევიკების“ პანკისიდან კოდორში გადაყვანას და აფხაზეთისთვის მისევას.**

**დღეს თუ არა, მომავალში მაინც დაისმება კითხვა, თუ ვის და რას ემსახურებოდა ასეთი პოლიტიკა. რისი იმედით იყო დროის გაყვანის მანიით შეპყრობილი ყოფილი მეთაური?**

№ 255. შაბათი, 23 დეკემბერი, 2006 წელი.

SIC!

**ახალი ძალით წამოყოფს თავს ნაციონალიზმი. გარკვეული ხნით იგი მოაშთობს ინტერნაციონალიზმს და პატრიოტიზმს, მხოლოდ გარკვეული ხნით. ერებს შიგნით აღმოცენდება ნაციონალური ჯგუფები. დაიწყება კონფლიქტები, გამოჩნდებიან ბელადი-პიგმეები, მოღალატეები თავიანთი ხალხების შიგნით.**



**გორი. 21 დეკემბერი. 2006.**

# სახლი ციხის ძირში

**გორის ი. სტალინის სახლ-მუზეუმს წლის ნებისმიერ დროს ექსკურსანტები არ აკლია, მაგრამ დეკემბრის თვე მაინც განსაკუთრებულია. ჩამოდგებიან სახლ-მუზეუმის მიმდებარე ქუჩებზე ავტობუსები, უცხოეთის მანქანები, მიადგებიან დამთვალიერებლები ღარიბულ ქოხს, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა სოსო ჯუღაშვილმა. სანახავი აქ ბევრი არაფერია — ფარდაგგადაფარებული ტახტი, მაგიდა, სამოვარი, ლამპა, „ტაბურეტკა", კედელზე პატარა სარკე; მთელი ავეჯიც ესაა.**

სახლი ბესო ჯუღაშვილისაა, მუზეუმი კი — იოსებ სტალინის. მის ვრცელ საგამოფენო დარბაზებში ბელადის მიერ განვლილი ცხოვრებაა წარმოდგენილი.

— ექსპონატები ძალიან ბევრი გვაქვს და მათ პერიოდულად ვცვლით, — მეუბნება მუზეუმის დირექტორი გელა ნასყიდაშვილი.

ეს ახალგაზრდა კაცი სულ რამდენიმე თვეა, რაც კოლექტივს ჩაუდგა სათავეში და ბევრ სამუზეუმო საქმეს, თვეობით რომ შველას ითხოვდა, წარმატებით დაადგეს თავი. ჯერ მარტო ის, რომ მუზეუმში დააბრუნეს ცნობილი მოქანდაკის დავით კაკაბაძის მიერ შექმნილი ი. ბ. სტალინის ქანდაკება. ეს ნამუშევარი 80-იან წლებში წაიღეს და მაშინდელი ბამბეულის კომბინატის ტერიტორიაზე დადგეს. ახლა კვლავ მუზეუმში დააბრუნეს და სკვერში მიუჩინეს ადგილი. თავად სკვერიც გალამაზდა და გაახალგაზრდავდა — დაირგო მწვანე ნარგავები, დაიდგა სკამები, წესრიგში მოიყვანეს ლამპიონები.

ამჟამად მუზეუმის სააქტო დარბაზში გამოფენილია ფერწერული ტილოები — „სტალინი სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრებში". დარბაზის ერთი კუთხე დათმობილი აქვს 20-იან წლებში საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრის ი. სტალინის სამუშაო კაბინეტის ინტერიერს.

კოლექტივი რომ საინტერესოკვლევით მუშაობას ეწევა, ამის დასტურია აქ გამომავალი გაზეთი „სოსელოდან სტალინამდე". მუზეუმის სწავლული მდივნის მზია ნაოჭაშვილის თქმით, დაიბეჭდა სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მცირეფორმატიანი ბუკლეტი, მუზეუმში დაცული ექსპონატების თემატიკაზე შექმნილი კალენდარი საცაა დღის სინათლეს იხილავს, ამ დღეებში კი მკითხველი გაეცნობა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში დასტამბულ სოსო ჯუღაშვილის ლექსებს და მათ ინგლისურ თარგმანს. მოკლედ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და კოლექტივიც ამ სამუშაოების შესასრულებლადაა შემართული.

ეს ყველაფერი კი თავს იყრის სამუზეუმო მუშაობის შეფასების მთავარ კრიტერიუმში: დამთვალიერებელთა რაოდენობაში. კვლავ გელა ნასყიდაშვილს მოვუსმინოთ:

— უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში მომსვლელთა რაოდენობა 3-5 ათასს არ გასცილებია. წლეულს მარტო 11 თვეში 5 000 ექსკურსანტი გვეწვია. ეს აბსოლუტური რეკორდია! მომავალ წელს მეტ სტუმარს მოველით.

...ყველაფერი მიედინება. თავისი გზით მიდის ისტორიის ქარავანიც. და როგორც არ უნდა უყეფდნენ მას, ის კურსს არ შეიცვლის. რა არ აკადრეს. რადა არ დასწამეს, როგორ არ ათრიეს მისი სახელი, დაიწმინდა რუსოფობების მიერ ამღვრეული წყალი და თანამედროვეთ იხილეს ნამდვილი სახე კაცისა, ვინც შექმნა უზარმაზარი ქვეყანა და ვინც ამ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ძალღონეს არ იშურებდა. რუსეთი და სტალინი ისეა ერთმანეთში შენივთული, რომ ერთის ლანძღვა მეორის ლანძღვაცაა. რუსოფობებმა სტალინი ამიტომაც ამოიღეს მიზანში... ახლა თანდათანობით ყველაფერი თავის საწყისს უბრუნდება. წავიდა რიბაკოვების, ვოლკოგონოვების, ფაზილ ისკანდერების, ვოინოვიჩების დრო. **დღეს ათობით და ასობით მართალი და კეთილი თვალით დანახული წიგნი იწერება საბჭოეთზე, მის მთავარ შემოქმედზე, მის ისტორიაზე.**

უკანასკნელ წლებში უამრავი დოკუმენტი თუ საარქივო მასალა გამოქვეყნდა, რომელშიც ჩვენი, XXI საუკუნის თვალთახედვითაა გაანალიზებული სტალინი და მისი ეპოქა, მარცხი და გამარჯვებები, წარმატებები და შეცდომები. სტალინის უზარმაზარი პოლიტიკურ-ფილოსოფიური მემკვიდრეობის მოძიებაში, შეკრებასა და რედაქტირებაში უზარმაზარი ღვაწლი მიუძღვით რუს სწავლულებს მ. გრაჩოვს, ა. კირიუნინს, რ. კოსოლაპოვს, ი. ნიკიფოროვს, ს. რიჩენკოს. ეს მათი ძალისხმევით მოხერხდა ი. სტალინის თხზულებათა მე-14, მე-15, მე-16, მე-17 და მე-18 ტომების გამოცემა. თხზულებათა ტომების შემდგენელთა აზრით, რუსეთის დღევანდელი ყოფა 1991-93 წლების იმ ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული კონტრრევოლუციის შედეგია, რითაც კიდევაც დაიწყო ქვეყნის კეთილდღეობისა და ერთიანობის რღვევა. შედეგად რუსეთი მსოფლიო სისტემისთვის ნედლეულის მორჩილ მომწოდებლად გადაიქცა.



როგორც ი. სტალინის თხზულებათა მე-18 ტომის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, ლ. ტროცკის შრომებში, რომელიც 80-იანი წლებიდან მოყოლებული „პერესტროიშჩიკებისა" და „რეფორმატორების" სამაგიდო წიგნად იქცა, შემუშავებულია ასეთი სქემა: ერთის მხრივ, უნიათო და ნაცრისფერი, ზედაპირულად განათლებული, ეროვნებითა და აპარატით შემოზღუდული სტალინი და მეორეს მხრივ, ბრწყინვალე, შთაგონებით აღსავსე „პერმანენტულ" მსოფლიო რევოლუციაზე მუდამჟამს აყაყული ტროცკი. ამ თხზულებათა გამოცემის აზრიც სწორედ იმაშია, რომ თეთრს თეთრი დაერქვას, შავს კი შავი. და ვინც კახაბერს არა ჰგავს...

ი. სტალინის თხზულებათა ტომებში გაბნეული ზღვა მასალებიდან ჩვენ მხოლოდ ერთ მცირე ნაწყვეტს შემოგთავაზებთ (ტ. 18ძ. ეს არის ი. სტალინის საუბარი ალექსანდრა კოლონტაისთან (ა. კოლონტაი (1872-1952ძ რუსი დიპლომატი, პუბლიცისტი. სხვადასხვა დროს ელჩად იყო ნორვეგიაში, მექსიკაში, შვედეთშიძ. ბელადი საუბრობს იმ წლების ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მის მომავალზე და, სხვათა შორის, თავის პოლიტიკურ მომავალზეც.

აი, რას გვიამბობს ა. კოლონტაი:

**პიროვნების როლზე ისტორიაში, წარსულსა და მომავალზე რომ მსჯელობდა, სტალინმა ბევრი პიროვნება ახსენა — მოყოლებული მაკედონელიდან ნაპოლეონამდე. მე ვცდილობდი არ გამომრჩენოდა როგრი თანმიმდევრობით ჩამოთვალა მან რუსული სახელები.**

**კიევის მთავრებით დაიწყო. შემდეგ ახსენა ალექსანდრე ნეველი, დიმიტრი დონელი, ივანე კალიტა, ივანე მრისხანე, პეტრე პირველი, ალექსანდრე სუვოროვი, მიხეილ კუტუზოვი. დაასრულა მარქსით და ლენინით.**

**მინდოდა ჩავრეულიყავი საუბარში, მეთქვა სტალინის როლის შესახებ ისტორიაში. მხოლოდ ეს ვთქვი: „თქვენი სახელი ჩაიწერება..." სტალინმა ხელის აწევით გამაჩერა. შევკრთი. სტალინი განაგრძობდა:**

**— ჩვენი პარტიისა და ხალხის ბევრ საქმეს წაიყვნიან და ლაფში ამოსვრიან. მარტო საზღვარგარეთ კი არა, ჩვენს ქვეყანაშიც. სიონიზმი, მსოფლიო ბატონობისთვის რომ იბრძვის, სასტიკად იძიებს შურს ჩვენი წარმატებისა და მიღწევებისთვის. იგი რუსეთს ჯერ კიდევ ბარბაროს ქვეყნად თვლის, ნედლეულის დანამატად. მეც ბევრ ცილს დამწამებენ, ჩემზეც მოჩმახავენ ტყუილებს, ბევრ ავკაცობასაც მომაწერენ.**

**მსოფლიო სიონიზმი ყველანაირად ეცდება ჩვენი კავშირის დაშლას, რომ რუსეთი ფეხზე ველარასოდეს წამოდგეს. საბჭოთა კავშირის ძალა — ხალხთა მეგობრობაშია. მწვავე ბრძოლები სწორედ ამ კავშირის წინააღმდეგ იქნება მიმართული რუსეთი განაპირა მხარეების წასართმევად. აქ უნდა ვაღიაროთ, ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაგვიკეთებია, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გველის.**

**ახალი ძალით წამოყოფს თავს ნაციონალიზმი. გარკვეული ხნით იგი მოაშთობს ინტერნაციონალიზმს და პატრიოტიზმს, მხოლოდ გარკვეული ხნით. ერებს შიგნით აღმოცენდება ნაციონალური ჯგუფები. დაიწყება კონფლიქტები, გამოჩნდებიან ბელადი-პიგმეები, მოღალატეები თავიანთი ხალხების შიგნით.**

**ახლო მომავალში განვითარება უფრო რთული და სწრაფი იქნება. მოსახვევები უკიდურესად მკვეთრი. საქმე იქითკენ მიდის, რომ მომეტებულად აღმოსავლეთი აფორიაქდება. მწვავე წინააღმდეგობანი გაჩნდება დასავლეთთან.**

**და მაინც, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, გაივლის დრო და ახალი თაობები კვლავ მიაპყრობენ მზერას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საქმეებსა და გამარჯვებებს. თაობები თაობებს შეცვლიან, ისინი კვლავ აღმართავენ თავიანთი მამებისა და პაპების დროშას და პატივს ჩვენც მოგვაგებენ. ჩვენს წარსულზე ისინი თავიანთ მომავალს ააშენებენ.**

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ" საკ. კორ. გორი



---

**რაც მართალია, ახალმა ხელისუფლებამ ისეთი ჩაოხრებული „ნამოღვაწარი" მიიღო, ერთობ მძიმე იყო მისთვის თავის გართმევა, მაგრამ მას ძველთან შედარებით უპირატესობაც ჰქონდა — სრულიად ახლებურად შეეხედა ჩიხში მოქცეული პრობლემებისთვის.**

პოლიტიკაში უცხო არ არის, როდესაც მწვავე საკითხის მოგვარებისთვის კარგ მთავრობასაც იმეტებენ. აქ კი, მიუხედავად იმისა, რომ გადატრიალებით მოსულ ხელისუფლებას, რომელსაც წინ არაფერი ელობებოდა, პრაგმატული გზა აერჩია, ძველთა კურსი გააგრძელა, რითაც იმედები გადაუწურა სეპარატისტებსაც კი. ახლებისათვისაც მომნუსხავი აღმოჩნდა პრობლემის მოგვარების გასაღების დასავლეთში ძიება.

**ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სოხუმ-ცხინვალისკენ მიმავალი გზა ვაშინგტონზე არ გადის.**

როდესაც თვალს ავლებ განვლილი ბობოქარი ცხოვრების 15-წლიან მონაკვეთს, უხეში პოლიტიკური შეცდომებითა და მათი გამოსწორების არავითარი სურვილით, უნებლიეთ გებადება კითხვა, იქნებ ყველაფერი, რაც ჩვენს თავს დატრიალდა, წინასწარ იყო გათვლილი მხოლოდ და მხოლოდ გუშინდელთა პირადი კეთილდღეობისთვის?

ენგურის გაღმა, ისე, როგორც ომის დროს, ერთ მუშტად შეკრული, დამოუკიდებლად ცხოვრების ფანატიკური სურვილით შეპყრობილი აფხაზეთია. ის დღესაც იგივე სულისკვეთებით აგრძელებს ბრძოლას, ამჯერად საერთაშორისო სარბიელზე დამკვიდრებისთვის. მოლაპარაკების მაგიდასთან ისინი შესაშური ერთიანობით, თავდაჯერებულობით, მიზანსწრაფულობით, კვალიფიციურობით გამოირჩეოდნენ. ასეთ შეკავშირებას ქართული მხარე პრიმიტიულ ახსნას უძებნიდა — ეშინიათ სოხუმის გარეშე რაიმე თქვანო. და ეს მაშინ, როდესაც თბილისში არც ზევით და არც ქვევით არავის აინტერესებდა მოლაპარაკება.

აი ასე გაილია უშედეგო „დაბალანსებითა" და დროის შეგნებული გაჭიანურებით თვეები, წლები, ხელში მხოლოდ ნაკლებად დამაიმედებელი, აბსტრაქტული მოლოდინი შეგვრჩა, იქნებ სხვამ, ნატომ ან ამერიკამ დაგვიბრუნოს დაკარგული ტერიტორიებიო. აქ კი, პრეზიდენტის მიერ ხშირად გამოყენებულ ფრაზას მოვიშველიებ — **„ნურას უკაცრავად", ვაშინგტონს ან ბრიუსელს ტერიტორიული გამთლიანება რომ შეეძლოთ, ყოფილი იუგოსლავიის შემთხვევაში სხვაგვარად მოიქცეოდნენ. რაც შეეხება „დემოკრატიულ" დაშლას, აქ მათ ბადალი არ ჰყავთ.**

ყოფილი იუგოსლავიის ხსენებას, ჩვენგან შორეული, მაგრამ სეპარატიზმით უაღრესად ახლოს მყოფი კოსოვო, გაზური ციებ-ცხელებასავით გვეძქცა. ქართული საზოგადოება ოპტიმიზმით შეჰყურებს კოსოვოს საკითხის გადაჭრა-არგადაჭრის საქმეს და დიდი იმედი აქვს, რომ ყოველივე სერბთა სურვილისამებრ მოგვარდება. პოლიტოლოგთა დიდი ნაწილი, უარესის მოლოდინში, წინასწარ იიმედებს თავს და აცხადებს, **კოსოვოს საკითხი სულაც განსხვავებულია აფხაზეთისგან და პარალელების გავლება უვიცობააო. აქაც კი ჩვენს უნიკალურობას ვუსვამთ ხაზს.** ცხადია, კოსოვო, ჩერნოგორია, ერითრეა, დნესტრისპირეთი, ყარაბაღი და სხვა არც სოხუმია და არც ცხინვალი. მათ შორის ძალიან დიდი განსხვავებაა, ისევე, როგორც დიდი მსგავსება — სეპარატიზმი, ანუ გამოყოფილად ცხოვრება. რუსული გამოთქმის არ იყოს, როცა ხეს ჭრიან, ნაფოტები ცვივაო. ნაფოტებს, ანუ ამ შემთხვევაში იმ განმასხვავებელ ნიუანსებს, არც არავინ მიაქცევს ყურადღებას.

რახან კოსოვო ვახსენე, იმასაც მოგახსენებთ, რომ სულ ახლახან 28, 29 ოქტომბერს, სერბებმა, საყოველთაო რეფერენდუმზე, მოსახლეობის 54 პროცენტის მხარის დაჭერით, ახალი კონსტიტუცია მიიღეს, რომლის მიხედვით კოსოვო სერბეთის შემადგენლობაშია მოქცეული, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ცნებით — „ფართო ავტონომიის უფლებით".

კოსოვოს ვერდიქტი საერთაშორისო ორგანიზაციებს წლის ბოლომდე უნდა გამოეტანათ, მაგრამ შეგნებულად გადადეს მომავალი წლის იანვრის ბოლოსთვის, ვინაიდან 21 იანვარს დანიშნულია სერბეთის პარლამენტის არჩევნები.

სამწუხაროდ, სერბეთის კონსტიტუცია ვერ შეაჩერებს თავისუფლებისკენ დიდი სისწრაფით მიმავალ მატარებელს. ამის გარანტი დასავლეთია, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება 1999 წლამდე არსებულ მდგომარეობამდე დაბრუნებას, ანუ კოსოვოს ნებისმიერი სტატუსით სერბეთის ჭერქვეშ შეშვებას. გადაწყვეტილება არა კოსოვოელი ალბანელების სიყვარულით, არამედ საკუთარი თავის გადარჩენის სურვილით არის განპირობებული. ბრიუსელსა და ვაშინგტონში კარგად იციან, რომ **თუ გაგიჟებულ კოსოვოელებს არ მისცემენ დასავლეთიდან კონტროლირებულ დამოუკიდებლობას, ისინი როგორც ერთი, ფეხზე დადგებიან და თვით მოიპოვებენ მას. ამ შემთხვევაში, დასავლური საერთაშორისო ორგანიზაციების ბედი ჰაერში გამოეკიდება და მოსალოდნელია, რომ ისინი ერთიანი მწყობრი ნაბიჯით იქნენ გასტუმრებული კოსოვოდან, ისე, როგორც 1999 წელს სერბეთის ჯარი.**

კოსოვოს დამოუკიდებლობას წინ აღარაფერი უდგას, ვინაიდან ის კარგა ხანია ამ ამპლუაშია და არ ძალუძს თუნდაც ნახევარი ნაბიჯით უკან დახევა. იმავდროულად, კოსოვო უახლოეს მომავალში შეინარჩუნებს მჭიდრო დამოკიდებულებას ე. წ. „მსოფლიო თანამეგობრობასთან", უპირველეს ყოვლისა ევროკავშირთან და გაეროსთან, რომელთა შტაბბინები დღესაც ჭარბად არის წარმოდგენილი კოსოვოში. კონტროლსდაქვემდებარებული და გაშინაურებული კოსოვო მისაღებია დასავლეთისათვის. ასეთი „დემოკრატია" შედარებით იაფი ჯდება და დიდი გარანტიაა შემდგომი მშვიდობიანი ევროპისათვის. ამიტომაც უჭერენ მხარს გაერთიანებული ევროპა და გაერო ყოფილ იუგოსლავიაში კონტროლისა და მართვის ასეთ სისტემას. მათ მხარს ვაშინგტონიც უმაგრებს.

როგორც მოვლენები გვკარნახობენ, დსთ-ს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები ურუსეთოდ არ გადაიჭრება. საქართველოს დამოკიდებულება რუსეთთან იმდენად მძიმეა, რომ ამ ეტაპზე წარმოუდგენელიც არის მოსკოვის მხრიდან ჩვენს მიმართ კეთილი განწყობის იმედი.

**მხედველობაშია მისაღები რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის განცხადებაც, რომ რუსეთს არ სურს ტერიტორიების გაფართოება, მაგრამ ყურადღებით მიადევნებს თვალს საერთაშორისო პრეცენდენტს, მათ შორის კოსოვოს.**

ღმერთისა და კოსოვოს შემყურეს ჩვენც მეტი აღარაფერი დაგვრჩენია.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

# კვირაძალი

● „მათვის დღესაც ძალაშია ის სომხური რუკა, რომელზეც თბილისი უბრალო წერტილითაა მონიშნული და საქართველო კი უბრალოდ აღარ არსებობს კავკასიაში...“





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №82

# „ქვათა ღაღადის“ თანამედროვე მოტივები

№ 255. შაბათი, 23 დეკემბერი, 2006 წელი.

**„კვირაძალის საკითხავი“ წარმოგიდგენთ 24 წლის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრს – დავით მაისურაძეს. ის ცხოვრობს ნიუ-იორკში, ღრმად ჩახედულია ისტორიოგრაფიაში და მის განსწავლულობას განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს ემოციურობა, რის შენიღბვასაც არასდროს ცდილობს.**

ამერიკული რეალობიდან საკუთარ განცდებში გატარებული ცოდნით, მთელი თავისი შესაძლებლობებით, იცავს თავისი სამშობლოს ისტორიას და ზოგადად ცნება **„ქართველის“** პრესტიჟულობას.

ილიასეული **„გრძნობადის“** და **„ცნობადის“** ერთიანობა, როგორც ჩანს, ახალგაზრდა მაგისტრისთვის საუკეთესო მაგალითია და აზროვნების ფორმასაც ამ გზით წარმართავს.

დიდი ხანი არ არის, რაც გამოაქვეყნა და ინტერნეტსაიტებზეც დადო ვრცელი გამოკვლევა: **„იუდას მორალი, ანუ სომხური საქმე საქართველოში“.**

*წერს დასანანია, რომ ამ სტატიის გამოქვეყნება მჭირდება, მაგრამ სატკივარი იმდენად მწარეა, ყველა ქართველი ვალდებულია თითოეული სიტყვა გაითავისოს. ოღონდ სიტყვა სწორად ნათქვამი და სწორად გაგებული, რადგან „ისარი და პირით სიტყვა, რა გასტყორცნო, არ მობრუნდეს...“*

მნიშვნელოვანია ყველა ის არგუმენტაცია, რომელთაც ავტორი სომეხ ვაი-მეცნიერთა გამონათქვამებსა თუ „კვლევებს“ უპირისპირებს.

მნიშვნელოვანია, ის პათოსიც, რომელიც ზოგადად ისტორიის გაყალბების წინააღმდეგაა მიმართული და პროფესიული ცოდნაც, რის დეფიციტსაც ჩვენი დროება განიცდის.

ამჟამად, კომენტარების გარეშე გთავაზობთ ფრაგმენტებს სომეხ მკვლევართა იმ მასალებიდან, რაზეც დავით მაისურაძის პასუხი უკვე არგუმენტირებულად და სათანადო წყაროების მოხმობითაა გაცემული.

## სომეხ მეცნიერთა „აღმოჩენანი“, ანუ ნიკალაი ფიროსმანიანმა „სომხური ხელგაშლილობით“ როგორ მიართვა ვარდები აქტრისა მარგარიტას...

პროფესორი ლ. ისახანიანი: *საქართველოში სომხური მოსახლეობა ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ჯგუფს, რომელიც მონაწილეობდა ქვეყნის სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ადეკვატურად პასუხობდა სხვადასხვა სახის გამოწვევებს...*

*სომხური წმინდა ეკლესია ცალკე ეპარქიით არის წარმოდგენილი საქართველოში მე-5 საუკუნიდან. საუკუნეების მანძილზე სომხურ ეპარქიას საქართველოს ტერიტორიაზე აგებული აქვს 600-ზე მეტი სასულიერო დანიშნულების შენობა-ნაგებობა, ეკლესიები, სალოცავები, სასულიერო სასწავლებლები... აუცილებლობად მიგვაჩნია: საქართველოში სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპარქიისთვის სათანადო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა.*

აკადემიკოსი სურენ აივაზიანი: *საიდან აღმოჩნდნენ ქართველები საქართველოში? 524 წელს, ჩვენს ერამდე, სომხეთის მეფემ ტიგრან I-მა დაიპყრო ესპანეთი (იბერია). იბერები ჩამოასახლა სომხეთის პროვინცია ვირქვრასტანში და გურიის (გურია) მხარეში. მმართველად კი მან დააყენა სომეხი დიდი თავადი – დადიანი...*

*„ქართის“ ფუძე უკავშირდება „ქურთს“. რაც შეეხება სომხეთის ამ ჩრდილოეთის პროვინციის რუსულ სახელწოდებას „გრუზიას“, ის უკავშირდება სიტყვა*





*„გრუზჩიკს“ – მუშას. სწორედ ეს ფუნქცია ჰქონდათ ქართველებს, ვიდრე რუსებს შეავიწროვებდნენ და გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებდნენ...*

*რუსები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ხალხია. აქ ისინი ძველი წელთაღრიცხვის III-I ათასწლეულებში ცხოვრობდნენ.*

*მოგვიანებით აქ მოსულმა ქართველებმა მათი მემკვიდრეობა მიითვისეს და ამ მიწების ძირძველი ტომების – რუსებისა და სომხების შევიწროება დაიწყეს...*

*როცა 1801 წელს იმპერატორმა პავლე I-მა საქართველოს სამეფო გააუქმა, სამეფო კარი მაშინ მთლიანად სომხური წარმომავლობის იყო.*

*უკანასკნელი მეფე გიორგი XII გამით(ერეკლეძე) და დედითაც წმინდა სომეხი იყო. სამეფო კარი სომხურ ენაზე ლაპარაკობდა... ყველა თავადი სომხური წარმომავლობისაა: ბარათიან – ბარათაშვილი, ჭავჭავიან – ჭავჭავაძე, ადამიან – ჯავახიშვილი, სააკიან – სააკაძე... ერთადერთი ქართული წარმომავლობის გვარი იყო გამრეკელი.*

*სხვათა შორის, ქართველებისგან მითვისებული პეტრე ბაგრატიონი, ბოროდინოს გმირი, სინამდვილეში პეტროს ოვანეს-ძე ბაგრატუნია, სომეხი ხორცით, სისხლით და სულით...*

ამონარიდი სომხური გაზეთიდან „მეწამორი“: „ვეფხისტყაოსანი“ სომხურიდან ქართულად თარგმნა სომეხმა კნიაზმა – „აშოტ იზ რუსტავი“. ქართველებმა კი მერე სომხური დედანი დაწვეს და „ვეფხისტყაოსანიც“ მიითვისეს...

*„სულიკოს“ ავტორი დავით აბრამიანია... სიმღერის ტექსტი ქართულად გადმოუთარგმნია სომეხ თავადს – როსტომ ბაგრატუნის შვილს, აკაკი ბაგრატუნს, რომელიც აკაკი წერეთლის ფსევდონიმით წერდა..*

*როცა აკაკი ბაგრატუნი „სულიკოს“ თარგმნიდა, ამ დროს სომეხი მხატვარი ნიკალაი ფიროსმანიანი შედევრებს ქმნიდა, რათა შემდეგ გაეყიდა და სომხური ხელგაშლილობით საყვარელი ქალისთვის მილიონი ვარდი მიერთმია...*

„დიდი სომხეთის იმპერიას“, რასაც სომეხი ერი საუკუნეების მანძილზე ამგვარი მეთოდებით ქმნის, საილუსტრაციოდ მათივე შედგენილი რუკაც ახლავს, სადაც ეს ჩვენი მეზობელი ქვეყანა უსაზღვრო ტერიტორიებზეა გაშლილი და სამი ზღვა – შავი ზღვა, ხმელთაშუა ზღვა და კასპიის ზღვა საზღვრავს.

* * *

**დავით მაისურაძე:** *„1829-1939 წლებში პასკევიჩმა ერზრუმის სომხობა რომ ჩამოასახლა ჯავახეთში, მათ წინ მოუძღოდათ ეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატუნი, როცა მოახალშენეთა პირველმა ნაკადმა ჯავახეთის ქართულ მიწას ფეხი დაადგა, კარაპეტ ეპისკოპოსმა სამჯერ მიწას ჯოხი დაჰკრა და სთქვა:*

*–„ჩემი ხალხი სომხური მიწიდან მშობლიურ მიწაზე მოვიდაო“.*

*რას ნიშნავდა მისი სიტყვები? ის და მისი ხალხი არ იყვნენ სომხები? თუ არ იყვნენ, რატომ სომხობდნენ? ამ წინადადებაში ლოგიკური აზრი არ დევს. რაც შეეხება ამ კარაპეტს, მან ძალიან ბევრი რამ გააკეთა ჯავახეთში სომხობის ჩამოსასახლებლად და ქართველების ამოსაძირკვად. დღეს კი ჯავახეთის სომხებმა ისარგებლეს ქართველთა რბილი, რაინდული კეთილშობილებით და ახალქალაქი კარაპეტის ძეგლით დაამშვენეს. ჩვენ კი, იმ მემედ აბაშიძის ძეგლიც არ დავინდეთ, რომელმაც ბათუმის ოლქი დედა საქართველოს დაუბრუნა. დიახ... ჩვენს შეცდომებზე, ისტორია ზოგჯერ ძალიან მწარედ გვაგებინებს პასუხს.*

ის სომხური რუკა, რაზეც ავალიშვილი გვესაუბრებოდა, დღესაც ძალაშია, ბატონებო! ის სომხური რუკა, რომელზეც თბილისი უბრალო წერტილითაა მონიშნული და საქართველო... დიახ, საქართველო უბრალოდ „აღარ არსებობს“ კავკასიაში...

***P. S. პოლიტიკურ მეცნიერებათა ახალგაზრდა მაგისტრი ნიუ-იორკიდან, თავის გამოკვლევაში, როგორც სანდო წყაროს და მეცნიერულ ავტორიტეტს, არაერთგზის იმოწმებს ცნობილ არმენოლოგს – ბონდო არველაძეს.***

***ჩვენს არეულ დროში კი, როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ყოველმხრივ საფრთხეშია, როცა პროფესიული მეცნიერული აზრით აპელირებაა აუცილებელი, ბატონი ბონდო არველაძე შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ახალმა ხელმძღვანელობამ სამსახურიდან დაითხოვა.***

***ეს ფაქტი, ალბათ იმ სომეხ ვაიმეცნიერებს განსაკუთრებით ესიამოვნებათ, ვისი მამხილებელი და შეურიგებელი ოპონენტი სწორედ ბონდო არველაძე გახლდათ.***

## ოთხშაბათს, 6 საათზე

იცით თუ არა თქვენ, ანუ მათ, ვისაც გიყვართ ლიტერატურა, რომ ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთ კამერულ დარბაზში, ყოველ ოთხშაბათს, შეგიძლიათ მოისმინოთ სრულიად გულწრფელი და ამავე დროს პროფესიული საუბრები ლიტერატურაზე.

სამ სხვადასხვა ე. წ. ლიტერატურულ პროექტს მეცნიერების, კულტურის და განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ზიორზი კილაძე, წარმართავს, რომელიც დიდის რუდუნებით ქმნის სწორედ ისეთ გარემოს, სადაც შემოქმედ ადამიანებს გულახდილი საუბრის სურვილი უჩნდებათ, (დამეთანხმებით, რომ ეს არ არის იოლი)

იცით თუ არა თქვენ, რომ ლიტერატურის სიღრმისეული საკითხებით დღეს დაინტერესებული ყოფილან 15, 16, 17 წლის ახალგაზრდები?... რომ ჩვენს მძიმე, დაძაბულ დროებაშიც ქართველი მოზარდები, ე. წ.„თინეიჯერები“ უფაქიზეს მხატვრულ ნიუანსებზე ფიქრობენ და ყოველ ოთხშაბათს იქ იკრიბებიან?...

დაბოლოს, იცით თუ არა თქვენ, რომ ეროვნულ მუზეუმში, იგივე დარბაზში, 19 დეკემბერს გაიხსნა „ერთი ავტორის თეატრი“! ამ ეგიდით, პირველად, საკუთარ მკითხველთა წინაშე ჩვენში უკვე ცნობილი მწერალი თამრი ფხაკაძე წარსდგა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ საინტერესოა, როცა თავად ავტორი გვიკითხავს თავის ნაწარმოებს, სათანადო ინტონაციით, სათანადო აქცენტებით...

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პარალელურად იქმნება ამ ლიტერატურული საღამოების აუდიო და ვიდეო არქივი, რაც თავისთავად ცალკე, სამომავლო ფასეულობასაც წარმოადგენს.



ჯავარ ლომაძის ფოტო.

## კვირაპალი

● საქართველოს პატრიარქმა როცა ფერეიდანში მოგზაურობა გაიხსენა, მრავალმხრივ დამაფიქრებელი ფრაზაც წარმოთქვა: „მე არ მინახავს ასეთი სიყვარული უცხოეთში მყოფ სხვა ქართველებში...“

*არის საგნები და მოვლენები, რაზეც უფრო იოლია ისაუბრო ხატოვნად, ვიდრე ზუსტად... იმ რეალობას 400 მძიმე წელიწადი გვაშორებს...*

*ილია ჭავჭავაძე ყველა დროის გასაგონად განმარტავდა: „არის საგანი, თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ და არის საგანი, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“...*

*მას მერე, რაც ერთმა ინგლისელმა მოგზაურმა ჰენრი ლაიარდმა ირანის თვალუწვდენელი სახელმწიფო მოიარა და ბახთიიარის მთების სოფლებსაც მიადგა, იქაური მოსახლეობა — ორასაუკუნენახევრის წინათ გადახვეწილი ქართველები გაიცნო.*

*ჰენრი ლაიარდი პირველი იყო, ვინც ამ ყველასგან დავიწყებულ ადამიანებზე ცნობები გამოაქვეყნა, ანუ ფერეიდნელი ქართველების არსებობა ამცნო მსოფლიოს. მაგრამ როგორც ჩანს, მათი ყოფნაარ ყოფნა მაშინდელი სამყაროსთვის დიდ ინტერესს არ წარმოადგენდა... უფრო მეტიც, ამ ინფორმაციას არავინ გამოხმაურებია, თვით საქართველოდან... ასე რომ, სეფიანთა ზეოგისას, შემდგომ კი აფშარების დროს გადახვეწილი 250000 ქართველი და მათი შთამომავლები ბედის ანაბარა იყო მიტოვებული.*

*საუბარია იმ 250000 ტყვედ აყვანილ ქართველზე, რომლებზეც მემატიანე გვამცნობს: „შაჰ-აბასი მოვიდა, კახეთი ააოხრა და სპარსეთში გადაასახლა...“ სინამდვილეში ისინი არა მარტო კახელები, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები იყვნენ, უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოდან.*

*წარმოვიდგინოთ, საკუთარ მიწა-წყალს და საცხოვრებელს ძალადობით აყრილი, 250000 ტყვე-ქართველი: კაცები, ქალები, მოხუცები, ბავშვები, უდაბნოს ხრიოკ გზებზე მორეკილნი... ერეკებოდნენ, როგორც საქონელს, შეურაცხყოფილებს, დამცირებულებს... წარმოვიდგინოთ, შაჰ-აბასის სასტიკი მცველების მათრახების შხუილი ქართველების მოხრილ ზურგებზე... ისინი, წარმოუდგენელი ძალადობის მსხვერპლნი, საკუთარმა სამშობლომ ასეული წლებით სრულიად მიივიწყა...*

# „საბრალო სულები“ – ასე უწოდა მათ ინგლისელმა მოგზაურმა



***ფერეიდნელი მოხუცის ნაამბობი:*** *„მახსოვს, როცა საქართველოში პირველად ჩამოვედით, მატარებლიდან დავინახე შეჯგუფებული ხალხი, აქაურმა ქართველებმა ირანელ ქართველებს ჰკითხეს:*

*— თქვენ ხართ ქართველებიო? სად ხართ აქამდეო?*

*ჩვენებმა უთხრეს, მოვდიოდითო.*

*— როგორ, სამასი წელი დაგჭირდათ მოსასვლელადო?*

*— ჯერ ოცნებით მოვდიოდით, შემდეგ საქმით მოვდიოდით და აი, ბოლოს, ფეხით მოვაღწიეთ თქვენამდეო...“*

კიდევ ერთი ინგლისელი, სერ თომას ჰერბერტი, რომელიც ისპაჰანში მიდიოდა და გზად ასუფასში გაიარა, ლონდონში დაბრუნებული, გაოცებული წერდა. როგორ შეინარჩუნა ამ გადახვეწილმა ხალხმა მშობლიური ენაო. დაკვირვებულმა ინგლისელმა ისიც შეამჩნია, რომ იქაურები სპარსელებისგან განსხვავდებოდნენ და გამოირჩეოდნენ სანდომიანი იერით და თავაზიანობით.

ინტერესმოკლებული ალბათ



ფერეიდნელი ბავშვები

არც ის არის, რომ ამ თითქოსდა მისტიურ, გაუგებარ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ჰერბერტმა „სულები“ უწოდა.

**„საბრალო სულები!... როცა შეიტყვეს, რომ ჩვენც ქრისტიანები ვართ, თავი მოიყარეს ჩვენს გარშემო და თვალცრემლიანნი შემოგვცქეროდნენ. გული შეგვილონდა ამ საცოდავი ქრისტიანების ხილვით...“**

* * *

„ნუ გათათრდები!..“ ეს სასოწარკვეთილი ძახილი საუკუნეთა სიღრმიდან სულხან-საბა ორბელიანს ამგვარად აქვს განმარტებული: „ნუ გათათრდები“ არის ეგვიპტის მტრედი, მომცრო ფრინველი, მსგავსი გვრიტისა. მისირსა (ეგვიპტეძ და შირაზში ცხოვრობს, ესენი ოდეს მგზავრს კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს ქართველის ენით — „ნუ გათათრდები!“ და ამ მიზეზით თათარნი „გარყუშებს“ უწოდებენ, ვითომც ურჯულო ფრინველს“.

როგორ მოხდა, რომ ისინი, ირანის მაღალმთიან სოფლებში ჩასახლებულები, ყველასგან მივიწყებული ქართველები, სინამდვილეში არ გათათრებულან, 400 წელი იცხოვრეს ქართული ენის მშობლიურ სივრცეში და დღესაც ახერხებენ 4 საუკუნის წინანდელი დიალექტით, ძველებურად, მაგრამ მაინც ქართულად ლაპარაკს... როგორ მოხდა, რომ მათი ქრისტიანული ხსოვნა ყოფაშია გადასული და დღესაც ფერეიდნელი, მუსულმანი ქალი ჭადის გამოცხობისას ზედ ჯვარს უსვამს...

როგორ მოხდა, რომ დღემდე შეინარჩუნეს წმინდა ადგილების ხსოვნა, იმ ადგილებისა, სადაც ოდესღაც ქრისტიანული რწმენისთვის თავი გაუწირავთ ადამიანებს... როგორ შეინარჩუნეს ძველი საეკლესიო დღესასწაულები, მაგალითად, „სულთმოფენობა“ და ა. შ. და ა. შ...

* * *

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობამ ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ ახალი ნომერი შესთავაზა მკითხველს. ორასთერთმეტგვერდიანი ჟურნალი შინაარსობრივად თემატური კრებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. მით უმეტეს, რომ იგი ფერეიდანის ძველ და ახალ პრობლემებს ეძღვნება. თუ რატომ გადაწყდა საპატრიარქოს პერიოდულ გამოცემაში ამ თემის ასე ვრცლად და არსობრივად განხილვა, ჟურნალის რედაქტორი ქალბატონი თინათინ კობალაძე გვესაუბრება.

—როდესაც საქართველოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით პირველად ეს ჟურნალი შეიქმნა (1978 წელსძ, მაშინ ამ ხასიათის საეკლესიო გამოცემები არ არსებობდა.

**შემდეგ და შემდეგ, თანდათან, ცოტაოდენი სინათლე გაჩნდა. განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან და ამ ტიპის ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა დაიწყეს ეკლესიაშიც და ეკლესიის გარეთაც. ეს პერიოდული გამოცემები ერთმანეთისგან თემატურად თითქმის არ განსხვავდება. მათ შორის სხვაობა მხოლოდ მასალის ხარისხით განისაზღვრება.**

**მინდოდა, ჩვენი ჟურნალი რაღაცით მაინც განსხვავებული ყოფილიყო და ამიტომ გადავწყვიტე (რა თქმა უნდა, საპატრიარქოსთან შეთანხმებითძ, დამეწყო ეპარქიებზე მუშაობა. ეს ისედაც ძალზე საშური და მნიშვნელოვანი საქმე იყო. ჟურნალის თითოეული ნომერი მთლიანად ამა თუ იმ ეპარქიას უნდა მიძღვნოდა. მასალები, სამწუხაროდ, ძალზე ცოტაა და, ცხადია, ჩვენს გამოცემას საკითხთა ბოლომდე ამოწურვის პრეტენზია არც შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ვფიქრობ, მასალების ამგვარი თავმოყრაც ძალიან მნიშვნელოვანია.**

**უკვე გამოვეცით რამდენიმე ამ მიმართულების ჟურნალი. პირველი აფხაზეთის ეპარქიას მიეძღვნა, შემდეგ ცხინვალის მხარეს (არ არის სწორი, როდესაც „სამაჩაბლოს“ უწოდებენ. სამაჩაბლო ცხინვალის მხარის ერთი ნაწილიაძ.**

**შემდეგ იყო აჭარა... შემდგომი ორი ნომერი საინგილოს მიეძღვნა, ხოლო მერე გამოვეცით ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი და ახლახან გამოვიდა „ფერეიდანი“.**

**გარდა ამისა, რომ ეს სამუშაო ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, მკითხველის მხარდაჭერასაც ვგრძნობთ.**

— ქალბატონო თინა, თქვენ მრავალფეროვანი რელიგიური ხასიათის გამოცემები ახსენეთ. ჩვენი მოსახლეობა მეორე უკიდურესობაში ხომ არ გადავარდა, როცა იბეჭდება ვიღაც ქალბატონების გამოცხადებები თუ ხილვები, სიზმრების ახსნა და სხვა ამგვარი...

**— რა თქმა უნდა, ასეც ხდება, მაგრამ საეკლესიო ჟურნალში ეს არ შეიძლება.**

— ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ ნომრები ძირითადად საქართველოს რელიკვიებითა და საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებითაა ილუსტრირებული. რამდენადაც ვიცით, ირანში ქართული ეკლესიები არ არსებობს...

**— ფერეიდანში უწინ არსებობდა ქართული ეკლესია, მაგრამ ახლა აღარ არის... ფერეიდნელები ხომ კარგა ხნის წინათ ძალით გაამუსლიმანეს, რამაც თავისი შედეგი გამოიღო, თუმცა, როგორც ყველას მოეხსენება, მათ ქართული ენა და საქართველოსადმი სიყვარული ძალიან კარგად შემოინახეს. ამ თემაზე ჟურნალში ბევრი საინტერესო მასალაა: ინფორმაციები, წერილები, კვლევები, რეპორტაჟები, ფოტოგალერეა, დიალოგები, ფრაგმენტები მხატვრული ლიტერატურიდან... აქვე ნოტების სახით დაბეჭდილია რევაზ ლაღიძის „ფერეიდნელი ქართველის გოდება“...**

— ესე იგი, მთლიანობაში ეს მხატვრულ-დოკუმენტური მასალაა?

**— დიახ, მაგრამ ძირითადად მაინც დოკუმენტური...**

* * *

„კვალი ქართველებისა, ამაში თუ იმაში, დღესაც კიდევ ემჩნევა სპარსეთს და არცთუ გასაკვირი უნდა იყოს ეს. სად ილუპებოდა ის იმოდენა გადასახლებული ხალხი, რომელთაგან სულ რამდენიმე სოფელი-ღა შერჩენილა დღეს ფერეიდანში? რა იქნენ ის იმოდენა ტყვედ წაყვანილი და გაყიდული ქართველები? სად წავიდნენ ის ხარკად შეწერილი ახალგაზრდები, რომლებსაც ყოველ წლობით ჰგზავნიდნენ საქართველოს მეფენი? გადაჭარბებული არ იქნება, ვთქვა, რომ დღეს, თუ არ ნახევარი სპარსეთი, ერთ მესამედზე მაინც მეტი წმინდა ქართული სისხლია...“

**ლადო აღნიაშვილი,**
**1896 წელი.**

დღეს კი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ფერეიდნელ ქართველთა საერთო რიცხვი ირანში დაახლოებით 60 ათასამდეა. ქართული წარმოშობის ადამიანები უკვე თეირანში, ისპაჰანში დასახლდნენ... ირანელი ჩვენი თანამემამულეები სახელმწიფოს მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულ და ღირსეულ ნაწილს წარმოადგენენ.

ცნობილი სარდლის **იმამყულიხან უნდილაძის** ძეგლი კუნძულ ყეშზეა აღმართული, ხოლო **ალავერდი-ხან უნდილაძის** სახელთანაა დაკავშირებული ფანტასტიური, 33-თაღიანი ხიდის „სიოსეფოლის“ აგება ისპაჰანში.

* * *

საქართველოს პატრიარქმა როცა ფერეიდანში მოგზაურობა გაიხსენა, ერთი მრავალმხრივ დასაფიქრებელი ფრაზაც წარმოსთქვა: **„მე არ მინახავს ასეთი სიყვარული უცხოეთში მყოფ სხვა ქართველებში...“**



ქართველი სტუდენტები თეირანის უნივერსიტეტში

შეგვწევს კი ძალა ჩვენც ვუპასუხოთ ასეთ სიყვარულს?..

„ყველა რაღაცაზე ფიქრობს, ყველა რაღაცაზე ოცნებობს, ფულზე, ზოგი მანქანებზე და სახლებზე. მე სულ იმაზე ვფიქრობ და ვლოცულობ, ჩემი საქართველო იყოს კარგად...“

**საიდ მულიანი-მულიაშვილი...**

ჟურნალში ვკითხულობთ ამბავს ფერეიდნელი ძმების **შაჰინ და არია ხოსრაშვილების** მოგზაურობაზე საქართველოში. რა ტევადია, ემოციური და მრავლისმთქმელია, შიგადაშიგ თითქოს, სხვათა შორის წარმოთქმული მათი მოკლე ფრაზები...

**შაჰინი:** ***ყველგან სიყვარულით გვხვდებიან... სულ ვფიქრობდი, ნეტავ, როგორ შეგვეყრება საქართველო, გაახარებთ თუ არა ჩვენი ჩასვლა ქართველებს-მეთქი...***

**არია:** ***ჩემს ძმას, შაჰინს ვუთხარი, თუ გზაში სულს დავლევ, ფერეიდანში არ წამიღო, თბილისში ჩამიტანე და იქ დამასაფლავე, რომ საქართველოს მიწად ვიქცე-მეთქი...***

* * *

— ქალბატონო თინა, მართლაც, ტკივილიანი ფიქრების აღმძვრელია თქვენი ჟურნალის ეს ნომერი, რამდენი მასალაა ერთად თავმოყრილი... დასანანია, რომ მცირე ტექნიკური ლაფსუსები ახლავს. საინტერესოა, რას ეძღვნება ჟურნალის შემდეგი ნომერი?

**— შემდეგი ნომერი ეძღვნება მამლუქებს, ეგვიპტე-საქართველოს ურთიერთობის თემას.**

— მამლუქების თემა ეკუთვნის სასულიერო ლიტერატურას?

**—საქმე იმაშია, რომ მამლუქები ადრეული ბავშვობიდანვე გაიტაცეს, გაყიდეს სხვადასხვა ქვეყანაში, ძირითადად ეგვიპტესა და ერაყში და ამასთან დაკავშირებით მათ ქრისტიანული რჯული აღარ შერჩათ... მიუხედავად ამისა, მათ დიდ ნაწილს ახსოვთ სამშობლო და ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. ახსოვთ თავიანთი ახლობლები და რასაკვირველია საკუთარი სარწმუნოებაც. არსებობს ცნობები და გადმოცემები იმის შესახებ, რომ ისინი სამშობლოსკენ იცქირებოდნენ და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ დახმარებოდნენ. რასაკვირველია, ჩვენი ვალია, როგორც შევძლებთ, შევინახოთ მათი ხსოვნა და ვილოცოთ მათი სულებისთვის.**

**ქართველმა მამლუქებმა ეგვიპტესა და ერაყში დიდი საქმეები გააკეთეს. ზოგმა მათგანმა სულთანის წოდებაც კი მიიღო... მათ დიდი სამსახური გაუწიეს ოსმალეთის მიერ დამონებულ ეგვიპტე-ერაყის მოსახლეობას.**

**ყოველივე ამის შესახებ ჩვენ მოვალენიც კი ვართ, რომ რაღაც მაინც ვთქვათ დღევანდელი საქართველოს გასაგონად.**

**მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდნელები, მამლუქები, ლაზები თუ სხვანი მუსულმანები არიან, მათ ხომ სამშობლო უყვარდათ და უყვართ და ჩვენს საეკლესიო გამოცემებში თავიანთი უნდა მივაგოთ, როგორც ჩვენს დიდ ეროვნულ პრობლემებს...**

**დედა საქართველოს დედა ეკლესია ზრუნავს ყველა ქართველზე, მიუხედავად მათი სარწმუნოებისა...**

**ყინული უკვე დიდი ხანია დაძრულია და ჩვენ ისე, როგორც ყველა ქართველი ადამიანი, მოვალენი ვართ მოვიხადოთ ვალი მათ წინაშე.**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**



№ 255. შაბათი, 23 დეკემბერი, 2006 წელი.

ვაჟკაცურ პროფესიებში ქალების გამეფებამ უთუოდ გამოიწვია მათი ხასიათის, პიროვნული თვისებების, თვით ფუნქციების შეცვლაც. აქ მოსატანი უკვე აღარაა სიგარეტის წევა ან ავტომანქანის ტარება. კარგა ხანია საუბარი მიდის ქალთა მიერ ალკოჰოლის მიღებაზე, უფრო მეტიც, მიქალებაზე...



საით მივდივართ?

# ჯიქის სუნი

## ქალები კაცებს უკვე სმაშიც ეჯიბრებიან

**ქალისა და კაცის უფლებათა გათანაბრებამ, გენდერული პოლიტიკის მუდმივმა გააქტიურებამ ჩვენი ცხოვრების ბევრ სფეროში სასიკეთო შედეგები მოიტანა. ავიღოთ, თუნდაც უამრავი ქვეყნის პარლამენტში სუსტი სქესის წარმომადგენელთა მომრავლება. როგორც ამბობენ, ყოველი ასეთი პარლამენტი უფრო გონივრულ, გაწონასწორებულ და, რაც მთავარია, ლოიალურ, ჰუმანურ კანონებს იღებს. ეს კი მოსახლეობას გაცილებით სიამოვნებს.**

ახლა შედარებით მეტი ქალია არა მარტო ჯანდაცვის ან ყოფაცხოვრების, არამედ შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების სტრუქტურებშიც. ერთი შეხედვით, ასეთი „შერწყმა“, ქალისა და კაცის უფრო მეტად დაახლოება სავსებით ნორმალური პროცესია, მაგრამ... ვაჟკაცურ პროფესიებში ქალების გამეფებამ უთუოდ გამოიწვია მათი ხასიათის, პიროვნული თვისებების, თვით ფუნქციების შეცვლაც. აქ მოსატანი უკვე აღარაა სიგარეტის წევა ან ავტომანქანის ტარება. კარგა ხანია საუბარი მიდის ქალთა მიერ ალკოჰოლის მიღებაზე, უფრო მეტიც, მიქალებაზე...

ახლახან ექსპერტებმა მოაწყვეს სოციოლოგიური გამოკითხვები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ყველაზე მეტ ალკოჰოლს თურმე იღებენ ირლანდიელი ქალები (57 პროცენტიძ, მერე მოდიან ინგლისე-



ლი (33 პროცენტიძ და გერმანელი (29 პროცენტიძ ბანოვანები. ხუთეულში მოხვდნენ ბერძნებიც და იტალიელებიც, მათ ოდნავ ჩამორჩნენ რუმინელები და სამხრეთ აფრიკელები. თქვენ წარმოიდგინეთ რა ვითარება იქნება ამ ქვეყნებში, როცა ისინი უსწრებენ რუსეთს, სადაც ოფიციალურად მილიონზე მეტი ლოთი ქალია, აქედან კი უმრავლესობა მოზარდია. 100 ათასი თინეიჯერიდან 17 უკვე ჩამოყალიბებული ავადმყოფია.

ამერიკისა და ევროპის რამდენიმე სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც, ყოველწლიურად იმართება ალკოჰოლური სასმელების ფესტივალები. ეს ფესტივალები გრძელდება არა 2-3 დღეს, არამედ 2-3 კვირას. მიდის უთავბოლო ღრეობა, ჭამა-სმაში გაჯიბრება, რომელიც ზოგჯერ ტრაგიკულადაც მთავრდება. ამ ორიოდე წლის წინათ რუსეთში, მაგალითად, ლუდის ფესტივალს ხალხი შეეწირა. და აი, ასეთ ღონისძიებებში, როგორც იტყვიან ხოლმე, კაცებს ტოლს არ უდებენ ქალები. პირიქით, მათი გამომწვევი ქცევა უფრო ამძაფრებს სიტუაციას, აქეზებს შეზარხოშებულ მამაკაცობას.

საქართველო ნაირ-ნაირი სასმელის ქვეყანაა, მაგრამ იგი არასოდეს გამხდარა ლოთობის მიზეზად. ჩვენი ტრადიციები ყოველთვის ხაზს უსვამდა ზომიერებას, თავშეკავებას, ღვინის პატივისცემას. არა, გამონაკლისიც ყოფილა, დავიდარაბაც, მკვლელობაც, მაგრამ ალკოჰოლის მოხმარების თვალსაზრისით ქართველები მუდამ ითვლებოდნენ მისაბაძ პიროვნებებად. დღეს ყველაფერი იცვლება. ცხადია, იცვლება ჩვენი ადათ-წესებისადმი დამოკიდებულებაც. მოხშირდა არა მარტო მსმელი კაცების, არამედ მსმელი ქალების თავგადასავლებიც. შეიძლება ეს ჯერჯერობით თვალშისაცემი არ არის, მაგრამ სამწუხარო ფაქტები მაინც გვაქვს. ამას წინათ თბილისის სააპელაციო სასამართლომ თავისუფლება 7 წლით აღუკვეთა ვინმე ლიანა ბაკურაძეს, რომელმაც მთელი დღე ელენე ხაჩატუროვასთან ერთად ალკოჰოლი სვა, მერე აუშარდა, იგი თმებით ათრია, ბოლოს კი გულმკერდში დანა ჩაარტყა...

სპეციალისტთა მტკიცებით, კაცთან შედარებით ქალის ორგანიზმი უფრო მგრძნობიარეა. მას ალკოჰოლი მალეც „ეკიდება“ და მალეც თვრება. ამიტომ უნდა დაფიქრდეს ყველა — თითოეული ოჯახის უფროსიც და თითოეული მაგიდის წევრიც, რათა ქალმა ხერგილს არ გადააბიჯოს, სუფრას ხიბლი და ეშხი შემატოს მხოლოდ სალი გონებით და არა ჭიქების ტრიალით. მით უმეტეს სადღესასწაულო, საახალწლო დღეებში.

**ბონდო გულიაშვილი**

ჭრუანტელი

### ლოთობა ყველაზე საშიშია

**რუსეთის 46 რეგიონში გამოკითხეს 1592 კაცი. აქედან 66 პროცენტს აწუხებს ლოთობა, 55 პროცენტს — ნარკომანობა, 43 პროცენტს — ტერორიზმი, 36 პროცენტს — დამნაშავეობა, 12 პროცენტს — ბიუროკრატიზმი, 9 პროცენტს კი — ფაშიზმი.**

### ცოლებს კლავენ?

**ესპანეთი დიდი აჟიოტაჟით იღებს კანონს ოჯახური ძალადობის შესახებ. მეუღლეთა მიმართ თურმე გაუგონარ სისასტიკეს იჩენს ამ ქვეყნის 6.000-მდე მამაკაცი. ახლანდელი თუ ყოფილი ქმრების ისტერიკას მარტო წლეულს შეეწირა 70-მდე ქალის სიცოცხლე.**

### ამას ზრდილობა უნდა

**ინდოეთში აიკრძალა ქუჩაში გადაფურთხება და ცხვირის მოხოცვა. ამის მთავარი მიზეზია ჰაერწვეთოვანი გზით ინფექციების გადაცემა. კანონის დაუმორჩილებლობას საკმაოდ დიდი ჯარიმა მოჰყვება. ისე, ამას კანონი კი არა, ზრდილობა უფრო სჭირდება.**

### ცოცხალიც მატულობს, მკვდარიც

**2006 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს პენიტენციურ სისტემაში სულ 15.096 პატიმარია. 11 თვეში აქ დაიღუპა 85 ტუსაღი. ასეთი ციფრები ჯერ არც ერთ წელიწადს არ ახსოვს.**

### რამდენი ღატაკი მოსულიერდებოდა

**ერაყის ომმა უკვე შეიწირა 2.500 ამერიკელი და 28.000 ერაყელი. ამ ომმა შთანთქა 550 მილიარდი დოლარი. ეს რომ ღარიბ-ღატაკებს მოხმარებოდა, ვინ მოთვლის, რამდენი ოჯახი წელში გასწორდებოდა და ერთხელ და სამუდამოდ მოსულიერდებოდა.**

### კვერცხი არ გარეცხოთ...

**ამიერიდან ესტონეთში გაიყიდება მხოლოდ ჭუჭყიანი კვერცხები. ეს კეთდება ევროკავშირის ექიმთა დაჟინებული მოთხოვნით. მათი აზრით, კვერცხის ნაჭუჭი დაფარულია ბაქტერიებით, რომლებიც ცილას იცავს მავნე მიკრობებისგან. კვერცხის გარეცხვისას კი ბაქტერიები იღუპება.**

### დრო ტელევიზორს მიაქვს

**სპეციალური გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ 2007 წელს ყოველი ამერიკელი საშუალოდ ტელევიზორის ყურებას მოანდომებს 3210, რადიოს მოსმენას — 974, პრესის კითხვას კი — 201 საათს. ცოტა დრო მიაქვს ინტერნეტში ჩხირკედელაობას და ახალი წიგნის გაცნობას.**

რა დააშავეს?

# ხეირიანად არც ელაპარაკებიან

**1986 წლის 26 აპრილს უკრაინაში დატრიალდა XX საუკუნის ყველაზე დიდი ტრაგედია, — აფეთქდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური. მთელი „ძმური კავშირიდან“ დაიწყო ჩერნობილელთა დასახმარებლად მოხალისეების შეკრება. გამონაკლისს მხოლოდ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა წარმოადგენდა.**

**ვაჟა ჩადუნელი** (ჩერნობილელთა კავშირის თავმჯდომარეძ: „საზოგადოებაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ჩერნობილში მოხალისეებად მიდიოდნენ. ეს მცდარი აზრია. ადამიანები მოხალისეებად მხოლოდ მშენებლობაზე მიდიოდნენ. ისინი ბინებს აშენებდნენ ელექტროსადგურიდან 50-60 კილომეტრის დაშორებით. რაც შეეხება სამხედრო პირებად წაყვანილებს, მათ მილიციისა და სამხედრო კომისარიატების წარმომადგენლები სახლებში ღამით აკითხავდნენ და იძულებით მიჰყავდათ. პირველი ნაკადი სამხედრო კომისარიატებმა საქართველოდან 1986 წლის სექტემბერში გაიწვიეს. ჩერნობილში დიდი ხნით დარჩენა არ შეიძლებოდა. ვინ რამდენ დასხივებას ვიღებდით, არავინ გვეუბნებოდა. დასხივების მაქსიმალური ზღვარის მიღწევის შემდეგ პიროვნებას უკან აბრუნებდნენ. ასეთ რეჟიმში მიმდინარეობდა ხალხის ცვლა. საქართველოდან ორი ათასზე მეტი ადამიანი გააგზავნეს“.

ჩერნობილიდან დაბრუნებულთა 90 პროცენტი დაინვალიდდა. ბევრი დაიღუპა. დღეისათვის მათი რაოდენობა 1500 კაცს აღწევს. გადარჩენილები უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებიან. სახელმწიფო მათზე საერთოდ აღარ ზრუნავს. „საქართველოს ჩერნობილელთა კავშირის“ წევრთა განმარტებით, მათი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ადრე სამხედრო ხაზით წაყვანილებს სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსი ჰქონდათ. 2005 წლის იანვრიდან ეს სტატუსი გააუქმეს. ჩერნობილელებს, ომის ინვალიდების მსგავსად, 45-ლარიანი პენსია ჰქონდათ. ომის ინვალიდებს პენსიები 84 ლარამდე გაუზარდეს, ჩერნობილელებს კი იგივე დაუტოვეს. დაჩაგრულებმა საკონსტიტუციო სასამართლოს უშედეგოდ მიმართეს.

ჩერნობილელებთან დაკავშირებით საინტერესო რამ ხდება. კანონით გათვალისწინებულ შეღავათებს კომუნალურ მომსახურებაზე მხოლოდ დედაქალაქში მცხოვრებნი იღებენ. რეგიონში მაცხოვრებელ ჩერნობილელებს (ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ) ხელისუფლება მსგავსი თანხების გაცემაზე ბიუჯეტის სიმწირის გამო უარს ეუბნება. მათი ინტერესების დამცველად ერთადერთი ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი გვევლინება. თუმცა ფინანსური თვალსაზრისით იგი ბევრს ვერაფერს ეხმარება.

ფულს კი არა, ზოგი ჩინოვნიკი თურმე ხეირიან სიტყვასაც არ იმეტებს. ბევრისთვის უთქვამთ, — წადით, ვინც ჩერნობილში გაგიშვათ, პასუხიც იმას მოსთხოვეთო. მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდათ!

**ზაზა ბილიხოძე**

აუჰ!

# ნამუსი ყველას მოეთხოვება

**ათასი უბედურება ხდება გალის რაიონში, სადაც ძირითადად ქართველები სახლობენ. მათ არ აკლიათ ძარცვა, ქურდობა, გატაცება, შეურაცხყოფა, დამცირება... ითმენენ ჩვენი თანამემამულეები ამას, მაგრამ როდემდე მოითმენენ?**

ეტყობა, ისე გათამამდნენ აფხაზი კრიმინალები, რომ აღარაფრად მიაჩნიათ აღარავინ, თუნდაც თავიანთი „რეჟიმის“ მხარდამჭერები. ახლახან, მაგალითად, თავს დაესხნენ გალის აფხაზური ადმინისტრაციის უფროსის რუსლან ქიშმარიას ბიძაშვილის გურამ ქიშმარიას ოჯახს. ხუთმა ავტომატებით შეიარაღებულმა პირმა სასტიკად აწამა ოჯახის წევრები, მათ შორის 5 წლის ბავშვი. პატარა „დააუთოვეს“.

თავდამსხმელებმა სახლიდან 10.000 დოლარი წაიღეს. თუმცა ამჯერად ლაპარაკია არა იმდენად ფულის გატაცებაზე, რამდენადაც ბავშვის წამებაზე. ნუთუ ყველა ხერხია სახმარი მიზნის მისაღწევად? ნუთუ ცხელი უთოა საჭირო პატარის დასათრგუნად? არ კმაროდა გურამ ქიშმარიას დასახიჩრება, რომელიც საავადმყოფოში ძლივს მოასულიერეს?

ასეთი რამ არც ჩვენებურ პატარებს აკლია. არადა, ბავშვი ბავშვია, მას ყველა უნდა მოუფრთხილდეს, — ქურდიც და პატიოსანიც!

**ბადრი ღვინიაშვილი**

# სად გადაგვისვრის?

საერთაშორისო ორგანიზაციამ „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე“ გამოაქვეყნა პრესის თავისუფლების ხარისხის მაჩვენებლები. 168 სახელმწიფოდან ყველაზე საუკეთესოთა ხუთეულში მოხვდნენ: ჰოლანდია, ისლანდია, ირლანდია, პოლონეთი და ფინეთი. საფრანგეთი 35-ე ადგილზეა, აშშ-53-ზე. საქართველოს ერგო 89-ე, სომხეთს - 102-ე, აზერბაიჯანს — 138-ე, რუსეთს კი — 147-ე ადგილი. ნეტავ, სად გადაგვისვრის მასმედიის ქცევის ახალი კოდექსი?



● 1996 წლიდან დღემდე პროფესორი ინესა მერაბიშვილი არის ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი სხვა 15 ბაირონოლოგთან ერთად.



◎ თარიღი

# „გული გაითბეთ, სული გაიცისკროვნეთ, ოღონდ ნუ დაეცემით, ნუ გატყდებით"...

## ვალერიან მამუკელაშვილი – 80

**ყოველთვის, როდესაც კი მას დავინახავ, რატომღაც შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ამირანის ნათლობა" მახსენდება. მაღალი, მოზუხუნე, იმედიანი, თითქოსდა დიდი პოეტის სტრიქონებს მოჰგავს: „ავთანდილივით მივიმღერი, ჰერი, ბიჭო, და, ჰერი, ჰერი, გადავიარე ჭალაკები, გადავიფრინე სერით–სერი"...**

ამ ლექსივით რაინდული და ქართულია მისი ყოველი სიტყვა, საქმე და სულის მოძრაობა. ჯერ კიდევ სიჭაბუკეში უძღვნა მას ლექსი ცხონებულმა ზაურ ბოლქვაძემ და „რაინდს – საყვარელს ყველასთვისო", ასე მიმართა. მსგავს ეპითეტებს ხელაღებით არ არიგებენ. ზაურ ბოლქვაძე უკვე მოეხიბლა ვალერიან მამუკელაშვილის ხალას იუმორსა და ბასრ სატირას. მისი პირველი ფელეტონები, იგავ-არაკები, ლექსები, მინიატიურები სწორედ ჟურნალ „ნიანგში" გამოქვეყნდა და „ნიანგის" ბიბლიოთეკის სერიით ცხრა წიგნიც კი გამოიცა.

მალე ვალერიან მამუკელაშვილის ფელეტონები და ლექსები ქართულ პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებშიც გაჩნდა, ხოლო მისი პიესები და სკეტჩები თეატრში დაიდგა. აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ფილარმონიასთან. მის ფელეტონებს კითხულობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები: სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი საღარაძე, აკაკი კვანტალიანი, ალექსანდრე გომელაური, გიორგი კიკნაძე, ვალერიან მოსაშვილი, ოლღა დოლიძე და სხვები...

1991 წელს საქართველოს სატირიკოსთა და იუმორისტთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. მალე სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „ღიმილს", რომლის ყოველ ნომერშიც ვალერიან მამუკელაშვილის მოთხრობა ან ნოველა ქვეყნდებოდა: „ამ თხზულებებში თვალნათლივ წარმოჩინდა მწერლური ნიჭის მადლის ალმავლობა. მისმა კალამმა ახალი ხარისხი, მეტი ელვარება შეიძინა, და შედეგმაც არ დააყოვნა. მოთხრობას „გასროლა" 1994 წლის საუკეთესო ბელეტრისტული ნაწარმოებისთვის მწერალთა კავშირის პრემია მიენიჭა", – წერს ვალერიან მამუკელაშვილის მოთხრობების კრებულის „სიკეთის ათინათების" რედაქტორის სარკმელში აკაკი გეწაძე.

ვალერიან მამუკელაშვილმა მწერალთა კავშირის პრემიის ლაურეატობა 2005 წელსაც მოიპოვა.

„ღიმილი" მალე „ნუგეშად" მოინათლა და 2001 წლიდან ვალერიან მამუკელაშვილი ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორია.

ნიჭიერი კალმოსნებით შემოკრებილმა „ნუგეშმა" მალე მოიპოვა მკითხველის პოპულარობა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენმა ახალმა დროებამ უმეტესად ტრადიციული ჟურნალ-გაზეთები ღვთის ანაბარად დატოვა და გასაწირავად გაიმეტა. 2006 წელს უსახსრობის გამო ყოველთვიურ ჟურნალ „ნუგეშის" მხოლოდ ერთმა ნომერმა იხილა დღის სინათლე:

„რა გინდ კარგი ჟურნალიც არ უნდა გამოსცე, ვერ გასაღდება, რადგან მკითხველი აღარ არის. თუ სახელმწიფო ხელს შეგვიწყობს, რომ ჟურნალმა იარსებოს, ამით ნიჭიერი ახალგაზრდობა წარმოჩინდება.

უწინ დიდ მწერლებს: კონსტანტინე გამსახურდიას, რევაზ ინანიშვილს ფართო ასპარეზი ჰქონდათ ნიჭის გამოსავლენად, ახლა ეს ასპარეზი თითქმის აღარ არსებობს, ნაწარმოების მკითხველამდე მიტანა შეუძლებელია. ამის მიზეზი ხელისუფლების პოლიტიკაა, რითაც მწერლობას არსებობის ყველანაირი საშუალება მოუსპეს", – ამბობს ბატონი ვალიკო.



**– როგორ შეაფასებთ მწერლობაში შექმნილ ვითარებას?**

– თანამედროვე მწერალი ცუდ დროებაში მოხვდა. საშინელი სიღარიბე ძალზე თრგუნავს ახალგაზრდა, ნიჭიერ თაობას. ეს სამომავლოდ უარყოფით შედეგს გამოიღებს, რადგან ახალგაზრდობას გაუჭირდება იმ მძიმე ჭაპანის გაწევა, რაც ჩვენ გადმოგვცეს ისეთმა დიდმა მწერლებმა, როგორებიც იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე და სხვები..."

...ჟურნალ „ნუგეშის" კარი მიუდამ ღია იყო ნიჭიერი ახალთაობელებისთვის, არაერთი პოეტი და მწერალი სწორედ „ნუგეშმა" წარმოაჩინა და გზა დაულოცა. ახალგაზრდული ენერგიითა და ხალისით აღსავსეს მცხეთიდანაც კი არ დაზარებია რედაქციაში მოსვლა, რათა ახალგაზრდა მწერლის ნაწერები წაეკითხა და ისინი დაეკვალიანებინა.

ბატონი ვალიკოს ოჯახი მცხეთაში ცხოვრობს. მცხეთაა მისი სულის დედაქალაქი. მას უკვე 5 წიგნი მიუძღვნა. მალე ლექსების ახალი კრებული კიდევ გამოიცემა.

„მცხეთა დღითი დღე უნდა ვითარდებოდეს და მშვენიერდებოდეს, მსოფლიოს ისტორიული ქალაქების მსგავსად. მაგრამ ამ გათანამედროვეობის პროცესმა ძველი არ უნდა მოსპოს. ძველი უბნების დასახელებები არ უნდა დაიკარგოს.

არქიტექტორთა კავშირს შევთავაზე იდეა, გაიმართოს კონკურსი თემაზე: „მცხეთა – საქართველოს ყოფილი დედაქალაქი". გამარჯვებული პროექტების მიხედვით ქალაქში ძეგლები დაიდგმება და, ვფიქრობ, ამით მცხეთა მოიგებს.

მუზეუმ-ქალაქ სუზდალს 24 ექსპოზიცია აქვს მოწყობილი, მცხეთას კი მხოლოდ – 2, მაგრამ განა შეიძლება სუზდალის ისტორია მცხეთის მდიდარ წარსულს შევადაროთ? მცხეთის თვითეული ქვა და უბანი ხომ საქართველოს ისტორიაა. თუნდაც ძველი უბანი ბაგინეთი ავიღოთ, რომელიც არანაირად მინიშნებული არ არის, რათა სტუმარმა გაიგოს, რომ ეს ფარნავაზის საბრძანებელია.

ეს ძველი, არაჩვეულებრივი ქალაქი გეგმაზომიერად, ფაქიზად უნდა განვითარდეს"...

... მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან მამუკელაშვილი 80 წლისაა. მცხეთის, ჩარგლის, იყალთოსა და ხოზის საპატიო მოქალაქე ღირსების ორდენის კავალერიცაა.

მაგრამ ღირსება ჩინ-მედლებით არ იზომება. ვალერიან მამუკელაშვილს აქვს ერთი მოთხრობა: „სანთლებით გაჩირაღდნებული ავტობუსი", სადაც აფხაზეთიდან დევნილი, შვილმკვდარი დედა სანთლებს აჩუქებს ავტობუსის მგზავრებს და ეტყვის: „არ მინდა თქვენი ფული, აანთეთ, გული გაითბეთ, სული გაიცისკროვნეთ, ოღონდ ნუ დაეცემით, ნუ გატყდებით..."

ასე ანთია ჩვენი ცხოვრების ავტობუსში ვალერიან მამუკელაშვილის თითოეული მოთხრობა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ლექსი-იგავი

### მიზეზი

*ქურდხა და უსაქმურ, ავყია წრუწუნას*
*აქებდა ყოველდღე ვირთაგვა...*
*და ისიც, უფროსის ფარვით და წყალობით,*
*არავის არაფერს ჰკითხავდა.*
*ყოველდღე უფროსის ჯანსა და სიცოცხლეს*
*შესთხოვდა მხურვალედ განგებას,*
*საკუთარ ოჯახში გაზიდა უკლებლივ,*
*რაც ჰქონდა ტყემომარაგებას.*
*გამწარდნენ, გაჯავრდნენ ტყის გულში მცხოვრებნი,*
*მოაკლდათ ოჯახში საჭმელი:*
*— ჩვენ ფეტვი არა გვაქვს, მაგან კი ხორბალით*
*გაავსო ბეღელი, საბძელი! —*
*უფროსს კი ისევ აჭყავდა ზეცამდე*
*და რისხვას აფრქვევდა ჩივილზე!...*
*ვერ გაამტყუნებდით, წრუწუნას წყალობით,*
*ოჯახში არ აკლდა ჩიტის რძე!*

◎ საქართველო და ბაირონი

# თარგმანი – კულტურათა დიალოგი,

## ანუ როგორ ახერხებენ ჭეშმარიტი პოეტები მარადიულ სიცოცხლეს

**მრავალი თაიგული... მუსიკა... ოვაცია და აპლოდისმენტები უხვად იგრძნობოდა ამ დღეს.**

დიახ! 14 დეკემბერს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სხდომათა დარბაზში საქართველოს ბაირონის საზოგადოების მორიგი სხდომა ჩატარდა, რომელიც სპეციალურად თარგმანის საკითხებს მიეძღვნა და ამავე სხდომაზე მოეწყო პრეზენტაცია პროფესორ ინესა მერაბიშვილის მონოგრაფიებისა: „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა" და „თარგმანი – კულტურათა დიალოგის". რედაქტორები არიან პროფესორები დალი ფანჯიკიძე და ლალი კერესელიძე. წიგნები გამოსცა საქართველოს ბაირონის საზოგადოებამ.

შექსპირის, ბაირონის, პუშკინისა და სხვათა თარგმანების გვერდით გალაკტიონის ინგლისურენოვანი თარგმანებიც ჟღერდა.

გასულ წელს სწორედ ამ დარბაზში შედგა ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი გალაკტიონის კრებულის პრეზენტაცია, ხოლო 2006 წლის გაზაფხულზე იგივე წიგნი ავტორმა ლონდონში წარადგინა, სადაც აგრეთვე წაიკითხა ლექცია გალაკტიონზე. ეს წიგნიც თბილისის უნივერსიტეტმა და ბაირონის საზოგადოებამ ერთობლივად გამოსცეს.

საქართველოს ბაირონის საზოგადოება დაარსდა 1988 წელს, როგორც უნივერსიტეტთან არსებული მუდმივმოქმედი სემინარი.

1990 წელს საქართველოს ბაირონის საზოგადოება გაწევრიანდა ბაირონის საერთაშორისო ასოციაციაში (ლონდონიძ, რომელიც ორმოცამდე ქვეყანას აერთიანებს.

1996 წლიდან დღემდე პროფესორი ინესა მერაბიშვილი არის ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი სხვა 15 ბაირონოლოგთან ერთად.

საზოგადოება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს დიდი ინგლისელი პოეტის შემოქმედების პოპულარიზაციას, სამეცნიერო შესწავლასა და თარგმნას. დღეს საზოგადოებას საქართველოში ათამდე წიგნი აქვს გამოცემული. გარდა ამისა, ქართველ ბაირონოლოგთა პუბლიკაციები პერიოდულად ქვეყნდება ბრიტანეთში.

აღსანიშნავია, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ლონდონის უნივერსიტეტმა მოამზადა კოლექტიური ინგლისურენოვანი მონოგრაფია მიძღვნილი ბაირონის აღქმისადმი ევროპაში. სხვა ევროპელ ექსპერტებთან ერთად ამ მონოგრაფიის შექმნაში მონაწილეობდა ქალბატონი ინესა მერაბიშვილი, რომელმაც წიგნისათვის დაწერა ცალკე თავი – „თავისუფლება და ქართველი ბაირონი".

პროფესორ ინესა მერაბიშვილს გამოსაცემად მზად აქვს ბაირონის ლირიკის ორენოვანი კრებული და ასევე ვრცელი მონოგრაფია „შეხვედრა ლორდ ბაირონთან". ამ წიგნების გამოცემას საზოგადოება 2008 წლისათვის ბაირონის 220 წლისთავის აღსანიშნავად გეგმავს.

სხდომაზე რედაქტორებმა და ავტორმა თარგმანისადმი მიძღვნილი ამ მონოგრაფიების შესახებ ისაუბრეს.

პირველი მონოგრაფია „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა" ეძღვნება პოეტური ტექსტის ახალი შინაარსობრივი პარამეტრების გამოვლენასა და მათი, როგორც ერთიანი სისტემის მიყენებას თარგმანისადმი. წიგნი განკუთვნილია იმ აკადემიური წრეებისათვის, ვინც მუშაობს თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში, აგრეთვე ტექსტისა და თარგმანის ლინგვისტიკაში. აქ მოცემულია შექსპირის, ბაირონის, გალაკტიონის, პუშკინის, ახმატოვასა და სხვათა ტექსტების სიღრმისეული ინტერპრეტაციისა და თარგმანში სათანადო რეალიზაციის ახალი გზები.

მეორე მონოგრაფია „თარგმანი – კულტურათა დიალოგი" მოიცავს ქართულ-ბრიტანულ ლიტერატურულ ურთიერთობებს და თარგმანს, როგორც კულტურათა დიალოგს, საკუთრივ ისეთ საკითხებს, როგორიცაა კავშირი პრომეთეს, ბაირონსა და ნაპოლეონს შორის ბაირონის შემოქმედების მიხედვით და მათი ასახვა თარგმანში, ბაირონის შეხვედრა ქართველ ქალთან, ვინ არის გალაკტიონის მერი და აგრეთვე „მწუხრის ზარების" ქართული წარმომავლობა.

სხდომაზე წაკითხულ თარგმანებს შორის აგრეთვე აჟღერდა ბაირონის მიძღვნა ერთადერთი ქალიშვილის, ადასადმი, რომელიც პოეტს მაშინ გამოსტაცეს მეუღლის მშობლებმა, როდესაც ადა მხოლოდ ერთი თვისა იყო. აგორებულმა სკანდალმა ბაირონს სამშობლო სამუდამოდ მიატოვებინა. მამა-შვილი ერთმანეთს აღარასოდეს შეხვედრიან. ადა ცნობილი მათემატიკოსი გახდა და საფუძველი ჩაუყარა გამოთვლითი მანქანის და დღევანდელი კომპიუტერის შექმნას (მის სახელს ატარებს ერთ-ერთი ამერიკული სამხედრო საკომპიუტერო პროგრამაძ, სამი შვილის დედა, გრაფ ლავლეისის მეუღლე, მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალი სამშობლოდან განდევნილი მამის სიყვარულით დაავადდა და ამ დარდს გადაჰყვა. მამის მსგავსად ის 36 წლისა გარდაიცვალა და ანდერძის თანახმად მამის გვერდით საგვარეულო აკლდამაში დაიკრძალა. ბაირონმა ეს ყოველივე ბევრად ადრე იწინასწარმეტყველა და ადას განშორებისთანავე პოეტური სტრიქონები მიუძღვნა, როგორც ნაწილი „ჩაილდ ჰაროლდის" მესამე სიმღერისა. ეს ლექსი ქალბატონმა ინესამ დამსწრეთ საკუთარი თარგმანით წაუკითხა.

ამ საინტერესო სხდომას მრავალ ცნობილ ქართველ მოღვაწესთან ერთად ესწრებოდა ქალბატონი ლეილა აბაშიძეც, რომელმაც თავისი აღფრთოვანება დასასრულ დამსწრეთ გაანდო და გამოთქვა ფრიად საინტერესო მოსაზრება, რომ თარგმანს გაცილებით უფრო ფართო აუდიტორიაში ცალკე საღამო მიეძღვნას და თარგმანები თავად მთარგმნელმა წაგვიკითხოს.

**მზიური სირბილაძე**

№ 255. შაბათი, 23 დეკემბერი, 2006 წელი.

● „ბაბუშერის“ აეროპორტის ამოქმედების შემთხვევაში, რუსეთი კიდევ ერთხელ დაადასტურებს აფხაზეთის ანექსიის ფაქტს“







# საქართველო სოხუმ-მოსკოვის ავიარეისების განახლებას ეწინააღმდეგება

**საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისია გამოთქვამს პროტესტს სოხუმის „ბაბუშერის“ აეროპორტის შესაძლო ამოქმედებისა და სოხუმ-მოსკოვის ავიარეისების განახლებასთან დაკავშირებით. კომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმულია: „ბაბუშერის“ აეროპორტის ამოქმედების შემთხვევაში, რუსეთი კიდევ ერთხელ დაადასტურებს აფხაზეთის ანექსიის ფაქტს“.**

აფხაზეთთან საავიაციო მიმოსვლის განახლებით რუსეთი დაარღვევს საერთაშორისო შეთანხმებებს, რადგან საქართველოს ნებართვის გარეშე დაუშვებელია ფრენა ქვეყნის საჰაერო სივრცეში, აღნიშნულია დოკუმენტში. „თუ ვინმეს სურს საქართველოში ფრენა, ამის ნებართვა ჩვენგან უნდა აიღოს“, – მიაჩნიათ კომისიაში.

„საქაერონავიგაციის“ კომპანიის ხელმძღვანელმა გიორგი კარბელაშვილმა კი ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა: „ეს დახურული ზონაა, რასაც ყველა აღიარებს. ჩვენ არ შეგვიძლია გავცეთ უშიშროების გარანტიები. არადა, სწორედ ამას მოითხოვენ საქართველოსგან. ვერც ერთი ავიაკომპანია ვერ განახორციელებს იქ რეისებს, რადგან ასეთი მოქმედება ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით“.

20 დეკემბერს თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა აღნიშნა, რომ სოხუმის აეროპორტი მზად არის სამგზავრო თვითმფრინავების მისაღებად. როგორც მან თქვა, რუსმა სპეციალისტებმა განახორციელეს აეროპორტის ტექნიკური ინფრასტრუქტურის მონიტორინგი, და ახლა ორივე მხარის წარმომადგენლები იწყებენ მოლაპარაკებას სოხუმსა და მოსკოვს შორის სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავების ფრენის შესაძლო განახლების შესახებ. „სატრანსპორტო დერეფნების გახსნა არის ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების გააქტიურებისა და და რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოცხადებული ბლოკადის შეწყვეტის გზაზე“, – თქვა ბაღაფშმა.

აფხაზეთს დაგეგმილი აქვს ასევე განაახლოს საზღვაო-სამგზავრო მიმოსვლა თურქეთთან, რომელიც 1996 წელს შეწყდა, დასძინა თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ საჰაერო მიმოსვლა აფხაზეთთან შეწყდა 1993 წელს ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირების შედეგად. აფხაზეთის წინააღმდეგ შემოიღეს სატრანსპორტო და სხვა სახის სანქციები. ამჟამად გარესამყაროს აფხაზეთი მხოლოდ სახმელეთო ტრანსპორტით უკავშირდება.

РОСБАЛТ

# ახალ წელს სომხეთი შეიძლება უგაზოდ დარჩეს

**... და ეს შეიძლება მოხდეს საქართველოს „წყალობით“. საქმე ის არის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო, მნიშვნელოვნად შემცირდა რუსული გაზის მიწოდება ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკაში, რომელსაც ენერგეტიკული კრიზისის საფრთხე დაემუქრა.**

გაზის მიწოდების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ კვირა საღამოს გავრცელდა. თუმცა ოფიციალური თბილისი ჯერჯერობით არაფერს იტყობინება ინციდენტის გამომწვევი მიზეზების შესახებ. ამჟამად ბუნებრივი აირის მესამედს სომხეთი იღებს გარსშემოვლითი მილსადენიდან.

ერევანს აქვს გაზის მიწისქვეშა საცავიც, რომლის წყალობითაც რესპუბლიკა ახერხებს უზრუნველყოს „ცისფერი სათბობის“ მიწოდების დეფიციტის აღმოფხვრა, რომელსაც იგი რუსეთიდან იღებს. და მაინც, თუ უახლოეს დღეებში ვერ მოხერხდა გაზსადენის მონაკვეთის აღდგენა საქართველოს ტერიტორიაზე, ეს საცავიც სწრაფად დაცარიელდება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ,



სომხეთს ცივი ზამთარი ელის. „ვითარება საგანგაშოა. ჩვენ და ჩვენს სომეხ კოლეგებს იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი გაკეთდება საქართველოს ტერიტორიიდან სომხეთში რუსული გაზის მიწოდების რაც შეიძლება სწრაფად აღდგენისთვის“, – განაცხადა „გაზპრომის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა სერგეი კუპრიანოვმა.

„ცისფერი სათბობის“ მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოშიც წარმოიქმნა. კომპანიათა საერთაშორისო ჯგუფმა „იტერამ“ 21 დეკემბერს გაზმომარაგებიდან გამორთო აღმოსავლეთ საქართველოს ერთბაშად ექვსი რაიონი.

როგორც იტყობინებიან, ბუნებრივი აირის მიწოდება არ განახლდება მანამ, სანამ არ გაისტუმრებენ დავალიანებას, რომელიც ამ ექვს რაიონში 250 ათას დოლარს აღემატება. „იტერას“ კომპანიის მიმართ კი საქართველოს ვალმა 6 მილიონ დოლარს მიაღწია.

РОССИЙСКАЯ ГАЗЕТА

# საქართველოს პრეზიდენტი: „კავკასია ერთიანი რომ იყოს, ჩვენ სამაგალითო ვიქნებოდით თვით ბალტიის ქვეყნებისთვისაც კი“

**საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მიაჩნია, რომ მისი ქვეყნის ურთიერთობა აზერბაიჯანთან შეიძლება გახდეს სამაგალითო სხვა სახელმწიფოებისთვისაც. ეს მან განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრის დროს. „ვფიქრობ, რომ აზერბაიჯან-საქართველოს თანამშრომლობა მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენთვის, რადგან იგი არის მაგალითი მრავალი სხვა ქვეყნისათვისაც“, – ხაზგასმით აღნიშნა სააკაშვილმა.**

„კავკასია რომ ერთიანი იყოს და რომ შეგვეძლოს ჩვენს წინაშე არსებული ყველა პრობლემის გადაჭრა, ასეთ შემთხვევაში ბალტიის ქვეყნებიც კი მიბაძავდნენ ჩვენს მაგალითს“, – დაასკვნა საქართველოს პრეზიდენტმა.

REGNUM

# მორიგებას კვლავ ვერ მიაღწიეს

**პეკინში ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარე საერთაშორისო მოლაპარაკება ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შესახებ, კვლავ უშედეგოდ დასრულდა. ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან მორიგი შეხვედრის გამართვის ვადების შესახებ.**

როგორც ცნობილია, ამერიკელები უკვე აცხადებდნენ, რომ ვერ ხედავენ დისკუსიის გაგრძელების აზრს. შეერთებული შტატების წარმომადგენელმა კრისტოფერ ჰილმა კი ფხენიანი მოლაპარაკებისადმი არასერიოზულ მიდგომაში დაადანაშაულა.

„როცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მოლაპარაკების დროს ცდილობს პრობლემის გადაჭრას, ერთ დღეს ეს არის ფინანსური საკითხები; მეორე დღეს ის, რისი მიღწევაც სურთ, მაგრამ კარგად იციან, რომ ამას ვერ მიაღწევენ; მესამე დღეს კი გვიყენებენ პრეტენზიებს რაღაც ისეთი გამონათქვამების გამო, რომლებმაც, თითქოს შელახეს მათი თავმოყვარეობა “, – თქვა ჰილმა.

ჩინეთის წარმომადგენელმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც მხოლოდ დადასტურებულია 2005 წლის სექტემბრის მორიგება, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა დათანხმდება განიარაღებას იმ შემთხვევაში, თუ მას გაუწევენ დახმარებას და მისცემენ უშიშროების გარანტიებს.

ჩინეთის წარმომადგენლის თქმით (პეკინი ფხენიანის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირეაძ, მოლაპარაკების მონაწილეები ერთმანეთთან შეხვედრას აპირებენ „პირველი შესაძლებლობისთანავე“.

როგორც დიპლომატები აღნიშნავენ, შეერთებულმა შტატებმა ჩრდილოეთ კორეას შესთავაზა მთელი რიგი ახალი ინიციატივები, მათ შორის წერილობითი გარანტია თავდაუსხმელობის შესახებ, თუ ფხენიანი შეწყვეტს ბირთვული პროგრამების განხორციელებას და დაუშვებს გაეროს ინსპექტორებს შესაბამისი ობიექტების შესამოწმებლად.

მაგრამ, ჩრდილოეთ კორეა დაჟინებით მოითხოვს, რომ ამერიკელებმა გააუქმონ ფინანსური სანქციები მანამ, სანამ ფხენიანი დათანხმდება თავისი ბირთვული პროგრამის განხილვას.



# კონდოლიზა რაისი: ერაყი მსხვერპლის ფასად ღირს

**შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა კვლავ დაუჭირა მხარი ომს ერაყში. როგორც მან თქვა, დიდი მსხვერპლი და ფინანსური ინვესტიციები მთლიანად იქნება გამართლებული.**

სახელმწიფო მდივნის მტკიცებით, ერაყის გამო შეერთებულ შტატებს დიდი მსხვერპლის გაღება მოუწია, მაგრამ ამ ქვეყანაში სტაბილური დემოკრატიის აყვავება მთელი ახლო აღმოსავლეთის „იერ-სახეს“ შეცვლის.

კონდოლიზა რაისმა ასეთი მოსაზრება გამოთქვა მას შემდეგ, რაც წაუყენეს ბრალდებები რვა ამერიკელ საზღვაო ქვეითს, რომლებსაც ბრალად ედებათ გასულ წელს ერაყის ქალაქ ჰადითში 24 მშვიდობიანი მცხოვრების მკვლელობა.

მიმდინარე კვირას პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა პირველად აღიარა, რომ შეერთებული შტატები ვერ აღწევს წარმატებას ერაყში. მაგრამ, ბუშის თქმით, ამერიკელები იქ არც მარცხდებიან.



ამავე დროს, როგორც ამერიკელთა სამხედრო სარდლობა იტყობინება, პარასკევს სამი ამერიკელი საზღვაო ქვეითი და ერთი სამხედრო მეზღვაური დაიღუპნენ ერაყის ანბარის პროვინციაში მიმდინარე ბრძოლების დროს მიღებული ჭრილობების შედეგად.

„ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში რაისმა კვლავ განაცხადა, რომ ერაყი არის ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შეერთებული შტატების პოლიტიკის ცენტრალური ელემენტი.

ამერიკელ კონგრესმენებს სურთ აიძულონ პრეზიდენტი ბუში, რომ ერაყში შეიმუშაოს ახალი სტრატეგია.

თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა და ერაყის შემსწავლელი ჯგუფის წამყვანმა ამერიკელმა მრჩევლებმა ამ ცოტა ხნის წინათ აღნიშნეს, რომ მშვიდობის დამყარების უმნიშვნელოვანესი პირობაა არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მოწესრიგება.

№ 255. შაბათი, 23 დეკემბერი, 2006 წელი.

ოლიმპიზმი



## „წიწილები“ სეოკშიც დაითვალეს

**იწურება 2006 წელი. სეზონის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს საქართველოს სპორტსმენებმა.** სწორედ მათს მონაგარსა და სამომავლო ორიენტირებზე იყო საუბარი გუშინ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო სესიაზე, სადაც სიტყვით გამოვიდნენ სეოკის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი, ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ლუკა კურტანიძე და სხვები.

სესია, ტრადიციულად, დაჯილდოებით დაიწყო. სეოკის ეგიდით **წლის საუკეთესო სპორტსმენებად დაასახელეს ზაზა კედელაშვილი** (ძიუდო), **დავით ბედინაძე** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და **ელენე გედევანიშვილი** (ფიგურული ციგურაობა). საუკეთესო მწვრთნელად ბედინაძის აღმზრდელი ვაჟა კრავეიშვილი აღიარეს, „სპორტის ენციკლოპედიის“ რედაქტორ-შემდგენელს, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს ელგუჯა ბერიშვილს სპეციალური პრიზი გადაეცა. სახელოვანი ვეტერანები – მედეა ჯუღელი, ვახტანგ ბალავაძე, გურამ მინაშვილი, ნოდარ ჯორჯიკია, ნონა გაფრინდაშვილი და შოთა ხაბარელი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორდენებით დააჯილდოვეს.

კიკბოქსინგი

## 7 ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობით

**თბილისის მძლეოსნობის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა ევრაზიის სამხრეთ ქვეყნების ჩემპიონატი კიკბოქსინგში. საასპარეზოდ საქართველოს, თურქეთის, ირანის, ავღანეთის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის 150-მდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი. კიკბოქსინგისა და უნივერსალური ორთაბრძოლების (წესების გარეშე) საქართველოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის – სოსო დოლიძის, გენერალური მდივნის – გოჩა ლომიძის ძალისხმევითა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარის ბერდია გუგავას დახმარებით შეჯიბრებამ მაღალ სპორტულ დონეზე ჩაიარა.**



დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ **ჭაბუკებში:** თორნიკე თედიაშვილი (გორიძ, მელსიკ ბაღდასარიანი (ერევანიძ, ალი ახმეტზადე (ირანიძ, ჯაბა მაისურაძე (თერჯოლაძ, გიგა ნოზაძე (ბორჯომიძ, **ახალგაზრდებში:** გია ტურაშვილი (გორიძ, ნაი ქამალი (ირანიძ, აკაკი ბერიძე (თერჯოლაძ, გიუნდუზ მელიქი (თურქეთიძ, ილჰამ ალიევი (ბაქოძ, ვლერი ბეგლარიშვილი (გორიძ, **უფროსებში:** ტახირ აბასოვი (ბაქოძ, მუჰამედ შარიფი (ავღანეთიძ, ელჩინ მუსაევი (მარნეულიძ, ლევან შაიშმელაშვილი (თბილისიძ, ალექსი დუიშვილი (ახმეტაძ, ომარ ახმედოვი (დაღესტანიძ, ვახტანგ ოქროპირიძე, რევაზ ქელდიშვილი, ალეკო ჭელიძე (სამივე - თბილისიძ, მამუკა კუშტანაშვილი (ახმეტაძ, **გოგონებში:** ერენ ელიფი (თურქეთიძ, ნატო ბერაძე (თბილისიძ და ციცო ჩაფიჩაძე (თერჯოლაძ.

– შედეგებით კმაყოფილი ვარ, – გვითხრა **სოსო დოლიძემ.** – ჩვენი სპორტსმენების ოსტატობა შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იზრდება და იხვეწება. მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენს შვიდ ათლეტს საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა. გაისად უფრო მნიშვნელოვანი ტურნირები გველის და ვეცდებით, იქაც გავახაროთ ქომაგები.

**გიორგი გაგუა**

ორბიტაზე

## ფეხბურთელი გაზზე გაცვალეს!

**რუმინეთის ქალაქ ლუპენის ფეხბურთის კლუბმა „მინერულმა“ ძალზე ორიგინალური ნაბიჯი გადადგა – მან თავისი მეკარე „მსხვერპლად შესწირა“ ქალაქს – ის გაზზე გაცვალა.**

მეკარე კრისტიან ბელგრედიანით დაინტერესდა ქალაქ პეტროშინის კლუბ „ჟიულის“ ხელმძღვანელობა და მისი შეძენა გადაწყვიტა.

კლუბ „მინერულმა“ უცნაური პირობა წამოაყენა – „ჟიულის“ უნდა უზრუნველეყო ლუპენის გაზიფიკაცია.

„ჩვენ ქალაქის გუნდი ვართ და ქალაქის ხაზინის ხარჯზე ვარსებობთ, ამიტომაც ტრანსფერით მიღებული მთელი



სახსრები ქალაქის ინტერესებს უნდა მოვახმაროთ“, – განაცხადა კლუბის საპატიო პრეზიდენტმა კორნელ რესმერიცამ.

ვარსკვლავები

## ცრუმორწმუნე მაშა

**სახელგანთქმული ჩოგბურთელი ქალიშვილი ერთობ ცრუმორწმუნე ყოფილა – როგორც თითქმის ყველა ცნობილი სპორტსმენი. აი, როგორი ხუთი მთავარი წესი დაუდგინა მაშა შარაპოვამ საკუთარ თავს.**

1. შეჯიბრებებამდე ზუსტად 1 კვირით ადრე შეწყვიტოს ყოველგვარი ყვითელი სამოსის ტარება.

2. კორტზე იქონიოს მონეტები, ქვედატანის კალთაში თავისივე ხელით ჩაკერებული, თანაც ყოველ ახალ ტურნირში – ახალი.

3. თამაშის წინ აუცილებლად გამოელაპარაკოს ვინმეს მშობლიურ, ესე იგი რუსულ ენაზე. ახლოს თუ მორუსულე არავინაა, სარკეს გაესაუბროს.

4. ასპარეზობების წინ ღამე უნდა გაატაროს... საკუთარ ჩოგანთან. პრესა ირწმუნება, რომ მაშას სპეციალური ბალიში აქვს „მეგობარი გოგონასათვის“. როგორღაც უხუმრია, რომ ჩოგანთან ერთად



ძილი ძალიან სასიამოვნოა: საბანს თავისკენ არ გადაიწევს, ღამე წყლის დასალევად არ ადგება და არ ხვრინავს. ღამეს თუ იმასთან ჩახვეული ვათევ, მეორე დღეს ყოველთვის ვიგებო, – ამბობს.

5. თამაშის დროს ტრიბუნაზე უთუოდ უნდა იმყოფებოდეს მამამისი – „ცოცხალი თილისმა“. მშობლის ამოცანაა პაექრობის დროს შიგადაშიგ წამოიყვიროს სანუკვარი ესპანური სიტყვა „ბუენო“...

ლაურეატობის კანდიდატი

## „ოქრო“ კი შინ ელოდებოდა

**თავისუფალ ჭიდაობაში შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა რევაზ მინდორაშვილმა წლეულს სპორტული სეზონი უილბლოდ დაიწყო – მოსკოვში ევროპის ჩემპიონატზე პირველივე შეხვედრა ადამ საიტიევთან წააგო. ალბათ, ეს ბედისწერაა: რევაზ მინდორაშვილი როცა 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ბუვაისა საიტიევი არ აძლევდა გასაქანს საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთელი ძმები, მოგეხსენებათ, ზომაზე მეტად ტიტულოვანი და ძლიერი ფალავნები არიან – მათი მონაგარი ბარე ორ ქვეყანას ეყოფა სატრაბახოდ.**

**ბუვაისამ სამჯერ სძლია რეზოს. ახლა ადამი გადაელობა კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე, თუმცა, ობიექტური მსაჯობის შემთხვევაში, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს ორთაბრძოლა.**

– პირველ პერიოდში არბიტრებმა ფანდი არ შემიფასეს, – მითხრა რევაზ მინდორაშვილმა, – უფრო მეტიც, მეტოქეს დაუწერეს მომგებიანი ქულა, რამაც წონასწორობა დამაკარგვინა და ის შეხვედრა დამათმობინა, რადგან დარჩენილ დროში ვერაფრით შევძელი მობილიზება.

რუსეთის დედაქალაქიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენმა მოჭიდავეებმა ბორჯომ-ბაკურიანს მიაშურეს საწვრთნელი შეკრებების გასამართავად. პირობები კარგი ჰქონდათ და მსოფლიო ჩემპიონატისთვისაც სათანადოდ მოემზადნენ.

– ჩინეთში შეჯიბრებამდე ათი დღით ადრე გავემგზავრეთ და დროულად მოვასწარით იქაურობასთან შეგუება, – ამბობს რეზო. – თუმცა, ჰავა და საკვები არ იყო მთლად სასურველი. კიდევ კარგი, რომ სასტუმროსთან ახლოს მაკდონალდსის მაღაზია აღმოვაჩინეთ და იქ ვიკვებებოდით.



**– გუანჩჟოუში გამართულ ორთაბრძოლებზე რას იტყვი?**

– პირველ შეხვედრაში გერმანიის სახელით მოასპარეზე დავით ბიჩინაშვილს ვძლიე, მერე აზიის 2006 წლის ჩემპიონი მონღოლი დავამარცხე. მესამე წრეში გასომხებული ვადიმ ლალიევი დამიპირისპირდა. სამი წლის წინათ მას ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მოვუგე იოლად. ამჯერად კი მედგარი წინააღმდეგობა გამიწია – პირველ პერიოდში ქულა ამართვა და დაწინაურდა, მაგრამ მომდევნო ორი რაუნდი ჩემს სასარგებლოდ დავამთავრე.

ფინალში მეტოქედ მყავდა რუსეთელი საჯიდ საჯადოვი, რომელიც შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში დავჯაბნე. გადამწყვეტი ორთაბრძოლა მასთან ნამდვილად არ გამიჭირდებოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ წინასწარი შეხვედრების დამთავრებიდან ფინალამდე რამდენიმე საათი დავისვენეთ. ამან უარყოფითად იმოქმედა ჩემზე, რადგან, მოგეხსენებათ, კარგა ხანია, ნეკნი და კისრის მალები მაწუხებს და ვმკურნალობ. გახურებული რომ ვიყავი, ტკივილებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ოლიმპიური გუნდის ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა ყველაფერი იღონა, ფინალის წინ ტკივილი გაეყუჩებინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ფაქტობრივად, უბრძოლველად დავთმე ის შეხვედრა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ უხასიათოდ ვგრძნობდი თავს, თუმცა ვერცხლის მედალი სულაც არარის ურიგო. გულის გადასაყოლებლად ცოტა გავისეირნე, მერე შინ დავრეკე. მეუღლეს შევჩივლე, „ოქრო“ კი მინდოდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა-მეთქი. თამილას გაეცინა – არა უშავს, შენი ოქრო შინ გელოდებაო, მითხრა ხუთი წლის შვილზე. მაშინვე დაძაბულობა მომეხსნა, თითქოს ტკივილმაც გამიარა. იმ წუთიდან ერთი სული მქონდა, როდის დავბრუნდებოდი თბილისში და როდის ჩავიკრავდი გულში პატარას. მართალია, გუანჩჟოუში მას პირობა ვერ შევუსრულე, მაგრამ 2007 წელს ვეცდები დანაკარგი ორმაგად ავანაზღაურო.

რევაზ მინდორაშვილს ქადილის უნარიც შესწევს და მისი შესრულებისაც. იგი ხომ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების სამივე სინჯის მედლის მფლობელია.

**ვაჟა დანელია**

## ვიქტორიას რა აქვს დასაწუნი?

**საწყალი ვიქტორია ბექჰემი – სულ ცოტა ხნის წინათ მასზე ულამაზესად არავინ მიაჩნდათ, მაგრამ ამ ბოლო ხანებში მასობრივი შეტევა დაიწყო სახელგანთქმული ფეხბურთელის არანაკლებ სახელოვანი მეუღლის წინააღმდეგ განსაკუთრებით ის ქალები აქტიურობენ, ვინც დევიდთან ურთიერთობაზე ოცნებობდა.**

ახლა ზოგს მისი ფეხები არ მოსწონს, ზოგს მისი მკერდი ეპატარავება, ზოგსაც, ვინ იცის, კიდევ რა.

ვიქტორიას წინააღმდეგ ლაშქრობაში ახლა ნენსი დელოლიოც სვენ-ერნ ერიქსონის ყოფილი სატრფოც – ჩაება. ის აცხადებს, რომ ვიქტორია ძალზე გახდა, რაც თითქოს მან ჯერ კიდევ ამასწინანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე შეამჩნია. ალბათ ამ „ყოფილ“ ლამაზმანზე მისი ქმრის გარშემო აგორებული ამბებით გამოწვეული სტრესები მოქმედებსო.



№ 255. შაბათი, 23 ნოემბერი, 2006 წელი.

● მარჯანიშვილის ძველ თეატრში ზაფხულის ღამის დაუსრულებელი მრავალფეროვნება გათამაშდა...



◎ თეატრალური პრემიერა

# თუ პოეტი ხარ, ზმანებიდან ცხადად მოსული...

## შექსპირი: „ზაფხულის ღამის სიზმარი“...

**„თუ პოეტი ხარ, ზმანებიდან ცხადად მოსული, ცხელი ზაფხულის სიზმარი გემახსოვრება... ზღაპარიც კი სინამდვილედ მოგევლინება...“** – ასე იწყება სცენაზე კომედიური ზღაპარი დრამატული მოტივებით და დეკორაციულ-ფანტასტიკური მიგნებებით... მისტერიული წარმოდგენა პოეტურ ოპუსს ჩამოჰგავს, სადაც რეჟისორული თხრობა ლეგენდარულ-ისტორიული სიუჟეტებიდან რეალურ პერიპეტიებში თამაშდება. შექსპირისეული მხიარული განწყობილების უკან ადვილად თავსდება სოციალური მნიშვნელობის პრობლემატიკა, რომელიც ჩვენს დროებას აქტუალურად ეხმაურება. თეატრალურ ვერსიაში **ლევან წულაძის** რეჟისორული გააზრება არ ითვალისწინებს დრამატურგიის პედანტურ კანონებს, ახორციელებს თავისუფალი კომპოზიციის პრინციპს და ანვითარებს მოქმედებას მისეული გადაწყვეტით ისე, რომ აქ არ ირღვევა შექსპირის რეალიზმი.

„ეს რა ქალაქია?“ – ისმის შეკითხვა, მაგრამ პასუხის ნაცვლად სპექტაკლში ჟღერს **ვახტანგ კახიძის** მუსიკა... ეთნორიტმიკითა და ეთნოინტონაციით შეფერილი მუსიკა. ეს არ არის შემთხვევითი, რადგანაც ქართული მუსიკა სიმბოლური მინიშნებაა იმისა, რომ შექსპირის სიუჟეტი რეჟისორმა საქართველოში გადმოიტანა.

სცენაზე ყოველი პერსონაჟის მხატვრული სახე, თუნდაც მეტყველება ინდივიდუალიზებულია მისი ხასიათისა და სოციალური მდგომარეობის შესაბამისად. გმირების სულიერ განცდათა თანმიმდევრულ ანალიზსა და მათი მოქმედების ფსიქოლოგიურ მოტივირებაში რეჟისორი ზუსტია. ასევე ზუსტი, კონკრეტული და სახალისოა მის მიერ შერჩეული და თანამედროვე სლენგთან ადაპტირებული ის სიტყვები, რომელსაც ვისმენთ პერსონაჟების განცდისა თუ შთაბეჭდილების გამოსახატად. ეს პირობითი გმირები ნატვრასა და ოცნებაში არიან, ელიან სასწაულს, რაც უნდა მოხდეს და რამაც უნდა განსაზღვროს ზღაპრის ფინალი – ზაფხულის ღამის სიზმარი. ზღაპრის ბოლო ხომ ყოველთვის კეთილია?! და მაინც, ამ სპექტაკლის ძირითადი ბირთვი საინტერესო აქტიორული სახეებია: **დავით დვალიშვილი** (თეზევსიძ, **ვალერი კორშია** (ეგეიძ, **ირაკლი ჩოლოყაშვილი** (ლისანდრეძ, **ლეო ანთაძე** (კომშაძ, **ზაზა იაკაშვილი** (კოჭაძ, **მანანა კაზაკოვა** (კოხტაპუწაძ, **ზურაბ ბერიკაშვილი** (სტვირაძ, **ნიკა თავაძე** (ობერონიძ, **ონისე ონიანი** (პაკიძ, **ეკა ნიჟარაძე** (ტიტანიაძ...





შექსპირის ჯადოსნურ სამყაროში მითოლოგიური ეპოსი და ხალხურობა ადამიანთა ურთიერთობის ხელოვნების ჩვენებას უკავშირდება, რაც მეტაფორების სიუხვით შეიგრძნობა... სცენაზე ადაპტირებული კომედია სამმაგ პლანში ვითარდება: ღმერთების ფანტასტიკურ ქვეყანაში, სადაც ანტიკური ღვთაებები დედამიწაზე ერთი მიძინებული ქალაქის გაღვიძებაზე ზრუნავენ; აზნაურთა წრეში, სადაც წრფელი სიყვარულის მისტერიაში ხან უბედურების „მყრალი“ ხელი მაინც გაერევა და მოყვარულ მსახიობებთა დასში, სადაც „რეჟისორები როლების განაწილების წინ ლოცულობენ“...

სპექტაკლის კომპოზიციურ მთლიანობაში კომიკური პასაჟები ბუნებრივად არის განლაგებული... უფრო მეტიც, იუმორთან შეზავებული სატირული ელემენტები ეფექტურად მიესადაგება რეჟისორული გადაწყვეტის კონცეფციას და მსახიობთა იმპროვიზაციის ხელოვნებას. 2-მოქმედებიანი კომედიური სურათი დატვირთულია მიზანსცენებით. წარმოდგენის დინამიკა ისეთი სახალისო ტემპით მიმდინარეობს, რომ... აქ ყველაფერი გათვლილია ემოციებზე, სპეცეფექტებზე და... მხატვრულ ესთეტიკაზე. აქ რეჟისორი (**ლევან წულაძე**ძ და მხატვარი (**ანა კალატოზიშვილი**ძ მაქსიმალურად იყენებენ სცენურ სივრცეს, სადაც სიმბოლურად გააზრებული მიზანსცენები საოცრად ლამაზი პალიტრით არის გადაწყვეტილი. სპექტაკლის საერთო განწყობილების თანაზიარი შტრიხია **გია მარღანიას** ქორეოგრაფიული მონახაზები და მასთან ჰარმონიულად გასაუბრებული **ზურაბ გაგლოშვილის** მიერ შერჩეული მუსიკალური ფონი – **ჯაკომი პუჩინის, ვახტანგ და ჯანსუღ კახიძეების** მუსიკა.

იცვლება დრო და... იცვლება გემოვნება.

იყო დრო, როცა „ზაფხულის ღამის სიზმარი“ დაიწერა... დაიწერა 1595 წელს, და მას შემდეგ ამ პიესის თეატრალური სიცოცხლე შედგა.

საოცარია, მაგრამ შექსპირისდროინდელი მაყურებელი პიესის ავტორისაგან არ მოითხოვდა თემისა და სიუჟეტის სრულ ორიგინალობას, რადგან ეს იყო უძველესი სიუჟეტების აღმოჩენის ეპოქა. თუმცა ისიც ცნობილია, რომ ინგლისელი დრამატურგი თამამად იღებდა სცენურ სიტუაციებს ან მთელ დიალოგებს ანტიკური და თავისი წინამორბედი დრამატურგების ნაწარმოებებიდან...

და ბოლოს, მარჯანიშვილის ძველ თეატრში ზაფხულის ღამის დაუსრულებელი მრავალფეროვნება გათამაშდა...

**მზეხა მახარაძე**

**სურათზე: სცენები სპექტაკლიდან „ზაფხულის ღამის სიზმარი“.**

№ 255. შაბათი, 23 დეკემბერი, 2006 წელი.

◎ პირველი პერსონალური

# საჩეჩელიდან – დღესასწაულამდე

**ჯერ კიდევ პატარა, ასე შვიდი-რვა წლის ბავშვი იყო ნინო კუსრაშვილი, როცა ბებომ საჩეჩელა აჩუქა, იქნებ მატყლის ჩეჩვა ისწავლოო. უჭირდა ნინოს, თითებიდან ლამის სისხლი სდიოდა, მაგრამ ისეთი ინტერესითა და შეუპოვრობით ჩეჩავდა, რომ სულ მალე შეეჩვია ამ პროცესს. ასე „დაუმეგობრდა“ მატყლს. მოგვიანებით მისი დამუშავებაც ისწავლა, მეტადრე თანამედროვე თექამ გაიტაცა, მისი ტექნოლოგია აითვისა და მერე ისე დაოსტატდა, რომ ამ ტექნიკით სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთების შექმნაც დაიწყო.**



დღეს 24 წლის ნინო კუსრაშვილი თექისაგან შექმნილი მრავალი ექსპონატის ავტორია. იგი სპეციალობით ჟურნალისტია, თექა მისი გატაცებაა. შარშან თბილისში სააღდგომო გამოფენას სხვებთან ერთად მისი ნაირფერი და ულამაზესი თექის კვერცხებიც ამშვენებდა. მისმა ნახელავებმა ბევრ ოჯახშიც დაიდო ბინა. მერე 2005-06 წლების ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის ერთ-ერთი ლაურეატი გახდა თექაში. და, აი, დადგა ნინოს ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როცა ხელგაწაფულს უამრავი ნამუშევარი დაუგროვდა და სპეციალისტებმაც ურჩიეს ისინი საკუთარი სამყაროდან ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოეტანა. პირველ პერსონალურ გამოფენას ახლახან რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის ექსპერიმენტული დარბაზი დაეთმო. და რაკი ახალი წელი და შობა ახლოვდება, ნინომ თავისი ნამუშევრებიდან უპირატესობა სადღესასწაულო ნიღბებს მიანიჭა და ასამდე თექის ხელნაკეთი ნიღაბი გამოფინა.

სხვადასხვა დიზაინის, ფერისა და ორნამენტის ნიღაბი ავტორმა რამდენიმე თვის წინათ შექმნა. ნიღბების გარდა აქ იხილავთ თექის ტექნიკით დამზადებულ შირმებს, მარაოებს, ქოლგებს, დეკორატიულ ბალიშებსა და საახალწლო აქსესუარებს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია მხოლოდ ნატურალური მასალისგან შექმნილი ექსპონატები. ნიღბები თეატრალური ხასიათისაა, თუმცაღა საახალწლო წვეულებაზე ორიგინალურ აქსესუარადაც გამოიყენება.

**– სადღესასწაულო განწყობისთვის ნიღბები მქივებით მოვკაზმე და მოვქარგე. მათში ჩემი საყვარელი ფერები ჭარბობს. ეს არის ჩემი განწყობა და მინდა ამ გალიმებულმა ნიღბებმა სხვებიც გაახალისოს და განაწყოს სადღესასწაულოდ,** – ამბობს ნინო.

მართლაც, გამოფენა კარგ ზეგავლენას ახდენს. თვალში გხვდებათ თბილი და რბილი ტონები. ძირითადი ფერებით – თეთრი, შავი, ნაცრისფერი, მოყვითალო, მოყავისფრო, ღვინისფერი ტონებით მეტად ლამაზი ფერწერული ეფექტები იქმნება.

გამოფენამ ნინო კუსრაშვილი წარმოაჩინა, როგორც თავისთავადი ხელწერის მქონე ხელოვანი. იგი ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვრის დიდი ძალისხმევის, გემოვნებისა და სახვითი კულტურის დასტურია.

ნინოს მარჯვენა დაულოცეს და პირველი პერსონალური გამოფენის გახსნა მიულოცეს მსახიობმა ჯემალ მონიავამ, მხატვარმა ცისანა მარინდაშვილმა, ფოლკლორისტმა გიორგი უშიკიშვილმა, პოეტმა ეთერ თათარაიძემ.



ხვალიდან გამოფენა გადაინაცვლებს სამეფო უბნის თეატრში, სადაც ორი კვირის მანძილზე საზოგადოებრიობას შეუძლია არა მარტო იხილოს ეს ნამუშევრები, არამედ შეიძინოს კიდეც. იჩქარეთ, ეს ნახელავები უთუოდ შეგიქმნით საშობაო და საახალწლო განწყობილებას.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**ავტორის ფოტო.**

◎ ინფორმაცია

### სტაჟირების მსურველებთან გასაუბრება მიმდინარეობს

**იუსტიციის სამინისტროში სტაჟირების მსურველებთან გასაუბრება მიმდინარეობს.**

**როგორც იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, გუშინ დაიწყო სტაჟიორთა მისაღები კონკურსის მეორე ეტაპი – გასაუბრება, რომელშიც ტესტირებაში წარმატებული 182 კანდიდატი მონაწილეობს.**

### მერაბ ამისულაშვილისა და დავით ასათიანის საქმეები გაერთიანდა

**თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გუშინ ლევან კალაძის გატაცების საქმეზე დაკავებული მერაბ ამისულაშვილისა და დავით ასათიანის საქმეები გაერთიანდა.**

**გუშინ სასამართლოში მერაბ ამისულაშვილის საქმის განხილვა დაიწყო.**

**ბრალდების მხარემ, საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა გელა შარიქიძემ სასამართლო პროცესზე შუამდგომლობა დააყენა. იგი დავით ასათიანისა და მერაბ ამისულაშვილის საქმის ერთ წარმოებად გაერთიანება მოითხოვა.**

**ამ მოთხოვნას დაცვის მხარეც დაეთანხმა და მოსამართლემ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.**

**ინტერპრესნიუსი**

● *თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*



№ 255. შაბათი, 23 დეკემბერი, 2006 წელი.

**სანთელი**

# სიყვარულიდან უკვდავებამდე

## ეთერ რუხაძის ხსოვნას



ბევრი რამ არის მოსაგონარი **ეთერ რუხაძის** ცხოვრებიდან. თუნდაც ის, რომ მან ნაადრევ ასაკში ოქროს მედალზე დაამთავრა იანეთის საშუალო სკოლა. მერე „წარჩინებით“ (ხუთებზეძ გაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი. აქვე, ამავე ფაკულტეტის კათედრაზე მთელი სამოცი წელი განუწყვეტლივ იმუშავა პედაგოგად. მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია, გამოსცა სამეცნიერო შრომები. და, რაც მთავარია, საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვა ასობით სტუდენტი.

მას ეთაყვანებოდნენ, პატივს სცემდნენ, ყველა ნატრობდა მასთან სიახლოვეს, იყო უსაშველოდ კეთილი, სანდომიანი, თავმდაბალი, სპეტაკი სულის მქონე და განსაკუთრებით გამოირჩეოდა ღვთით მინიჭებული ნიჭით.

ეთერ რუხაძემ მძიმე შრომით მოიპოვა სტუდენტების, კოლეგების, კათედრის თანამშრომლების პატივისცემა და სიყვარული. კარგი ავტორიტეტით ხასიათდებოდა აგრეთვე ინსტიტუტის რექტორატშიც. ამის დასტურია მათგან მიღებული უამრავი ჯილდო და მადლობები.

საიდან, ვისგან შეისისხლხორცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ ეს ფასდაუდებელი თვისებები? რა თქმა უნდა, ოჯახისგან, რომლის თავკაცი ერთი ალალი, ბალღივით გულჩვილი და სიცოცხლის ტრფიალი მოსე რუხაძე იყო, დედა კი ჯიგთუბნელი ეთერ გოგიშვილი, ოჯახის მანათობელი შუქურაც და ქმრის კაცობის გვირგვინიც.

დიდ მეორე მსოფლიო ომში მათი ორივე ვაჟკაცი ამ ომის ბრძოლებმა შეიწირა და მთელი მშობლიური სიყვარული ერთადერთ ქალიშვილზე გადაიტანეს, რომლის გულში სწორედ ამ წმინდა ცრემლებმაც აღზარდეს ადამიანობის მარადუჭკნობი ყვავილი. ეთერ რუხაძისთვის ხელი არ შეუშლია არც პედაგოგიურ და არც საზოგადოებრივ საქმიანობას, მეუღლეც ყოფილიყო, დედაც, ბებიაც და ხელმადლიანი დიასახლისიც.

ასე იარა გამოცანებით სავსე ამ ცხოვრების გზაზე ეთერ რუხაძემ. სიკეთემ მის ოჯახს უშურველად დააბერტყა თავისი მადლიანი კალთა. გარს ეხვია და თავზე ევლებოდნენ ქალიშვილი რუსუდან გეგეშიძე, სიძე – უძვირფასესი ადამიანი გურამ მოქია, ვაჟიშვილები – ვალერი და ოთარი, შვილთაშვილობილი ვლადიმერ ტაბიძე, შვილიშვილები ანი, სალომე, ლიკა, რუსუდანი, მამუკა, კახა, ნუკრი, ალეკო და ხუთი შვილთაშვილი, ბიძაშვილი ნანა გეგეშიძე, რძლები ნინო და მარინა.

დიახ, ეს სოფელი მართლაც არ ახარებს ხანგრძლივად არავის. არც შენ გაგახარა. წლებმა მძლავრი ენერგია და შემართება წაგართვა... არ დაგინდო. ნოემბერში მოვლენილმა ნოემბერშივე დალიე სული... სათაყვანებელი ქალიშვილის – რუსუდანის მკლავებში.

ოჯახის ამ ტრაგედიის მეორე დღესვე შენზე უზომოდ შეყვარებულმა შვილიშვილებმა – ანიმ, სალომემ, მათთან ერთად გიორგიმ, პატარა შვილთაშვილმა ნინკამ უსწრაფესად დატოვეს შორეული უცხოეთი და ცხარე ცრემლებით გაგაცილეს სამუდამო განსასვენებლისკენ მიმავალ გზაზე, უტკბილესი ბებო.

ეს გზა მარადიული სიყვარულის გზაა. სიყვარული კი არ კვდება და არც ფერმკრთალდება.

მალე ორმოცი დღე სრულდება მას შემდეგ, რაც შენ საიქიოში წახვედი. ჩვენ კი საქაოში დარჩენილებს, სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულმა, სიტყვით გამოუთქმელი სევდა დაგვიტოვე.

იძინე მშვიდად, ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს ზეციურ საქართველოში, მჯერა სულის უკვდავება, ჩემო ძვირფასო ეთერო.

**ბიძინა გეგეშიძე**

მეუღლე ეკატერინე სამნაშვილი, შვილები მარინე, ქეთევანი, ციალა, სიძეები კონსტანტინე გურგენიძე, ივანე ხიზანიშვილი, შვილიშვილები ნინო, კახაბერ ხიზანიშვილები, მარიამ, ეკატერინე გურგენიძეები, შვილთაშვილი ქეთევან ხიზანიშვილი, და ლიანა ხატიაშვილი, სიძე შალვა თევდორაშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გაიოზ ივანეს ძე ხატიაშვილი

პანაშვიდი: 24-25 XII, 16 სთ. გამოსვენება 26 XII, 11 სთ. მისამართი: ალადაშვილის ქუჩის შესახვევი №19 (სამების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მისასვლელი მარტყოფის ქუჩიდანძ. დაკრძალვა სოფელ ხაშმში.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის “ თანამშრომლები თანაუგრძნობენ მეგობარსა და კოლეგას, რედაქციის სახელმწიფო მშენებლობის რედაქციის რედაქტორს კონსტანტინე გურგენიძეს სიმამრის

გაიოზ ხატიაშვილის გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს მარინე ჯიქიძეს მამის

გიორგი ჯიქიძის გარდაცვალების გამო.

---

გარდაიცვალა დიდი ხელოვანი, მხატვარი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

თენგიზ ჯაფარიძე.

ნიუ-იორკი, ბუდაპეშტი, პრაღა, გერმანია, კანადა, საფრანგეთი, მსოფლიო ბიენალე... ყველგან უდიდეს წარმატებას იმსახურებდა გამორჩეული ხელწერითა და ორიგინალობით. გობელინი – ჩემი სამშობლო – ასე სწამდა და ააღორძინა კიდეც ქართული ეროვნული, უძველესი ტრადიცია ულამაზესი ფერებით, საკუთარი ხელნაწერითა და მრავალფეროვნებით. მისი დახვეწილი გემოვნება ჩანდა ყოველ დეტალში – თექაში, გობელენში, პორტრეტებში.

იყო პედაგოგი და აღმზრდელი. უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო, ილვწოდა, შრომობდა. უფაქიზესი ფერებით გამოხატავდა თავის გრძნობებს და მისეული, სრულიად ახლებური ხედვა დაამკვიდრა თექისა და გობელენის შესრულების ტექნიკაში.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება საუკეთესო პიროვნებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

---

**◎ ვალი დედმამიშვილობისა**

# შენ ხომ თბილისი გიყვარდა...

**უმცროსი ძმა დღეს 74 წლისაა – გეოლოგი, ღვაწლმოსილი კაცი...**

**უფროსი ძმა მხოლოდ 18 წლისა მოიყარა... 18 წლისა დარჩა სამუდამოდ ქერჩის მიდამოებში 1942 წელს...**

ვიდრე მტრის ტყვია დაეწეოდა, სამკუთხა ბარათებით უთვლიდა მოკითხვას უფროსი ძმა უმცროსს, არიგებდა, მშობლებს და დას დაუჯერეო, წერდა...

სათუთად შეუნახავს ნიკოლოზ ლაბარტყავას ყირიმის ფრონტიდან გამოგზავნილი უფროსი ძმის ბარათები, დღეს უკვე გაყვითლებული, გაცრეცილი...

„ლექსებიც არის მანდ, სხვათა შორის, ლექსებს წერდა ბორისი, ნახალოვკაში, 107-ე სკოლაში ნიჭიერ მოსწავლედ ითვლებოდა“ – ხაფი, თუმცა ნაღვლიანი ხმა აქვს ნიკოლოზ ლაბარტყავას, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიყვება მეოცე საუკუნის უსაშინლესი ომიდან შინმოუსვლელი უფროსი ძმის შესახებ.

„იმ ზაფხულს დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა ფილოსოფიურზე... მეზობლებმა რამდენჯერმე გაგვაგონეს, რას დადის ზევით-ქვევით, მაგის ტოლები ჯარში წავიდნენო... ისედაც რა გააჩერებდა შინ, დედას უთხრა, უნდა წავიდეო და წავიდა კიდეც... სოხუმში ამზადებდნენ მის სამხედრო ნაწილს, წერილებში ხშირად გვწერდა ამ მეცადინეობების შესახებ... ვიღას არ უგზავნიდა მოკითხვას, ვიღას არ ესიყვარულებოდა ქარ-ცეცხლში შესვლის წინ... გულთბილი ბიჭი იყო, ალალ-მართალი. სხვათა შორის, ორჯერ ვინახულე სოხუმში და მორჩა... აბა, ყირიმის ბრძოლებში რა გადაარჩენდა, მთელი საქართველო იქ ჩაწვა... დედ-მამას დაუმალეს ბორისის დაღუპვის ამბავი... მე და ჩემ დას გაგვიმხილეს, კომისარიატში გვითხრეს, თუ გნებავთ, ცნობას მოგცემთ, რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგაო. კარგა ხანს ეს ყალბი ცნობა ასულდგმულებდა საწყლებს... ტანმა უაზრა თუ რა იყო, მამაჩემმა მაინც ვერ მოისვენა. თავის დროზე დიდი თანამდებობა ეკავა. ქვეყნის ნაცნობი ჰყავდა. მიდგა-მოდგა და მაინც დაადგინა საშინელი სინამდვილე... აი, ნახეთ, ამონაჭერი გაზეთ „ნორჩი ლენინელიდან“. საახალწლოდ დაუბეჭდეს ლექსი, მეცხრე კლასში იყო მაშინ...

გაზეთის გაყვითლებულ ამონაჭერზე ვკითხულობ:

***ახალი წლის ღამე***

**ბადრი მთვარე ამოსულა**
**ცის ლაჟვარდზე, მთების იქით,**
**არემარე შეიმოსა**
**მოფარფატე თეთრი ფიფქით**
**ღამეა და ყველას ღვიძავს,**
**უხარია დიდად გივის,**
**მას ესტუმრნენ მეგობრები –**
**სიხარულით ხაროზს, ღვივის.**



ბორის ლაბარტყავა

**მოცქირალე მეგობრები**
**შემოერტყნენ შემკობილ ხეს,**
**ალტაცებით შეჰხარიან,**
**რომ ნაძვის ხეც**
**მათთან ილხენს.**
**პაწიებმა სიხარულით**
**სიმღერები უკვდავ ძალის**
**დაჰღიღინეს: „გაუმარჯოს**
**ჩვენს დიდ ბელადს**
**ძია სტალინს!“**

*ბორის ლაბარტყავა, 107-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე. 1938 წ.*

ამ მეგობრებიდან ზოგი, რამდენიმე წლის შემდეგ, „სტალინის საქმეს“ შეეწირება. მათ შორის ბორის ლაბარტყავაც – იქნებ, მომავალი პოეტი, სიკეთისთვის, სიყვარულისთვის გულანთებული. იმპერიების ჯახში პაწია საქართველოს ერთი ჭაბუკური სიცოცხლეც გაიჭყლიტება. ვაი, ჩვენო ქართვლის ბედო!

**ვილენ მარდალეიშვილი**

---

**◎ ზამთარი**

## საავტომობილო გზებზე შეზღუდვებია

**დიდთოვლობის გამო ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 106-184 კმ-ში, მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა კი დასაშვებია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.**

იგივე მდგომარეობაა ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 45-60 კმ-ში.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის 91-108 კმ-ებზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა კი დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 105-125 კმ-ში (გოდერძის უღელტეხილი – ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

**ინტერპრესნიუსი**

---

**შპს „ძალისი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფ. ძალისი.**
ტელ. 893 73-11-10, 899 46-05-43.

● ავთანდილ მიქაბერიძის საჩუქრები — ათენის ქართულ ინსტიტუტში მომზადებული წიგნი „ქართველ წმინდანთა ცხოვრება“ და ანსამბლების „რუსთავისა“ და „ნეკრესის“ კომპაქტდისკები კეთილი სახსოვარია თითოეული სტუმრისთვის


ჯერი ჰოლი

№ 255. შაბათი, 23 დეკემბერი, 2006 წელი.

◎ ინფორმაცია



# ღიმილით მოგვრილი სიხარული

**ამ დღეებში საბერძნეთში მცხოვრებ ქართველებს დიდი სიხარული აჩუქა შემოქმედებითმა ჯგუფმა „ღიმილი მინდა“. ჯგუფის ხელმძღვანელის მანანა ხვიჩიას იდეამ, კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები — სესილია თაყაიშვილი, ეროსი მანჯგალაძე და იპოლიტე ხვიჩია, ათენსა და სალონიკში შეისხა ხორცი და, თუკი მაყურებელთა თბილ განწყობასაც გავითვალისწინებთ, შეიძლება თქმა, რომ ამ პროექტს დიდი მომავალი აქვს.**

ცნობილი ტელედიქტორი ლია მიქაძე, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები გიზო კაკაურიძე და მარიკა სამანიშვილი, კომპოზიტორი და მომღერალი ნუგზარ ერგემლიძე იხსენებდნენ ცნობილ კორიფეებთან ურთიერთობის ცალკეულ ეპიზოდებს, რასაც დარბაზში სიცილ-ხარხარი მოჰყვა. საპროექციო ეკრანზე მათი საყვარელი ფილმებიდან ფრაგმენტების ჩვენებისას მაყურებელი ხანგრძლივი ტაშით ხვდებოდა მონატრებული სახეების გამოჩენას.



მრავალპლანიან კონცერტს განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა ქუთაისის საბავშვო მუსიკალური თეატრის ნორჩი მომღერლების პოპური, რომელიც ცნობილი კინოფილმების მიხედვით თეატრის ხელმძღვანელმა მარინა ტყაბლაძემ მოამზადა. ოვაციები არ დაჰკლებია ნუგზარ ერგემლიძის და ანრი ჯოხაძის გამოსვლებს და სწორედ ამიტომაც, ემიგრანტი ქართველები მათ კვლავაც ელიან საბერძნეთში.

თესალონიკის ქართველთა სათვისტომო „საქართველოს“ და მისი თავმჯდომარის ელგუჯა მინაძის თანადგომამ განაპირობა, რომ სტავროპულოს მერიის თეატრის დარბაზი სრულ მზადყოფნაში დახვდა შემოქმედებით ჯგუფს. ასევე დიდი მადლიერებით უნდა აღინიშნოს ათენის ქართული ინსტიტუტი და მისი დირექტორი, ცნობილი მეცნიერი ავთანდილ მიქაბერიძე, რომელმაც შესანიშნავი ორგანიზატორობა გასწია და მუდმივ მზრუნველობას უწევდა თანამემამულეთა გასახარად ჩასულ ხელოვანთ. სწორედ მისმა და ბერძნულ-ქართულმა ასოციაცია „დიოსკურიას“ თანადგომამ უზრუნველყო ათენის პრესტიჟულ თეატრში „ვემბო“ ღონისძიების წარმატებით გამართვა. ბატონი ავთანდილ მიქაბერიძის საჩუქრები — ათენის ქართულ ინსტიტუტში მომზადებული წიგნი „ქართველ წმინდანთა ცხოვრება“ და ანსამბლების „რუსთავისა“ და „ნეკრესის“ კომპაქტდისკები კეთილი სახსოვარია თითოეული სტუმრისთვის.

შემოქმედებითი ჯგუფი „ღიმილი მინდა“ და ჟურნალისტური კვლევების საერთაშორისო ანალიტიკური ცენტრი „თემა“ (რომელიც ექსკლუზიურ კვლევებს აწარმოებს სხვადასხვა მიმართულებით, ამ შემთხვევაში კი ქართული ემიგრაციის პრობლემებზე მუშაობსძ კიდევ ერთხელ მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც მხარში ამოუდგა ღონისძიების ორგანიზატორებს. ასევე საქართველოში საბერძნეთის რესპუბლიკის საელჩოს საკონსულო განყოფილებას და საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საკონსულოს.

ღიმილიანი ღონისძიებები კი გრძელდება, — უახლოეს მომავალში იგეგმება კონცერტების გამართვა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ქალაქებში და ღიმილით მოგვრილ სიხარულს იქაური ქართველებიც ეზიარებიან.

**რუსუდან იმედაშვილი**

**სურათებზე: სალონიკი — სტავროპულოს თეატრის სცენაზე; მანანა ხვიჩია და ავთანდილ მიქაბერიძე.**

◎ მოდა

# სუპერმოდელები პროტესტს გამოთქვამენ

**თითქმის ყველა ინტერვიუში სუპერმოდელები უინტერესო რესპონდენტებად გვევლინებიან. ჟურნალისტები მათთან ურთიერთობისას ასკვნიან, რომ ამ ლამაზმანების ინტელექტი ნულს უტოლდება. საპასუხოდ სუპერმოდელებმა პროტესტი გამოთქვეს. ამიტომაც, ამ ცოტა ხნის წინათ, ერთ-ერთმა მათმა მხარდამჭერმა ჟურნალისტმა სპეციალური ფრაზების ლექსიკონი შექმნა, რომელშიც მანეკენების ჭკვიანური გამონათქვამები არის თავმოყრილი. მათ შორისაა: ლინდა ევანჯელისტა — არავინ იბადება ღვთიური ნიჭით; ჯერი ჰოლი — მამაკაცების შენარჩუნება ძალიან იოლია, ამისათვის სამზარეულოში უნდა იყო მზარეული, სასტუმრო ოთახში — მოსამსახურე, ხოლო საწოლში — მეძავი... თუმცა, ამ გამონათქვამმა მალევე დაკარგა რეალური მნიშვნელობა — ამ ლამაზმანმა ხომ ვერ შეძლო მიკ ჯაგერის შენარჩუნება.**

***ვალენტინო შერონ სტოუნს გაუნაწყენდა***

ბოლო დროს კინოვარსკვლავებს დიზაინერები გაუნაწყენდნენ. კორტნი ლავს მოდელიერი დონატელა ვერსაჩე დაუპირისპირდა, ხოლო შერონ სტოუნმა, როგორც იტალიური პრესა იუწყება, ვალენტინო გააღიზიანა. შერონი თავის დიზაინერს ხშირად აკითხავს, ამ ვიზიტებს კი პომპეზურად, ლიმუზინით, დაცვასთან და სხვა თანხმლებ პირებთან ერთად აწყობს. დიზაინერი აცხადებს, რომ მას მოკრძალებული ქალი ხიბლავს და კლიენტებსაც ამ კრიტერიუმით ირჩევს. ვალენტინო მომხმარებელთა შორის, ყველაზე სადად, ქალურად და მოკრძალებულად მერილ სტრიპს მიიჩნევს. ამიტომაც ჰოლივუდის ეს ვარსკვლავი, შერონ სტოუნისგან განსხვავებით, მისთვის ყოველთვის სასურველი და საყვარელი კლიენტია.

***ანტიდეპრესიული საცვლები***

ესპანურმა ფირმამ „ინტიმ ჩერი“ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს არაჩვეულებრივი მოდელები შესთავაზა — სამსჯავროზე ულტრაეროტიკული და ანტისტრესული ტრუსები, ბიუსჰალტერები და კორსეტები გამოიტანა.


შერონ სტოუნი


ლინდა ევანჯელისტა

პარიზის სტრესის ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ ქალების 43 პროცენტი მსუბუქი ნევროზით არის დაავადებული. ეს მაჩვენებელი, ალბათ, ესპანეთშიც ანალოგიური აღმოჩნდა, თუმცა, ესპანელებმა ფრანგებისგან განსხვავებით გადაწყვიტეს შეექმნათ მასთან მებრძოლი მოდური ტრიკოტაჟი. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, ქალურ დეპრესიას ხელს უწყობს ელექტრული ველიც — კომპიუტერები, ფაქსები, ქსეროქსები და ა.შ. ფირმა „ინტიმ ჩერის“ ახალ პროდუქციას, ნეგა-სტატი ეწოდება და ხელს უშლის მავნე ველის ორგანიზმში შეღწევას. ამასთანავე, მათი ნაწარმი მხოლოდ თეთრი ფერისაა, ამ ფერის საცვლები კი, თურმე, სტრესის წინააღმდეგ საბრძოლველად, ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. ეს განცხადება სკეპტიკოსებისთვის, ბუნებრივია, სადავო აღმოჩნდა და მათ ფირმის ხელმძღვანელობა აფიორაში დაადანაშაულეს.

**ლელა დონაძე**

◎ ინფორმაცია

## გამომძიებელი დააკავეს

**შსს გენერალურმა ინსპექციამ ქრთამის აღების ფაქტზე მარნეულის პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი მამუკა ალავიძე დააკავა.**

როგორც შსს პრესსამსახურში განაცხადეს, ალავიძემ, განსასჯელისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში დახმარების სანაცვლოდ, მოქალაქეს ქრთამის სახით 500 აშშ დოლარი გამოსძალა.

## პატიმრობაში კიდევ ერთ თვეს დარჩება

**თურქეთში, ქალაქ სამსუნთან მომხდარი ავტოკატასტროფის გამო დაკავებული ავტობუსის მძღოლი ვეფხია ხაჩიშვილი ერთი თვით კვლავ პატიმრობაში დარჩება.**

ეს ვადა მოითხოვეს თურქმა სამართალდამცავებმა მომხდარი ინციდენტის გამოსაძიებლად.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ანეკდოტები

— შეიძლება, რომ ფილმს ჰქონდეს ბედნიერი ფინალი, თუ ბოლოს მთავარი გმირი იღუპება? — ეკითხებიან მიხოს.

— შეიძლება, თუ მთავარი გმირი არის სიდედრი.

* * *

დილით სამსახურში წასასვლელად დროზე ადგომა ბევრად გაგიადვილდებათ, თუ მაღვიძარას ხაფანგზე დადებთ!

* * *



ევროპელმა მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი იმ ახალი თეორიის შემოწმების მიზნით, რომლის თანახმადაც ლუდი შეიცავს ქალის ჰორმონებს, რაც კაცს ქალად აქცევს. საამისოდ შეარჩიეს 100 მამაკაცი, რომელთაც ერთი საათის განმავლობაში 6 ლიტრი ლუდის დალევა შესთავაზეს.

შედეგებმა აჩვენეს, რომ ექსპერიმენტის ყველა მონაწილე:

— გასუქდა;

— ბევრს და უაზროდ ლაპარაკობდა;

— ძალიან ემოციურად იქცეოდა;

— არ შეეძლო მანქანის ადეკვატურად მართვა;

— არ შეეძლო რაციონალურად აზროვნება;

— კამათობდა წვრილმანებზე;

— პატარა საჭიროების გამო უნიტაზზე ჯდებოდა;

— თუნდა დამნაშავე ყოფილიყო, ბოდიშს არ იხდიდა.

◎ კადრი


ჯემალ კასრაძის ფოტო

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.